

ჩემი ადვოკატი

ფასი: 5 ლარი

იცოდეთ და დაიცავი შენი უფლებები

**მინის
საკუთრება**
გვ.4

**სასესხო
ურთიერთობები**
გვ.10

**შრომის
პირობები**
გვ.16

**ბავშვთა
საკუთრების
უფლება**
გვ.26

**მონშის
სამართლებრივი
მდგომარეობა**
გვ.64

**მიგრაციის
სამართალი**
გვ.30



ევექსი კლინიკების სპეციალური შეთავაზება ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის

24 საათიანი საბელეფონო მომსახურება	100%	უღირსი
პროფილური კვლევები წელიწადში ერთხელ:		
ნებისმიერი ერთი სპეციალისტის კონსულტაცია ნებისმიერი ერთი სისტემის ექოსკოპია	50%	წელიწადში ერთხელ
სისხლის საერთო ანალიზი	40%	
შარდის საერთო ანალიზი გლუკოზის დონის განსაზღვრა სისხლში		
ლაბორატორიული, ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევები	30%	უღირსი
ნებისმიერი სპეციალისტის კონსულტაცია	30%	უღირსი
კომპიუტერული ტომოგრაფია	40%	უღირსი
ორსულობა:		
კონსულტაციები	40%	უღირსი
ექოსკოპიური გამოკვლევები		
ლაბორატორიული გამოკვლევები	30%	უღირსი
ორთოპედიული სტომატოლოგია / ნიკლანტაცია ნიუ დენტო	20% - 40%	უღირსი
კბილების პროფესიული წმენდა ნიუ დენტო	50%	უღირსი
PCR ტესტი	65 ლ	

032 255 05 05
WWW.EVEXCLINICS.GE

ჩვეი ადვოკატი

გამომცემელი
© სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაცია
ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 11
თბილისი 0108
საქართველო
ტელ: +995 32 2 98 78 78
ელ.ფოსტა info@gba.ge
www.gba.ge

რედაქტორი
ეკა ხიმშიაშვილი
დაკაბაღონება და დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი
რუსუდან დარჩიაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის სარედაქციო
გუნდი

თავმჯდომარე
დავით ასათიანი

ადმინისტრაციული მდივანი
გიორგი ჭეხანი

საკომიტეტო საქმიანობის,
კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა
დეპარტამენტის უფროსი
თამთა დევდარიანი

სარედაქციო კოლეგია
თორნიკე ბაქრაძე
ციცინო ცხვედიანი
ვახტანგ მჭედლიძე
ირაკლი ბურდული
ირაკლი ყანდაშვილი
მარიანე ნიქაბაძე
კონსტანტინე კორკელია
ანა ხურციძე
სესილი ქადარია
თამთა მურადაშვილი

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების
ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება
კომერციული მიზნით, ს.ს.ი.პ.
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ნებართვის გარეშე აკრძალულია

ბეჭდვა
სტამბა „კოლორი“

კოლორი
ჯაუში

ISSN-1987-5479



დაიცავი შენი წინესიზარა!

04



რამდენიმე პრობლემური ასპექტი
სასამართლო პროცესში

10



შრომის პირობების ინსპექტირების
სამართლებრივი ჩარჩო

16



ბავშვთა საკუთრებისა და
მემკვიდრეობის უფლება

26



მიგრაციის სამართალი:
სასამართლო პრაქტიკის
განხილვა

30



უფასო იურიდიული დახმარების
სისტემა საქართველოში

38



ალსრულება, როგორც
სამართლიანი სასამართლოს
შემაღმენელი ნაწილი

48



სოციალური მედიის სამართალი:
აქტუალური საკითხები

58



შრომის სამართლებრივი
მდგომარეობა საქართველოში

64



დაიცავი შენი ციხესიმაგრე!

ანუ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული დავის რამდენიმე საჭირობო საკითხი

ავტორი სიმონ ჩხაიძე
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

„ს“ მერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგიერთ სხვა, მათ შორის კონტინენტური ევროპის, ქვეყანაში მოქმედებს ე.წ. „ციხესიმაგრის დოქტრინა“ – castle doctrine – რომელიც მესაკუთრეს არაკანონიერი შეჭრისაგან, მათ შორის ფიზიკური ძალის ანდა იარაღის გამოყენებითაც კი, თავისი საცხოვრისი დაცვის უფლებას ანიჭებს; ზოგ შემთხვევაში მოძალადის მოკვდინების შესაძლებლობასაც კი უშვებს და ამ ქმედების ჩამდენ მესაკუთრეს როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს.

საინტერესოა, რომ „ციხესიმაგრის დოქტრინას“ გერმანიაც იყენებს და ამ ქვეყნის სასამართლო მას საკმაოდ ფართოდაც განმარტავს (შდრ. BGH, 02.11.2011 – 2 StR 375/11).

საქართველოში, კავკასიური ტემპერამენტისა და „კაი ყმის“ ტრადიციების მიუხედავად, ან იქნებ სწორედ ამის გამოც, უარი თქვა „ციხესიმაგრის დოქტრინაზე“. მეტიც, ჩვენი კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით ზღვარი თვითდახმარებასა და თვითნებობას შორის იმდენად გამჭვირვალე და უმნიშვნელოა, რომ ბინისა თუ სახლის თავგამოდებული მესაკუთრე შეიძლება ხელმყოფზე მეტადაც კი დაისაჯოს.

ამიტომ საკუთრების დაცვის ლეგალური გზა ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოზე გადის და, თუ ჩვენში ვინმეს ამ უფლებას დაურღვევენ, მან, ტექსესელი ფერმერისგან განსხვავებით (ამ შტატში ფერმის მესერზე ხშირად შეხვედებით წარჩერას: უნებართვოდ შემოსვლა არ გაბედოთ, თორემ 911-ს კი არ დაუურევავ, პირდაპირ გესვრით), ხელი კოლტის სისტემის რევოლვერს კი არ უნდა სტაცოს, არამედ ტელეფონი მოიმარჯვოს და კარგი ადვოკატის ნომერი აკრიფოს.

და აი სწორედ ადვოკატის ნომრის აკრეფის შემდეგ იწყება ყველაზე საინტერესო – სასამართლო დავა!

ამ სტატიაში ზოგიერთ ისეთ საკითხზე ვისაუბრებთ, რომლებიც მსგავსი კატეგორიის საქმეებში ყველაზე ხშირად გვხვდება. ცხადია, სტატია სრული და ყოვლისმომცველი ვერ იქნება – მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული დავის პრობლემური საკითხების სრულად აღწერასა და ანალიზს რამდენიმეტიმომიანი ნაშრომიც არ ეყოფა...

გარდა ამისა, სტატიის თავისებურებიდან, ანუ, როგორც ახლა უწოდებენ, ფორმატიდან გამომდინარე, მასში შეძლებისდაგვარად ნაკლები მითითება იქნება სამეცნიერო წყაროებსა და დასკვნებზე;

სტატია ძირითადად სასამართლო პრაქტიკასა და მის ანალიზს მოიცავს. ვფიქრობ, პრაქტიკოსი იურისტებისათვის ეს საკითხები უნდა იყოს უფრო საინტერესო და ყურადსაღები.

მამ ასე:

კომლის ქონებასთან დაკავშირებული გლობალური პრობლემის შესახებ

2020 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა კანონი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“, რომელმაც inter alia კომლის წევრთა სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის საკითხი მოაწესრიგა. გარდა ამისა, 2019 წლის 25 ივნისს საქართველოს სამოქალაქო კოდექსს დაემატა 1513¹ მუხლი, რომელიც კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს განსნას ეხება.

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ კომლის წევრთა უფლებანი ჩვენს ქვეყანაში დღესაც აქტუალური და პრობლემურია. აღნიშნული განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და ნიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებას ეხება, რასაც საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაც ადასტურებს.



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებების მიწები ძირითადად სოფლებსა და დაბებში გვხვდება. ამ ტიპის დასახლებებში კი 1921 წლიდან 2007 წლამდე არსებობდა ე.წ. საკომლო წიგნი, რომელშიც კომლთა მდგომარეობის ამსახველი ცნობები იყო თავმოყრილი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1917 წლის 26 ოქტომბერს (ახ. სტილით 8 ნოემბერს) ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა საბჭოების მეორე ყრილობაზე გამოსცეს დეკრეტი, რომლითაც რუსეთში არსებული მიწა მთლიანად გადაეცა სახელმწიფოს. 1921 წლის 17 მარტს რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია დაასრულა და ამ დღიდან ზემოსხენებული დეკრეტი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზეც ამოქმედდა. ეს ყველაფერი მოგვიანებით კერძო სამართლებრივ კანონმდებლობაშიც აისახა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად (1964 წლის რედაქციით), მიწა მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა და მისი გადაცემა მხოლოდ სარგებლობაში დაიშვებოდა.

1938 წლიდან საბჭოთა კავშირში დაიწყო ე.წ. კოლექტივიზაცია და შეიქმნა კოლმეურნეობები; თუმცა საბოლოოდ კოლექტივიზაცია საქართველოში არსებულ ყველა სოფელსა და დაბას არ შეეხებოდა და ამ დასახლებულ პუნქტებში მათ ნაცვლად ე.წ. საბჭოთა მეურნეობები ჩამოყალიბდა. საქართველოში არსებული ტრადიციის მიხედვით, სოფლად მცხოვრებ ოჯახს „კომლს“ უწოდებდნენ და მათ „საკომლო წიგნი“ აღრიცხავდნენ. ოღონდ იმ დასახლებებში, რომლებშიც საბჭოთა მეურნეობები იყო შექმნილი, კომლისთვის რაიმე სახის განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი არ მიუნიჭებიათ. ამგვარი კომლის წევრები ე.წ. მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრებს უთანაბრდებოდნენ და სხვადასხვა სახის კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში საერთო წესით მონაწილეობდნენ.

ზოგჯერ ამგვარ ოჯახებს „საკომლო წიგნი“ სპეციალური აბრევიატურით – „მ.მ.“ – აღნიშნავდნენ.

ამისგან განსხვავებით, საკომლეურნეო კომლი, რომლის აბრევიატურადაც „საკომლო წიგნი“ ხშირად ან „ს.კ.“-ს, ან „კოლმ.“-ს იყენებდნენ, სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, კოლმეურნეობის შემადგენელი ნაწილი იყო.

როგორც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, „საკომლო ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირებული იყო 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსით, რომლის 122-ე მუხლის თანახმად, კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით, ამავე კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკომლეურნეო კომლის ყველა წევრს კომლის ქონება თანაბარი წილით ეკუთვნის. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილებით, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკომლეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებზე კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში რიცხული საკარმიდამო, საბარე და სააგარაკო მიწები უსასყიდლოდ გადადიოდა მათ კერძო საკუთრებაში. საქართველოს რეს-

პუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის №128 დადგენილების მეორე პუნქტით კი დადგინდა, რომ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები უნდა გაცემულიყო 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კომლების მიხედვით“ (მდრ. სუსგ №ას-1063-983-2017, 17.10.2017 წ.).

კოლმეურნეობების გაუქმებით საკომლეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ქონება, რომელიც კომლის ქონებასა და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და არის იმ პირთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომლებიც კომლის წევრებს შეადგენენ. აღნიშნული ქონება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმშია ჩართული (მდრ. სუსგ №ას-1778-1756-2011, 29.06.2012 წ.) – (სუსგ. საქმე №ას-1273-2020, 18 თებერვალი, 2021 წელი პ. 35-36).

ეს ნიშნავს, რომ 1993 წლის 1 იანვრიდან საკომლეურნეო კომლის წევრები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც ამ დროისთვის საკომლო წიგნი საკომლეურნეო კომლის წევრებად იყვნენ რეგისტრირებულნი და კომლის წევრის უფლება დაკარგული არ ჰქონდათ, ipso jure კომლის საკუთრებაში არსებული ნივთების, მათ შორის საცხოვრებელი სახლების, თანამესაკუთრებები გახდნენ თანაბარი წილით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე კი 1997 წლის 25 ნოემბრიდან მათ საკუთრებად ჩაითვალა მიწის ის ნაკვეთები, რომლებზეც ეს სახლები მდებარეობდა.

1993 წლის 1 იანვრის შემდეგ ყოფილი საკომლეურნეო კომლის მიმართ განხორციელებულ ღონისძიებებს: კომლის გაყრას, გამოყოფას, შეერთებას – ყოველ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით მაინც

– ზემოხსენებული სამართლებრივი შედეგების შეცვლა არ შეეძლო; როგორც ვთქვით, კომლის ყოფილ წევრებს ეს ნაკვეთები საკუთრებაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგ გადაეცათ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების განკარგვის ამგვარ გზას არ ითვალისწინებდა და არც ითვალისწინებს.

ოღონდ ეს სამართლებრივი რეჟიმი, როგორც აღინიშნა, მხოლოდ საკომლეურნეო კომლის წევრთა ქონებაზე ვრცელდებოდა. ე.წ. საკომლო წიგნის მონაცემებით, მუშა-მოსამსახურის ოჯახში ახალი წევრის „ჩაწერა“ ან „გასვლა“ კომლის ქონებაზე არც საკუთრების მოპოვებას და არც მის დაკარგვას არ იწვევდა. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით (1964 წლის რედაქციით) დადგენილი წესებით საკუთრების შექმნა აუცილებელი იყო.

ამრიგად, თუ ადამიანი სამოქალაქო-სამართლებრივი თვალსაზრისით იმ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით დააპირებს დავას, რომელზეც შეიძლება კომლის წევრებს ჰქონდეთ უფლება, მან ყურადღება შემდეგ გარემოებებს უნდა მიაქციოს: ა) იყო თუ არა ეს კომლი საკომლეურნეო; ბ) ვინ იყო რეგისტრირებული მასში 1992 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; გ) ხომ არ ჰქონდა საკომლო წიგნი რეგისტრირებულ რომელიმე პირს დაკარგული უფლება კომლის ქონებაზე; დ) ეკუთვნოდა თუ არა კომლს საცხოვრებელი სახლი და ე) იყო თუ არა ეს სახლი სადავო მიწის ნაკვეთზე.

კი, მაგრამ აბა „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკანონმდებლო მოწყობის სრულყოფის შესახებ“ კანონი? – იკითხავს ზოგიერთი.

არა, ეს კანონი არ დამვიწყებია, ოღონდ იგი ყოფილი საკომლეურ-

ნეო კომლის წევრთა ქონებასა და სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე მათთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთებს საერთოდ არ ეხება და ვერც შეეხებოდა, რადგან ამ შემთხვევაში მრავალი მათგანისათვის საკუთრების ჩამორთმევას გამოიწვევდა.

როგორც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა გამოეყენებინა სასამართლოს დავის გადაწყვეტის ეს წესი, როცა მოსარჩელები საკომლო ქონების თანამესაკუთრები უკვე გახდნენ 1993 წელს“ – (სუსგ. №ას-1430-1350-2017, 30 აპრილი, 2018 წელი, პ. 26).

იგივე ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513¹ მუხლით მოწესრიგებულ ურთიერთობებსაც, თუმცა, როგორც იტყვიან, ეს ამბავი აქ განსახილველი არ არის.

გზასთან დაკავშირებული აუცილებლად გადასასტრეპი საკითხები

ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზით ერთი მეზობლის კუთვნილი ნაკვეთი ერთი ან რამდენიმე სხვა მეზობლის ნაკვეთებს შორის მოექცევა ხოლმე და საჯარო კომუნიკაციებთან კავშირს კარგავს. ჩვეულებრივ, ამგვარი ვითარება ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე, ურთიერთშეთანხმებით, კეთილმეზობლურად წყდება; მაგრამ, თუ ერთმანეთს „ჭირვეული მეზობლები“ შეხვდებიან, „ანკლავის“ მესაკუთრეს სხვის ნაკვეთზე გადაადგილების უფლების მოპოვება სასამართლოსათვის მიმართვის გზით მოუწევს.

იურისტებისთვის ცნობილია, რომ ამ ტიპის მოთხოვნას „აუცილებელი გზა“ ჰქვია და მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი აწესრიგებს, რომლის 1 ნაწილის თანახმად: „თუ მიწის ნაკვეთს არ აქვს ჭეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებ-

თან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზეც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ერთგვრადი გადახდით გამოიხატოს“.

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში „მესაკუთრეში“ იგულისხმება ის, ვისთვისაც გზა აუცილებლად საჭიროა, ხოლო „მეზობელში“ – ის, ვისი ნაკვეთიც უნდა დაიტვიკროს.

მსგავსი კატეგორიის საქმეებში სირთულეს იწვევს გზის მოწყობის საკითხის გადაწყვეტა მაშინ, როცა ამისი რამდენიმე ალტერნატივა არსებობს, აგრეთვე ისიც, რა ზომამდე შეიძლება მეზობელი ნაკვეთის შეზღუდვა აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად.

ზოგჯერ თვლიან, რომ აუცილებელი გზის მოწყობის რამდენიმე შესაძლებლობის შემთხვევაში ერთი მათგანის არჩევის უპირატესობა მესაკუთრეს ენიჭება, რასაც, ჩვეულებრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დისპოზიციურობის პრინციპით ამართლებენ.

სინამდვილეში ეს ასე არ არის. როგორც საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს: „სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით წესრიგდება სამეზობლო თმენის ვალდებულება, რაც წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს. ამ ნორმით გათვალისწინებული ბოჭვის უფლების ამ ხარისხით გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომლის არსებობის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის

საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე. მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება ნიშნავს საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან აუცილებელი კავშირის არსებობას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კავშირის არსებობა არ არის დამოკიდებული სუბიექტურ მიზანშეწონილობასა და არჩევანზე, არამედ ობიექტურად არსებულ ისეთ ფაქტორზე გარემოებებზე, რომლებიც უთითებენ აუცილებელ, უალტერნატივო კავშირზე საჯარო გზებთან და ა.შ. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა კანონისმიერი ბოჭვის ამსახველ ისეთ დანაწესს წარმოადგენს, როდესაც მხოლოდ აუცილებლობა, ობიექტური გარემოება (სხვა გზის არარსებობა, რაც ნივთის ჯეროვანი გამოყენების საშუალებას არ იძლევა და ამით ნივთის დანიშნულების სამებრ გამოყენების შესაძლებლობა მცირდება ან საერთოდ იკარგება) წარმოშობს სხვისი ნივთით სარგებლობის უალტერნატივო წინაპირობას. სხვისი საკუთრებით სარგებლობის უფლების მხოლოდ ამგვარ შემთხვევებში დადგენა განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციითა და სამოქალაქო კოდექსით აღიარებული საკუთრების უფლების თავისუფლებით, რომლის შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ აუცილებელი ბოჭვის ფარგლებში (იხ. სუსგ №ას-102-100-2011, 24 მაისი, 2011 წელი; №ას-70-68-2014, 6 აპრილი, 2015 წელი) – (სუსგ.საქმე №ას-815-763-2017, 11 იანვარი, 2018 წელი, პ. 24);

„აუცილებელი გზა იმგვარად უნდა დადგინდეს, რომ ორივე მხარის უფლებები იყოს დაცული და მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის შესაძლებლობა ყველაზე ნაკლებად შეზღუდოს“ (იქვე, პ. 33).

ალტერნატივის არსებობისას მესაკუთრეს აუცილებელი გზის მოთხოვნის უფლება შეიძლება იმ მეზობლის

მიმართ ჰქონდეს, რომლის ნაკვეთიც საერთო გზაზე მას უმოკლესა და გონივრულ გასასვლელს მისცემს (შდრ. ვოლფი/ველენჰოფერი – „სანივითო სამართალი 29-გამოცემა“, გვ. 698). ამ შემთხვევაში „გონივრულ გასასვლელში“ მეზობლის ყველაზე ნაკლებ შემზღუდავი სარგებლობაც იგულისხმება.

ამრიგად, მეზობლის ნაკვეთზე გადაადგილების უფლების მინიჭება არა მესაკუთრის ნება-სურვილზე, არამედ ობიექტურ ვითარებაზე დამოკიდებული და ამიტომ, თუ ამ უფლების მისაღებად მაინცდამაინც სარჩელის აღძვრა გახდება აუცილებელი და თუ გზის მოწყობის სხვადასხვა ვარიანტი იარსებებს, მესაკუთრემ ყველა ეს შესაძლებლობა დასაშვებად უნდა მიიჩნიოს.

ამას კი შეიძლება სამართალწარმოებაში არა მარტო მესაკუთრის მიერ არჩეული მეზობლის, არამედ ყველა იმ მეზობლის ჩართვა დასჭირდეს, რომელთა ნაკვეთებსაც სასამართლო ალტერნატივის სახით განიხილავენ.

და კიდევ ერთიც: აუცილებელი გზის დადგენის შემთხვევაში მესაკუთრეს სხვისი საკუთრებით სარგებლობა მხოლოდ აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად შეუძლია. აუცილებელი კავშირი იმგვარი კავშირია, რომლის გარეშეც მიწის ნაკვეთს რენტაბელობა დაეკარგება ან არსებითად და გაუმართლებლად შეუმცირდება.

როგორც წესი, საავტომობილო კავშირის გარეშე მიწის ნაკვეთი მნიშვნელოვნად კარგავს რენტაბელობას; გარდა ამისა, მიწის ნაკვეთთან საავტომობილო კავშირი როგორც საყოფაცხოვრებო, ისე გადაუდებელი დახმარების სამსახურებისთვისაცაა აუცილებელი. სწორედ ამიტომ „აუცილებელ გზაში იგულისხმება არა მარტო ბილიკი, საცალფეხო გზა, არამედ სამანქანე გზაც“ – (სუსგ. საქმე №ას-1513-2018, 8 თებერვალი, 2019 წელი, პ. 38).

თუმცა აუცილებელი გზის დადგენით პირი არ ხდება დატვირთული ნივთის მესაკუთრე და ამ ნივთით არც ნებისმიერი მიზნითა და სახით სარგებლობის უფლება ენიჭება. აუცილებელი გზით დატვირთული მიწის ნაკვეთი უფლებამოსილმა პირმა შეიძლება მხოლოდ დატვირთვის მიზნებისათვის, ე.ი. გადასაადგილებლად გამოიყენოს.

ამიტომ აუცილებელი გზის დადგენა მესაკუთრეს მეზობელ ნაკვეთზე საჭიროზე მეტი ხნით დაყოვნების, მაგალითად ავტომობილის პარკირების, უფლებას არ აძლევს.

დაბოლოს, შეგვიძლია დავასკვნათ:

რუდოლფ ფონ იერიჩი წერდა: „თუ რომელიმე ერი თავის მეზობელს ნებას აძლევს, დაუსჯელად წაართვას მას ერთი მილი მიწა, მას მალე დანარჩენ მიწასაც წაართმევენ, სანამ საერთოდ მოისპობა მისი დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობა და ასეთი ერი ღირსიც არის ამგვარი ხვედრისა.“

მაგრამ, თუ მთელ ერს ეკუთვნის ერთი მილი მიწისათვის ბრძოლა, მიუხედავად საბრძოლო საგნის ღირებულებისა, მაშინ გლეხმა რატომ არ უნდა დაიცვას თავისი ერთი ნაჭერი მიწა?“ („ბრძოლა უფლებებისათვის“ – გვ. 45-46).

ეს გმირული და ამალღებული შეგონება დამახასიათებელი იყო ჩვეულებრივი, იერიჩის ეპოქისათვის: რომანტიკული ეპოქის შემდეგ ადამიანებს საკუთარი შეუმცდარობის უკიდვანო რწმენა და ყოვლისშემძლეობის განცდა ჰქონდათ; მათ სჯეროდათ, რომ სიმტკიცითა და შეუპოვრობით საწუკვარ მიზანს – სამართლიანობაზე დამყარებულ სრულ ჰარმონიასა და ბედნიერებას მიაღწევდნენ.

სინამდვილეში კი სწორედ ამის საპირისპირო რამ მოხდა: გადაჭარბებულმა თვითრწმენამ და უკომპრო-



მისობამ კაცობრიობას სისხლიანი რევოლუციები, მსოფლიო ომები და არნახული მასშტაბის ტანჯვა-წამება მოუტანა.

ამ სტატიას ეპიგრაფად იესო ქრისტესა და პილატე პონტოელის დიალოგი წავუძღვარე, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში უთუოდ ყველაზე უარესი მსაჯულის შეკითხვით სრულდება, რომელსაც მაცხოვარი პასუხს არ სცემს.

მართლაც, რა არის ჭეშმარიტება? რა ვიცით ჩვენ მის შესახებ? იქნებ ის, რაც ჩვენ დღეს სწორად და ჭეშმარიტად მიგვაჩნია, სინამდვილეში მცდარი და დამლუპველია? იქნებ, მართლაც, ყველას თავისი „სიმართლე“ აქვს და ადამიანების თუ არა, ღვთის თვალში მაინც სხვისი „სიმართლე“ ჩვენსაზე ჭეშმარიტია?

ჩვენ, ადამიანებს, სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხი ჯერჯერობით არ გვაქვს; მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს,

რომ იგი სადმე – ჩვენ გარეშე და ჩვენგან შორს მაინც – არ არსებობს: „კაცთათვის შეუძლებელი ღვთისთვის შესაძლებელია“ (ლუკა – 18; 27).

ამიტომ მოსალოდნელი საფრთხისაგან თავის ასარიდებლად უმჯობესია არა დავასა და დაპირისპირებაზე, არამედ მშვიდობიან შეთანხმებასა და მორიგებაზე ვიზრუნოთ, ბოლოს და ბოლოს მიწის ის ნაჭერიც ხომ მშვიდი და წყნარი ცხოვრებისათვის გვინდა!



რამდენიმე პრობლემური ასპექტი სასესიო ურთიერთობაში

ავტორი ნათია გუგაბიძე
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე



ესეი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელსაც კერძო სამართალში ეთმობა სპეციალური მოწესრიგება - სამოქალაქო კოდექსის სახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამის თავში.

მიუხედავად სესხის ხელშეკრულებათა ინტენსივობისა, საზოგადოების გარკვეული ნაწილის შექცევა ამ სამართლებრივი ინსტიტუტისადმი არც თუ სახარბიელოა, რასაც მოწმობს, როგორც სასამართლო სისტემაში მიმდინარე მრავალრიცხოვანი დავა, ისე - მათი გართულებული შემთხვევები.

სესხი ძირითადად ფულადი ვალდებულების სახეა, რადგან გამსესხებელი მსესხებელს საკუთრებაში გადასცემს ფულს, თუმცა, სესხის ხელშეკრულების საგანი ასევე შესაძლოა იყოს გვარონული ნივთი, მსესხებელი კი ვალდებულია, უკან დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხის და რაოდენობის ნივთი (იხ. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი).

ვინაიდან სამოქალაქო სამართალი ინდივიდთა თავისუფალი მოქმედების სამართალია იმ მასშტაბით, ვიდრე ის არ იბოჭება სხვისი უფლებების გადაკვეთის საზღვრით, სესხის ობიექტის შერჩევა სესხის ხელშეკრულების მხარეთა გადასაწყვეტია. თუმცა კანონმდებლის მთავარი ინტერვენცია მოცემულ თავისუფლებაში იმით გამოიხატება, რომ სესხის ხელშეკრულების საგანი მხოლოდ და მხოლოდ გვარონული ნივთი შეიძლება იყოს, ნივთი კი გვარონულია მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი ჩანაცვლება. სამოქალაქო კოდექსი გვარონული ნივთის დეფინიციას სანივთო სამართალში არ გვთავაზობს, ხოლო ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში გვარონულ ნივთად ვალდებულების შესრულების მიზნებისთვის დასახელებულია ნივთი, რომლის შეცვლაც შესაძლებელია (იხ. სამოქალაქო კოდექსის 382-ე მუხლი). გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §91-ის მიხედვით კი (სწორედ გერმანული სამართლის ტრანსფორ-

მაციით ჩამოყალიბდა თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართალი), გვარონული ნივთით განსაზღვრულ ნივთებად კანონის გაგებით მიიჩნევა მოძრავი ნივთები, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში განისაზღვრება რიცხვით, ზომით თუ წონით.¹

უმეტესწილად, საზოგადოებაში გავრცელებულია სესხის ხელშეკრულებები ფულის გადაცემით, რაც, ცხადია, ნიშნავს ფულის დროებით სხვის საკუთრებაში გადაცემას, მაგრამ - არა იმავე ფულის კუპირების დაბრუნების ვალდებულებას. ასე რომ იყოს, სესხის ხელშეკრულება აზრს დაკარგავდა, ვინაიდან ფულის ერთეულის მიმოქცევა სამოქალაქო ბრუნვაში შეუძლებელი გახდებოდა.

პრაქტიკაში ხშირად პრობლემას წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებით განპირობებული დავები. ქართული სამოქალაქო სამართლის შესაბამისად, სესხი რეალური ხელშეკრულებაა, განსხვავებით გერმანული მოდელისგან, რომლის შესაბამისადაც, სესხის ხელშეკრულებას გააჩნია კონსენსუალური ხასიათი, ხელშეკრულების დადებისა თუ ვალდებულებათა შესრულების მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით. ეს მოსაზრება ეფუძნება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §488 და §607-ის დანაწესს. (§488 (1): სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია, გადასცეს მსესხებელს ფულადი თანხა შეთანხმებული ოდენობით. მსესხებელი ვალდებულია, გადაიხადოს ნაკისრი პროცენტი და ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისას დააბრუნოს მიღებული სესხის თანხა; §607(1): ნივთების სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს გადასცეს შეთანხმებული გვარონული ნივთით განსაზღვრული ნივთი. მსესხებელი ვალდებულია, გადაიხადოს სესხის საზღაური და სესხის გადახდის ვადის დადგომისას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი). ქართული სამართლის მიხედვით კი, სესხი რეალური ხელშეკრულებაა, რაც საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარეობს, კერძოდ, სესხის ხელშეკრულება იდება სესხის საგნის მსესხებლისათვის გადაცემით. უმრავლეს შემთხვევებში კი ეს ფულია. მაშასადამე, სესხის რეალურ ხელშეკრულებათა რიგისათვის მიკუთვნება იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებით, არამედ ხელშეკრულების საგნის - გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (ხელშეკრულების დადება). (იხ. სუსგ.საქმე №ას-1245-1168-2015, 20.05.2016წ.). ერთ-ერთ საქმეში უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას, ანუ, იგი დადებული ითვლება და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოემართება გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (იხ.სუსგ. საქმე №ას-361-343-2015, 14.12. 2015).

სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად (მუხლი 624: სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნაშედილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით), სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (იხ. სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლი). მაგრამ პრობლემას წარმოადგენს სესხის ზეპირად დადებული ხელშეკრულების მტკიცებითი პროცესი, ისევე როგორც, ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ისეთ შემთხვევებში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. სამო-

ქალაქო კოდექსის 624-ე მუხლიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, პროცედურული სამართლით, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის, მოწმის ჩვენებითაც შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად არასაკმარისადაა მიჩნეული და საკასაციო სასამართლო გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების

ქართული სამოქალაქო სამართლის შესაბამისად, სესხი რეალური ხელშეკრულებაა, განსხვავებით გერმანული მოდელისგან, რომლის შესაბამისადაც, სესხის ხელშეკრულებას გააჩნია კონსენსუალური ხასიათი, ხელშეკრულების დადებისა თუ ვალდებულებათა შესრულების მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით

დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევენ წერილობით საბუთს, მაგალითად, სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი (იხ. სუსგ. საქმე №ას-398-371-2017, 06 ივნისი, 2017 წ.). სასესხო ურთიერთობის სადავოობის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა (მდრ. სუსგ. საქმე №ას-127-119-2015, 22.07.2015).

მაშასადამე, სესხის რეალური ბუნების „უარყოფითი“ გამოძახილი პრაქტიკაში სწორედ ის შემთხვევებია, როდესაც მოპასუხე საერთოდ უარყოფს სესხად თანხის მიღების ფაქტს, მაშასადამე, უარყოფს მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობას.

ალიარებულია, რომ მატერიალური სამართლის დადგენას ემსახურება საპროცესო სამართალი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მხარეთა მიერ მათი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის საფუძვლად მითითებულ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან არცერთს არა აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა, თუმცა, რიგ შემთხვევებში მტკიცებულების არჩევის აუცილებლობას თავად მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა ითვალისწინებს. ფულადი ვალდებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების წარმოშობის ფაქტი უნდა დასტურდებოდეს ისეთი სახის მტკიცებულებებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს მოვალისათვის თანხის გადაცემის ფაქტზე, რაც გამომდინარეობს სესხის ხელშეკრულების რეალური ხასიათიდან. შესაბამისად, გასესხებული თანხის გადაცემის დამტკიცების მოვალეობა აქვს გამსესხებელს. ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს თანხის გადაცემის და შესაბამისად, სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს ზეპირი სახის მტკიცებულებებით – მოწმის ჩვენებით, მხარის ახსნა-განმარტებით. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელი სესხის ხელშეკრულების კვალიფიციურ, წერილობით ფორმას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, რადგან ხელშეკრულების სადავოდ გახდომისას მხარეთა ინტერესების დაცვა უფრო მეტადაა გარანტირებული, გამსესხებელი – თავისი მოთხოვნის



დასადასტურებლად მიუთითებს წერილობითი ფორმით დადებულ სესხის ხელშეკრულებაზე, ცხადია, თანხის კონტრაგენტისათვის უკვე გადაცემის დათქმით, მსესხებელმა კი უნდა დაადასტუროს ამ საბუთის უსწორობა. აქვე უნდა ითქვას, რომ თავისთავად ზეპირი ფორმით ხელშეკრულების დადება არ აკნინებს სესხის ხელშეკრულების იურიდიულ ნამდვილობას, მაგრამ მისი სადავოობის გადაწყვეტისას, უფრო მეტი მტკიცებითი ძალა სწორედ წერილობით მტკიცებულებებს გააჩნია ხელშეკრულების დადების შესახებ.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ გართულებული სესხის შემთხვევები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მსესხებელი უარყოფს თანხის მიღებას. აღნიშნული ფაქტი მტკიცების ტვირთს უმძიმებს გამსესხებელს, თუკი არ არსე-

ბობს თანხის გაცემა-მიღების შესახებ წერილობითი მტკიცებულება. ვინაიდან საზოგადოების მართლშეგნება ვერ კიდევ არ არის საკმარისად მაღარი, რაც განაპირობებს სამართლებრივი ინსტიტუტებისადმი ზერელე თუ გაუთვითცნობიერებელ დამოკიდებულებას, გამსესხებლები ხშირად სესხის ხელშეკრულებისა და თანხის მსესხებლისათვის გადაცემის ფაქტის დადასტურებას ცდილობენ, მათი შეხედულებით, კანონიერი და დასაშვები მტკიცებულებით, ასე მაგალითად, ფარული აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერით. ასეთივე ვითარებაა მსესხებლის შემთხვევაშიც, როდესაც მას არ გააჩნია გამსესხებლისათვის თანხის დაბრუნების შესახებ წერილობითი მტკიცებულება - შესაბამისად, სასესხო ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ალსანიშნავია, რომ ანალოგიურ შემთხვევათა განხილვის თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკა შეიცვალა და დამკვიდრდა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი, რაც ეფუძნება ადამიანის ძირითადი უფლებების საერთო სასამართლოების ადრეული მიდგომა ამ საკითხისადმი ეყრდნობოდა იმ მოსაზრებას, რომ „სისხლის სამართალი და სამოქალაქო სამართალი სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ და განსხვავებულია მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმებიც სისხლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში. სისხლის სამართალში, სადაც ორივე დაპირისპირებული მხარე არ არის კერძო სამართლის სუბიექტი, გადამწყვეტია, რომ ბრალდების მხარემ ბოროტად არ გამოიყენოს



თავის უფლებამოსილება, არ იმოქმედოს თვითნებურად და არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები, საბოლოოდ, არ დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხიც სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე წესრიგდება, ამიტომ აქ ბრალდების მხარისათვის დაკისრებული მტკიცების სტანდარტი უფრო მკაცრია, ვიდრე დაცვის მხარისათვის... სამოქალაქო საპროცესო სამართალში ასეთი პრობლემატიკა არ დგას, რამდენადაც აქ ურთიერთდაპირისპირებული კერძო სამართლის სუბიექტები, რომელთაც თანაბარი საპროცესო შესაძლებლობები აქვთ თავის დასაცავად. ამიტომ ფარული აუდიოკასეტის მტკიცებულებად დაშვების საკითხი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო პროცესის ნორმების საფუძველზე. კასატორი ვერ ასაბუთებს ამ შემთხვევაში აუდიოჩანაწერის კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებად მიჩნევას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მოცემული აუდიოჩანაწერი არ შეიცავს მხარეთა პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, ისეთ კონფიდენციალურ ფაქტებს, რასაც დაუკავშირდებოდა მოსარჩელის სუბიექტური ინტერესი,

რომ მისი საუბარი სხვა პირთათვის არ გახდეს ცნობილი. (იხ. სუსგ. საქმე №ას-1154-1416-09, 01.06.2010)² სასიხარულოა, რომ სასამართლო პრაქტიკა ტრანსფორმირდა და სამართლებრივად შეფასდა ფარული ჩანაწერის, როგორც უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების იურიდიული ძალა და მნიშვნელობა, როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით. ამავე დროს მეტნაკლებად გაიმიჯნა ფარული ჩანაწერის, როგორც მტკიცებულების, სამოქალაქო სამართალწარმოებაში დაშვებისა თუ დაუშვებლობის ფარგლები. ფარულად სხვა პირის საუბრის ჩანაწერის შეფასებისას საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მსჯელობის ამოსავალ წერტილად მიიჩნია ადამიანის უფლებების დაცული სფერო და განმარტა შემდეგი: „აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ აზრის გამოხატვა, არამედ მისი ადრესატამდე მისვლა. შესაბამისად, აზრის თავისუფლება დაცული უნდა იყოს მესამე პირთა მხრიდან მისი შინაარსის გაცნობისაგან. ადამიანის უფლებები ირღვევა, როდესაც ინდივიდი ცხოვრობს იმის შეგრძნებით, რომ

მისი ნებისმიერი სიტყვა, რაიმე, თუნდაც, გაუზრებელი და სპონტანური აზრის გამოხატვა, განვითარების პროცესში არსებული დიალოგისას გამოთქმული წინასწარი პოზიცია, ან რაიმე ფორმულირება, რომლის ნამდვილი შინაარსის გაგება მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის ცოდნის შემთხვევაში შესაძლებელია, სხვა გარემოებებში და სხვა კონტექსტში შეიძლება იქნას გამოყენებული. ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა აწარმოოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს ვინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს.“(იხ.სუსგ.საქმე №ას-1155-1101-2014, 04.05.2015)³.

უზენაესმა სასამართლომ პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრების აუდიოჩანაწერი, რომელიც მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად იყო ჩაწერილი, კანონდარღვევით მოპოვებულ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის კონტექსტში, დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნია, რადგანაც პირადი საუბრის ფარული ჩაწერა, ხოლო შემდეგ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინაა-

ღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება.

აღსანიშნავია, რომ მითითებულ დავაში ფარული ჩანაწერი არ მოიცავდა ინტიმურ სფეროს, რა დროსაც პირადი ცხოვრების დაცულობის ხარისხი უფრო მაღალია. ჩანაწერი შეეხებოდა კერძო სამართალს მიკუთვნებულ საკითხს, რომელიც არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში.

უზენაესმა სასამართლომ შეაპირისპირა, ამგვარი მტკიცებულების დაშვებისათვის დაცვის ღირსი ინტერესი იდგა თუ არა პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა და მიიჩნია, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობის ფარგლებში სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადასტურების მიზნით, მტკიცებულების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარევა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა გამართლებული არ არის.

თვისთავად, უზენაესი სასამართლოს ამგვარი მსჯელობა განპირობებულია სამოქალაქო საზოგადოებაში მართლწესრიგისა და კონსტიტუციურ ღირებულებათა ყოფით ცხოვრებაში დამკვიდრების მიზნებით. ვინაიდან, სასამართლო გარკვეული ქცევის წესებს უმკვიდრებს საზოგადოებას, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რეზონანსული მნიშვნელობა აქვს. სამოქალაქო სამართალი გარკვეულწილად, რისკების სამართალია, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებმა შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ სამოქალაქო ურთიე-

რთობაში შესვლისას. სასამართლო გადაწყვეტილებას ასევე გააჩნია შემცნებითი ფუნქცია, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობაში შემსვლელ პირთათვის ერთგვარ გზამკვლევისა და წარმოადგენს, რათა მათ მოახერხონ თავიანთი უფლებებისათვის გარანტიების შექმნა. როგორც უზენაესი სასამართლო განმარტავს, სამოქალაქო უფლებამოვალეობათა მატარებელი სუბიექტები თავისუფალი არიან სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაბამისად, ისინი ვალდებულნი არიან, გამოიჩინონ შესაბამისი სამოქალაქო სამართლებრივი წინახედულობა და მტკიცებულება პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის ფარგლებში მოიპოვონ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხარე სათანადოდ არ უზრუნველყოფს სამართალურთიერთობას მტკიცებულებებით, არ გულისხმობს იმას, რომ მას შემდგომ აღნიშნული მტკიცებულების შექმნის უფლება მეორე მხარის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით წარმოემოხა.

რაც შეეხება ფარული ჩანაწერის მტკიცებულებად დაშვების გამონაკლის შემთხვევებს, როგორც უზენაესი სასამართლო განმარტავს, ეს გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოვებულ“ ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში, ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა, შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი აწონ-დაწონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა. (შენიშვნა: ფარული ჩანაწერის მტკიცებულებად დაშვების საკითხზე მსჯელობისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს

მიერ გაზიარებულია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა (BVerfGE 34, 238 (246 f); უშუალო წყარო: ი.კობახიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა.)

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ სასესო ურთიერთობაში შემსვლელ პირებს წაყენებათ წინდახედულობის მინიმალური სტანდარტი - გამსესებელს - თანხის მსესებლისათვის სესხად გადაცემის კანონიერი მტკიცებულების, ხოლო მსესებელს სესხის თანხის კრედიტორისათვის დაბრუნების დამდასტურებელი ლეგიტიმური დოკუმენტის შექმნა. ფარული მოსმენის გზით მტკიცებულების მოპოვების დასაბუთებისათვის არ არის საკმარისი სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნის (სესხის) საფუძვლის უზრუნველყოფის ინტერესი (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 1BvR 1611/96, 1BvR 805/98, უშუალო წყარო: გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, იურგენ შვაბე, 2011 წ. გვ.42-43). იგივე ითქმის ფარული ჩანაწერის წარდგენისას შესრულებით, თანხის უკან დაბრუნებით, ვალდებულების შეწყვეტის დასადასტურებელ ინტერესზე. არცერთი ამ ინტერესთაგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი დაუპირისპიროთ ზოგადპიროვნულ უფლებას და მასზე უფრო პრივილეგირებულად მივიჩნიოთ.

1 ტექსტში ყველგან გამოყენებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB, 2010 წლის მდგომარეობით, გამოცემლობა შპს "სიესტა", GTZ-ის მხარდაჭერით
 2 მოცემულ საქმეში მსესებელი გამსესებლისათვის თანხის დაბრუნების ფაქტის დადასტურებას ცდილობდა ფარული აუდიოჩანაწერით
 3 მითითებულ გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ მთლიანად გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე თანდართული განხილვითი აზრი



შრომის პირობების ინსპექტირების სამართლებრივი ჩარჩო

ავტორი ნატო ნათენაძე
სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი

შრომითი ურთიერთობები თანამედროვე ცხოვრებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობს, რადგან მასში დასაქმებული მონაწილეობს ე.წ. „სუსტი“ მხარის პოზიციით, რომელიც დაცვის მაღალ სტანდარტს საჭიროებს. ამ კუთხით აღსანიშნავია 2020 წლის სექტემბერში, შრომის კანონმდებლობაში განხორციელებული რეფორმა, რომლის შედეგად კიდევ ერთხელ გაეცა ხაზი სახელმწიფოს განსაკუთრებულ ინტერესს ამ სფეროს მიმართ. ვინაიდან საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მიზნად ისახავდა სამართლებრივ ურთიერთობათა უკეთ მოწესრიგებას, მის მიღებამდე არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, მათ შორის შრომის უფლებების მიმართულ უფლებამოსილ ადამიანურულ ორგანოს განსაზღვრას. იმის გათვალისწინებით, რომ შრომის პირობების უზრუნველყოფაზე საუბარი არის მოკლებული არ იყოს, დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი გარანტიები აღსრულების სწრაფი და მოქნილი მექანიზმის არსებობის სახით.

შრომის უფლება საქართველოში გარანტირებულია როგორც საერთაშორისო აქტებითა, ასევე ეროვნული კანონმდებლობით, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სახელმწიფოს ინტერესი ადამიანის უფლებების დასაცავად. შესაბამისად, სფეროს აქტუალობის გათვალისწინებით, სტატიის მიზანს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ინსპექტირების სამართლებრივი მექანიზმების მიმოხილვა, რადგან პრაქტიკაში მათი გამოყენებისა და დაცვის ინტერესი საკმაოდ დიდია.

შრომის პირობების ინსპექტირების ისტორიის პირველი, გარდამტეხი, პერიოდი 2006 წელს იწყება, რადგან შრომის ინსპექციის გაუქმების შემდგომ შრომის პირობების ინსპექტირების უფლებამოსილებას არც ერთი სახელმწიფო უწყება არ ახორციელებდა, გარდა ცალკეუ-

ლი დაწესებულებებისა, რომელთაც შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე კონტროლთან დაკავშირებით გარკვეულად შეზღუდული კომპეტენციები ჰქონდათ. მეორე ასეთ პერიოდად კი შეიძლება დასახელდეს 2015 წელი, როდესაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომელიც საქმიანობას, სადამფუძნებლო აქტის, დებულების, გარდა, შრომის პირობების მონიტორინგს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშიც ახორციელებდა. ხსენებულმა დეპარტამენტმა განვითარების სხვადასხვა ეტაპი გაიარა, რომელთა შედეგად 2020 წლისთვის იგი გვევლინებოდა უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობების უზრუნველყოფის მაკონტროლებელ ორგანოდ, კერძოდ, მის ფუნქციებში შედიოდა დამსაქმებულთა და დასაქმებულთა კონსულტირება, ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება, წინასწარი შეტყობინების გარეშე ნებისმიერი საწარმოს/ორგანიზაციის შემოწმება/მონიტორინგი, ასევე სისტემური დარღვევების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების ასახვა შესაბამის დოკუმენტებში და ანალიზის საფუძველზე შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა და საკანონმდებლო წინადადებების მომზადება.

ხსენებულ უფლებამოსილებათა და ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა ფონზე განსაკუთრებით გააქტიურდა დისკუსიები საქართველოში დასაქმებულთა შრომითი უფლებების გაუმჯობესების საკითხებზე, ვინაიდან ორგანიზაციებში არსებულ მძიმე შრომით უფლებებთან დაკავშირებით დასაქმებულთა მხრიდან არაერთხელ გამოითქვა პროტესტი, რაც გაფიცვების მიზეზიც გამხდარა. ამასთან, შრომითი დაცვის მთავარი ნაწილი მოიცავდა შრომის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნის საკითხებს. შრომითი

უფლებების მიმართულებით დასაქმებულთა მდგომარეობის გამწვავება განაპირობა ისეთი ინსტიტუტის არარსებობამაც, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა ზედამხედველობა გაეწია საჯარო და კერძო სექტორში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ორგანიზაციის კანონის – „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული სოციალური უფლებების რეალიზებასა და დაცვას. შესაბამისად, დადგა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის რეორგანიზაციისა და ახალი, დამოუკიდებელი, სტრუქტურული ერთეულის, სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნის საჭიროება, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც შრომის უფლებათა და დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა ერთმანეთისაგან განუყოფელი კომპონენტებია.

შრომის ინსპექცია პირველად 2020 წლის 29 სექტემბერს შრომის რეფორმის შედეგად მიღებული „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მოგვევლინა როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ორგანო. ამ კუთხით აღსანიშნავია წინამდებარე კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმად, „შრომის ინსპექციის სამსახურის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს მინისტრი, რომელიც ზედამხედველობს შრომის ინსპექციის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობას, აგრეთვე მის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას. მინისტრი უფლებამოსილია შრომის ინსპექციის სამსახურის სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად შეაჩეროს ან გააუქმოს მთავარი შრომის ინსპექტორის არამართლზომიერი გადაწყვეტილება“.

სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, უმეტეს შემთხვევაში



შრომის ინსპექცია ორგანიზებულია სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ერთეულების სახით, რომელსაც აქვს ცენტრალიზებული სტრუქტურა და სხვა დეცენტრალიზებული დანაყოფები. ტრადიციულად, შრომის ინსპექცია შრომისა და სხვა დაკავშირებულ საკითხთა სამინისტროს ექვემდებარება და პირდაპირი კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ არსებობს. ამ კუთხით ასევე აღსანიშნავია, რომ შრომის ინსპექციის მანდატით შრომის ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქა-

ნის, სამუშაო ადგილზე იძულებითი შრომის, ტრეფიკინგის, ამკრძალავი საქართველოს კანონმდებლობის ნორმები, საქართველოს შთავრობის დადგენილებათა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებათა, შრომითი უფლებებისა და შრომის პირობების შესახებ საქართველოს სხვა ნებისმიერი ნორმატიული აქტის, შრომითი ხელშეკრულებების, კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების, აგრეთვე კოლექტიური დავის ფარგლებში

შრომის პირობების ინსპექტირების სისტემის არსებული რედაქციის საკანონმდებლო აქტების ჩამოყალიბებასა და დამტკიცებაზე არსებითი გავლენა იქონია ILO-ს კონვენციებმა და რეკომენდაციებმა. არსებული მდგომარეობით, სავალდებულო ძალის მატარებელია ILO-ს 18 კონვენცია: „იძულებითი შრომის შესახებ“ 1930 წლის №29 კონვენცია, „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის №52 კონვენცია, „ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციის დაცვის შესახებ“ 1948 წლის №87 კონვენცია, „დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ 1948 წლის №88 კონვენცია, „კოლექტიური მოლაპარაკების ორგანიზებისა და გამართვის უფლებათა პრინციპების გამოყენების შესახებ“ 1949 წლის №98 კონვენცია, „მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ“ 1951 წლის №100 კონვენცია, „იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ“ 1958 წლის №105 კონვენცია, „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ 1958 წლის №111 კონვენცია, „სოციალური პოლიტიკის მიზნებისა და ნორმების შესახებ“ 1962 წლის №117 კონვენცია, „დასაქმების პოლიტიკის შესახებ“ 1964 წლის №122, „სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ“ 1973 წლის №138 კონვენცია, ადამიანური რესურსების განვითარების სფეროში პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული მომზადების შესახებ 1957 წლის №142 კონვენცია, „შრომის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სამხრეთი კონსულტაციების შესახებ“ 1976 წლის №144 კონვენცია, „სახელმწიფო სამსახურში დასაქმების პირობების განსაზღვრის, პროცედურებისა და ორგანიზების უფლებათა დაცვის შესახებ“ 1978 წლის №151 კონვენცია, „ზღვასა და ნავსადგურში მუშაობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ“ 1987 წლის №163 კონვენცია, „დასაქმების კერძო სააგენტოების

შესახებ“ 1997 წლის №181 კონვენცია, „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის შესახებ“ 1999 წლის №182 კონვენცია, „მუშაურების პირადობის მოწმობის შესახებ“ 2003 წლის №185 კონვენცია.

შრომის პირობების ინსპექტირების სისტემის, როგორც შრომითი ნორმების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმის, მნიშვნელობა არაერთი საერთაშორისო აქტით არის აღიარებული და განმტკიცებული, რომელთა დიდ ნაწილს საქართველო სავალდებულოდ აღიარებს. შესაბამისად, შრომის ინსპექტირების მექანიზმის შექმნის თვალსაზრისით საქართველოს ნაკისრი აქვს არაერთი საერთაშორისო ვალდებულება, გამომდინარე ყველა იმ აქტიდან თუ ხელშეკრულებიდან, რომელთა წევრიც და ხელმოშწერიც თვითონ არის.

„შრომის პირობების“ ტერმინი გულისხმობს სამუშაო საათებს, ანაზღაურებას, უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას, სოციალურ კეთილდღეობას, ბავშვების/ახალგაზრდების დასაქმებასა და შრომის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. შესაბამისად, მსგავსი ტიპის საკითხებში, ესენია: დასაქმების ადგილას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მენეჯმენტი, რისკის ანალიზი, საწარმოო შემთხვევები და პროფესიული დაავადებანი, ქიმიურ ნივთიერებათაგან მომდინარე საფრთხე, დანადგარების უსაფრთხოება, საფრთხის შემცველი სამუშაო, რადიაციული დაცვა, გარემოს დაცვა, „ახალი“ საფრთხეები – სტრესი, ძალადობა, პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია, სექსუალური შევიწროება, შრომის თანაბარი ანაზღაურება, სამუშაო პირობები, გაერთიანების უფლება და სხვა სპეციალური იმპერატიული სოციალური უფლება შესაძლოა გახდეს ზედამხედველობის განხორციელების ობიექტი.

შრომის პირობების ინსპექტირების სამოქმედო ჯგუფის უმთავრესი

ინტერესის საგანი დასაქმებულთა შრომის პირობები და მათი დაცვის სამართლებრივი რეგულაციებია, რომელთა აღსრულება შრომის ინსპექციას ევალება. სამიზნე ჯგუფში შედიან დასაქმებულები, დასაქმებულები, მათ შორის სამუშაო სივრცეში მყოფი მესამე პირი. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაცია თავად დასაქმების სექტორის, განლაგების ადგილმდებარეობის/რეგიონის, წარმოების მიერ გამოყენებული ბიზნესმოდელის შესახებ. ამ კუთხით აღსანიშნავია „ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №80 დადგენილება, რომლითაც შრომის უსაფრთხოების მიმართულებით პრიორიტეტული საკითხები და სამიზნეები შრომის ინსპექციის მანდატსა და კანონის შესრულებისა და აღსრულების მის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვრა. შრომის ინსპექციას აქვს ფართო უფლებამოსილება შრომის კანონმდებლობა საზოგადოდ ყველა სექტორში აღასრულოს წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

შრომის სამართალში მოქმედი კანონმდებლობა და მისი აღსრულების მექანიზმები თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს ყოველ დასაქმებულზე ყველა სამუშაო ადგილზე. ის თანაბრად უნდა მოიცავდეს როგორც ინდუსტრიულ, კომერციულ სექტორს, ისე საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს. შრომის ინსპექტირების სფეროში მოქმედი კონვენციები, რომლებიც ძირითად სტანდარტებს ადგენს ამ უკანასკნელისათვის, თავისი მოქმედების სფეროდან და შრომის ინსპექტირების ადრესატთა წრიდან არ გამოირიცხავს არც ერთ დასაქმებულს. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა აღმასრულებელი მანდატის გავრცელება საქართველოს შრომის კოდექსსა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედებაზე.

ინსპექტირების პროცესი – შრომის ინსპექციის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს შრომის პირობებისა და დასაქმებულთა დაცვის მარეგულირებელი ნორმების აღსრულების ზედამხედველობა როგორც დარღვევების აღმოფხვრის, ასევე მომავალში ამგვარი შემთხვევებისა და დასაქმებულთა სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისთვის საფრთხის მიყენების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, ინსპექტირებას უნდა ჰქონდეს, ერთი მხრივ, პრევენციული, მეორე მხრივ კი, რეაგირებითი – არსებული დარღვევების აღმოფხვრის – მიზნები, რომელთაც ის სხვადასხვა მექანიზმით ახორციელებს.

პრევენციული მიზანი გულისხმობს საწარმოო შემთხვევების, პროფესიული დაავადებების განვითარების, შრომითი დავის, დასაქმებულთა მიმართ უსამართლო მოპყრობისა და სხვა დარღვევათა თავიდან აცილებას. რაც შეეხება რეაგირებით მიზანს, ეს უკანასკნელი მოიცავს უკვე დამდგარ შედეგებსა თუ დარღვევებზე შრომის ინსპექციის სასესიო ქმედებათა ერთობლიობას გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

შრომის ინსპექტორთა მიერ საზედამხედველო ფუნქციის სათანადოდ შესრულება და მისი ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თავად ინსპექტირების პროცესსა და მის მიმდინარეობაზე. შესაბამისად, გამართული ინსპექცია თავისთავად გულისხმობს იმ სტანდარტების გათვალისწინებას, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებსა და ეროვნულ კანონმდებლობაშია დამკვიდრებული და უზრუნველყოფს ინსპექტირების პროცესის სრულყოფილ მიმდინარეობას. ამ კუთხით მოქმედი შრომითი ნორმები ითვალისწინებს შრომის ინსპექტორთა უფლებამოსილებას, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინებისა და დამსაქმებელი პირის/საწარმოს თანხმობის გარეშე შევიდნენ და შე-

ამოწმონ კონკრეტული დასაქმების ადგილი დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში მოქმედებისთვის საჭირო თავისუფლებითა და იმ პირობით, რომ არ მოხდება ჩარევა შრომის პროცესში იმაზე მეტად, ვიდრე ეს აუცილებელია ეფექტური ინსპექტირებისათვის. აქვე აღსანიშნავია გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც საჭიროა სასამართლოს განჩინება, თუ საქმე ეხება ნებისმიერ შენობაში/სივრცეში ინსპექტირებას, თუ არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ არსებობს იძულებითი შრომის ან შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევა.

შრომის ინსპექციის საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების ერთ-ერთი სახეა გეგმური/პერიოდული შემოწმება. გეგმური ინსპექტირების მიზანს წარმოადგენს ობიექტური და პრიორიტეტული კრიტერიუმების საფუძველზე შრომის ინსპექციის ინიციატივით საწარმოსა თუ ნებისმიერი სხვა სახის დასაქმების ადგილის სრულყოფილი გამოკვლევა, დაკვირვება და დასაქმების ადგილებზე საკანონმდებლო მოთხოვნების დაცულობის შესწავლა. ხოლო პერიოდული, იგივე არაგეგმური, ინსპექტირება შესაძლოა მოჰყვებოდეს პირის შეტყობინებას ან დაინტერესებული პირის საჩივარს. ამ კუთხით შრომის უსაფრთხოების მიზნებისთვის შეიძლება იყოს ნებისმიერი სუბიექტი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა დასაქმებულთა უსაფრთხო შრომის დარღვევა; დაინტერესებული პირი კი – დასაქმებული, რომლის მიმართაც დაირღვა შრომითი ნორმებით გათვალისწინებული უფლება ან სხვა დასაქმებული, რომელიც მუშაობს იმავე დასაქმებულთან და რომლისთვისაც ცნობილი გახდა დასაქმებულის მიმართ შრომითი ნორმებით გათვალისწინებული უფლების დარღვევის ფაქტი; „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მიზნებითა და დადგენილი წესით შექმნილი დასაქმებულთა გაერთიანება; საქართველოს

სახალხო დამცველის აპარატი. შესაბამისად, შრომითი უფლებების მიმართულებით საჩივრის პასუხად ინსპექტირების ჩასატარებლად სავალდებულოა ამ ტერმინით განსაზღვრულმა პირებმა წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტი.

სამუშაო ადგილების გეგმური შემოწმება, როგორც წესი, ხორციელდება ყოველწლიურად, მერჩიული პრიორიტეტების მიხედვით, რაც არ არის განპირობებული კონკრეტული მოთხოვნითა თუ საჩივრებით. გარდა გეგმური/პერიოდული შემოწმებისა, ინსპექტირებას შესაძლოა საფუძველად დაედოს სხვადასხვა სფეროსა თუ სექტორში გამოვლენილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია შრომით უფლებასთან, კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში ინსპექტირება ხორციელდება შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც შრომის ინსპექტორებმა უნდა შეისწავლონ სამართლებრივი ნორმების აღსრულებასთან, საფრთხის შემცველ გარემოსთან, პროფესიული კავშირების უფლებებთან დაკავშირებული და სხვა საკითხები. ნებისმიერ შემთხვევაში მსგავსი სახის ინსპექტირება უნდა განხორციელდეს იმავე ფორმით, როგორც გეგმური შემოწმება. ამასთან, იმ დაშვებით, რომ უზრუნველყოფილი იქნება წყაროს კონფიდენციალურობა, თუ ამ პირობის გაცხადების თაობაზე არ იქნება პირის თანხმობა.

ინსპექტირების ერთ-ერთ ფორმას ასევე წარმოადგენს გადაუდებელი შემოწმება. ამგვარი შემოწმება განპირობებულია მოვლენებით, რომლებიც მოითხოვს შრომის ინსპექტორთა ადგილებზე ყოფნას ყოველგვარი დაყოვნებისა და გადადების გარეშე (მაგალითად, დასაქმების ადგილას უბედური შემთხვევა). აღნიშნული კი იმავდროულად მოითხოვს როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი მდგომარეობის დაყოვნებლივ გამოკვლევას. ამგვარი შემთხვევების დროს ინსპექტორები უფლებამოსილი არიან გამოარკვიონ

შემთხვევის გამომწვევი მიზეზები, შეაფასონ პასუხისმგებლობის საკითხი და გამოიტანონ დასკვნები შესაბამის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი შემთხვევების განმეორება.

ინსპექტირების გზები და პროცედურული მექანიზმები – შრომის ინსპექტორთა ვიზიტი და დასაქმების ადგილის შემოწმება წარმოადგენს ინსპექტირების მნიშვნელოვან ნაწილს – საშუალებას ინსპექტორების ფუნქციების შესასრულებლად. ინსპექტორთა ვიზიტი ხორციელდება სწორედ იმ ადგილებში, სადაც შესამოწმებელი სამუშაო, შრომითი ურთიერთობა პრაქტიკულად სრულდება, კერძოდ საწარმოებში, კონკრეტულ ობიექტებსა და ოფისებში.

ILO-ს კონვენციები განსაზღვრავს, რომ დასაქმების ადგილები, რომლებიც ექვემდებარება ინსპექტირებას, უნდა შემოწმდეს ისეთი პერიოდულობით, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების ეფექტურ აღსრულებას. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ ობიექტის შემოწმების დაწყებიდან შემოწმების ხანგრძლივობა ერთ ობიექტზე შეადგენს 7 კალენდარულ დღეს. აუცილებლობის შემთხვევაში, თუ შემოწმების შეწყვეტით შესაძლოა საფრთხე შეექმნას დასაქმებულის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ობიექტის შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის ან მისი უშუალო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს შრომის ინსპექციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით. ობიექტის შემოწმების მიმდინარეობა ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ინიციატივით შესაძლოა შეჩერდეს იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა შრომის ინსპექციის მიერ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნისა და ამ ინფორმაციის მიღებისათვის, ობიექტის მიერ განხორციელებული სამუშაოების ან/



და იმ ტექნოლოგიური ციკლის განსახორციელებლად, რომლის ჩატარებაც აუცილებელია ობიექტის მიერ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ სრული სურათის მისაღებად, ასევე სხვა ობიექტურ გარემოებათა გამო საჭირო დროის განმავლობაში. ინსპექციის განმასხორციელებელი პირის ინიციატივით ობიექტის შემოწმების შეჩერების დრო არ აითვლება საერთო ვადაში. ფორსმაჟორული სიტუაციის, სხვა ბუნებრივი მოვლენების ან/და ისეთ ობიექტურ გარემოებათა არსებობისას, როდესაც

ინსპექტორები თავად იღებენ გადაწყვეტილებას ინსპექტირების მოცულობისა და ზომის შესახებ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ინსპექციის გამჭვირვალობა – შრომის ინსპექციის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით გარკვეულ შეზღუდვას შეიცავს და ითვალისწინებს, ერთი მხრივ, საჩივრისა თუ განცხადების წყაროს კონფიდენციალურობას, რომლის საფუძველზეც ხდება შემოწმება და, მეორე მხრივ, წარმოებით და კომე-

რაიმე დამატებით მოთხოვნას არ ითვალისწინებს არც ერთი რელევანტური კონვენცია.

შრომის პირობების ინსპექტირების შედეგები – ეროვნული კანონმდებლობა განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ზომების გატარებას შრომის კანონმდებლობის დამრღვევთა მიმართ, ეს არის მათი გაფრთხილება აღმოჩენილ გამოსასწორებელ დარღვევებზე. გაფრთხილება წარმოადგენს სანქციის სახეს, რომელიც მსუბუქი ხასიათის დარღვევისთვის გამოიყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობა შრომის ინსპექტორებს ანიჭებს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას დარღვევის ხასიათის, მისი სიმძიმის შეფასებით, რაც გულისხმობს, რომ გაფრთხილებასა და სხვა შედარებით მძიმე სანქციებს შორის არჩევანი სწორედ მათ დისკრეტულ უფლებამოსილებას არის მიკუთვნებული.

შრომის პირობების სანქცირების მეორე სახეს წარმოადგენს ფულადი ჯარიმა, რომლის მიზანია უზრუნველყოფილ იქნეს შრომის კანონმდებლობის მორჩილება და არსებული დარღვევის გამოსწორება. უმეტეს ქვეყნებში კანონმდებლობა აკონკრეტებს დარღვევებს, რომელთა შემთხვევაში ფულადი ჯარიმა ან სხვა სახის სანქციებია გათვალისწინებული. ეროვნულ კანონმდებლობაში ამ კუთხით გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს დასაქმებულ პირთა სტატუსსა და დარღვევის სახეს, კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსის ან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების დარღვევა, ჩადენილი არასრულწლოვანის, ორსული ქალის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, გამოიწვევს ჯარიმის ორმაგ ოდენობას. ასევე, მაგალითად, დამსაქმებლის მიერ დისკრიმინაციის, მათ შორის პირდაპირი დისკრიმინაციისა და არაპირდაპირი დისკრიმინაციის, სამუშაო ადგილზე შევიწროებისა და სექსუალური შე-

შრომის ინსპექტორთა მიერ საგადასმად ვალო ფუნქციის სათანადოდ შესრულება და მისი ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თავად ინსპექტირების პროცესსა და მის მიმდინარეობაზე. შესაბამისად, გაბართული ინსპექცია თავისთავად გულისხმობს იმ სტანდარტების გათვალისწინებას, რომლებიც საერთაშორისო საპარტლემბრივ აქტებსა და ეროვნულ კანონმდებლობაშია დამკვიდრებული და უზრუნველყოფს ინსპექტირების პროცესის სრულყოფილ მიმდინარეობას.

საც ფიზიკურად შეუძლებელი ხდება ობიექტის შემოწმების გაგრძელება, შესაძლებელია ობიექტის შემოწმება შეჩერდეს აღნიშნულ გარემოებათა აღმოფხვრამდე.

რციულ საიდუმლოთა დაცვის უზრუნველყოფას ინსპექტორთა მხრიდან თანამდებობის დატოვების შემდეგაც. აგრეთვე სამუშაო პროცესთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის საიდუმლოდ დაცვას, რომელიც ინსპექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში გახდა ცნობილი. ამ მოთხოვნების უგულებელყოფის შემთხვევაში კი „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს შრომის ინსპექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას ან სხვა სახის დისციპლინურ პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ინსპექტირების პროცესისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით

ვიწროების, აკრძალვის პრინციპის, გონივრული მისადაგების პრინციპის, თანაბარი საშუალოსთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდის შესახებ დებულების დარღვევა ჯარიმის სანქციად გამოყენების შემთხვევაში გამოიწვევს სამმაგ ოდენობას. იგივე შეიძლება ითქვას იძულებითი შრომაზე (ანუ ნებისმიერი სამუშაო, რომელსაც პირი ნებაყოფლობით არ შეასრულებდა და რომლის შესრულება მას რაიმე სანქციის მუქარით მოეთხოვება), თუ აღნიშნული ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. ჯარიმის დაკისრებასთან დაკავშირებით ILO აღნიშნავს, რომ მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კანონის უზენაესობის დაცვა და კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების მორჩილების უზრუნველყოფა, რომელიც არ უნდა გამოიყენებოდეს შრომის ინსპექციის სუბსიდირების, ფინანსური უზრუნველყოფის საშუალებად.

ჯარიმის სანქცირების შემთხვევაში კონკრეტული დარღვევის განმეორება დამსაქმებლის მხრიდან დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა, რაც წარმოადგენს საფუძველს ჯარიმის გაორმაგების, გასამმაგების ან დამრღვევის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვისაც კი (ბანდემიასთან ბრძოლის პერიოდში კოვიდრეგულაციების დარღვევისას). აღსანიშნავია ისიც, რომ უფრო მკაცრი სანქციებია გათვალისწინებული დამსაქმებელთა იმ კატეგორიის მიმართ, რომელიც წინააღმდეგობას უწევს და ხელს უშლის ინსპექტორებს თავიანთი ფუნქციის შესრულებაში.

დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დარღვევებისას, როგორც წესი, გამოიყენება სანქციის ორი ფორმა: სამუშაო პროცესის/საწარმოს შეჩერება და აგრეთვე შეტყობინება კონკრეტული დარღვევის აღმოფხვრისა და მისი გამოსწორების შესახებ. ინსპექტო-

რები ვალდებული არიან მიიღონ დაუყოვნებლივი ზომები იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ შემოწმების შედეგად აღმოჩენილი და გეგმა ან გამოსაყენებელი ნივთიერებები თუ სამუშაო პროცესისა გაუმართავი/შეუსაბამო და წარმოადგენს საფრთხეს დასაქმებულთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის. ამასთან, შრომის ინსპექციის მიერ, სამუშაო პროცესის შეჩერების სხვა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული) შემთხვევების გარდა, შეიძლება გამოიყენებულ იქნეს აგრეთვე ბავშვთა შრომის ან/და იძულებითი შრომის ამკრძალავი დებულებების დარღვევისთვის, რაც ბოლო რეფორმის მისასალმებელ ცვლილებას წარმოადგენს.

დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საფრთხე შესაძლოა წარმოადგენდეს დამსაქმებლის მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის შედეგს, თუმცა შესაძლოა საფრთხის წარმოშობა არ უკავშირდებოდეს გარკვეულ ვალდებულებათა დარღვევას დამსაქმებლის მხრიდან. ამ შემთხვევაში პრიორიტეტი სწორედ დასაქმებულთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ენიჭება და ILO ამგვარი შემთხვევებისათვის ითვალისწინებს მექანიზმს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს წარმოების შეჩერებას, დაწესებულების ლიკვიდაციასაც კი, რაც დამოკიდებულია თავად საფრთხის სერიოზულობაზე და არა დამსაქმებლის ბრალეულობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ კლასიკურ სანქციებთან ერთად ILO აღნიშნავს, რომ შრომის ინსპექტორთა ხელში არანაკლები ძალის მქონე იარაღს და საშუალებას წარმოადგენს არაკლასიკური, ალტერნატიული, სანქციებიც, მაგალითად, კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებათა დამრღვევ დამსაქმებელთა ვინაობის გასაჯაროება ონლაინ (ელექტრონულად). ამგვარ სანქციას აგრეთვე წარმოადგენს და-

მსაქმებლის/საწარმოს ეკონომიკურ ინტერესსა თუ შესაძლებლობაზე გარკვეულ სარგებელთა შეწყვეტას სახელმწიფოსაგან ან, მაგალითად, საწარმოს შეზღუდვას, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო აუქციონსა თუ ტენდერში და სხვა.

სისტემის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დარღვევებისათვის გათვალისწინებული სანქცია ინსპექტორთა მხრიდან იყოს დამაჯერებელი, რათა დამსაქმებელმა იცოდეს, გარკვეული კანონმდებლობის დარღვევისას რა შედეგებია მოსალოდნელი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაწესებული სანქციები პროპორციულად იყოს განსაზღვრული, დარღვევის ხარისხისა და მისი ბუნების გათვალისწინებით.

დასკვნა

შრომითი ურთიერთობა ეყრდნობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რომლის რეალიზებაც საკანონმდებლო დონეზე იმგვარადაა გათვლილი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა თავისუფალი ნება, თუმცა გარკვეულ შეზღუდვათა ფონზე. აღნიშნული ემსახურება შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნას. იმის გათვალისწინებით, რომ სფეროს გამართულ ფუნქციონირებაზე დამოკიდებული ადამიანთა კეთილდღეობა და ეკონომიკური წინსვლა, მნიშვნელოვანია გამართული საზედამხედველო ორგანოს არსებობა. ხსენებულთან დაკავშირებით შრომის ინსპექციის საქმიანობის ძირითად სფეროსა და უფლებამოსილების განხორციელების ფორმებზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ შრომის კანონმდებლობაში განხორციელებული მრავალი ცვლილება, რომლებიც იძლევა ქმედითი და ეფექტური აღსრულებისა და ინსპექტირების მექანიზმის სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების დანერგვის შესაძლებლობას, რომლისთვისაც საჭიროა სათანადო დრო როგორც დანერგვის, ასევე შემდგომი შეფასებისათვის.



სრულწლოვანია 18 წლის ასაკიდან, რაც გულისხმობს, რომ 18 წლიდან პირს უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღოს, რაც მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს, ანუ პირი 18 წლიდან იძენს ქმედუნარიანობას.

ქმედუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთრებასთან დაკავშირებით უფლებებისა და მოვალეობის სრულფასოვნად განხორციელების პირობაა. თუმცა მანამდე მნიშვნელოვანია შევხვით არასრულწლოვანის უფლებებსაც, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად შეზღუდულია, კანონით დაცულია.

ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ, 2020 წლის 01 სექტემბრიდან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის საკითხებს და არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომ უფრო გამჭვირვალედ, დეტალურად გაწერილიყო მათ უფლებებთან დაკავშირებული საკითხები.

არასრულწლოვანები საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვასა და ყურადღებას, რადგან მათი სამართლებრივი დაცვა სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ბავშვების ასაკისა და ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით, კანონმდებელმა განსაზღვრა შესაბამისი მიდგომებისა და პროგრამების შემუშავების ვალდებულება, რათა ყოველ ეტაპზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის რეალურად საუკეთესო ინტერესები დაცული იყოს ობიექტური შეფასების კრიტერიუმებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ შეიზღუდა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ბავშვის საკუთრების განკარგვა ან მართვა (ვალდებულებით დატვირთვა).

თითოეული შემთხვევა, რომელიც ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ სასამართლომ განიხილა და რომელშიც პირადად მც, როგორც ადვოკატმა, მივიღე მონაწილეობა, განსხვავებული იყო და, ერთი შეხედვით, არ იძლეოდა თანაბარი პრინციპებით შეფასების საშუალებას.

ამ ცვლილებამ, ერთი მხრივ, გაურთულა მშობლებს ბავშვის სახელზე არსებული ქონების განსაკარგვად გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, ასევე – ბავშვის სახელზე არსებული ანაბრების განკარგვაც, მაგრამ სამაგიეროდ დაუშვა ამ უფლების მინიჭება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მართლაც რომ ვთქვათ, ბავშვს აქვს უფლება საკუთრებად ფლობდეს ქონებას. საკუთრების უფლება წარმოიშობა შესაბამისი გარიგების (ჩუქება, ნასყიდობა) საფუძველზე, რომელიც უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში. ბავშვისთვის ქონების გადამცემი შე-

იძლება იყოს ნებისმიერი პირი, მათ შორის მშობელი, გარიგებაშიც ბავშვი ასევე მშობლის მეშვეობით მონაწილეობს, რომელიც მისი კანონიერი წარმომადგენელია. შეზღუდვა საკუთრების უფლების წარმოშობისას არ არსებობს და, შესაბამისად, არასრულწლოვანს შეიძლება საკუთრებაში გადაეცეს ნებისმიერი ქონება, რომლის რეგისტრირება შესაძლებელია. არ იზღუდება არც ფულადი სახსრები საბანკო დაწესებულებებში ანაბრების გახსნით. რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვს აქვს უფლება, ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად თავისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით დადოს გარიგება და ისარგებლოს საკუთრებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კანონმა შეზღუდვა დააწესა ქონების ან ფულის განკარგვის ნაწილში, რაც მშობლებს ავალდებულებს არასრულწლოვანის სახელზე არსებული ქონების განკარგვის სურვილის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინონ მოტივირებული და დასაბუთებული მოთხოვნა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

სასამართლო არ მისცემს მშობელს ქონების გასხვისების უფლებას, თუ არ დარწმუნდება, რომ მიღებული თანხით არ შეიძენს უკეთეს ქონებას ან ეს მიღე-



ბავშვთა საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება



ავტორი კონსტანტინე გელაშვილი
ადვოკატი, მედიატორი

საქართველოს კონსტიტუცია და კანონები საერთაშორისო სამართლის ნორმებთან თანხვედრით გვაძლევს ადამიანის უფლებების გარანტიებს.

„ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის“ პირველი მუხლი ადგენს, რომ „ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი, სანამ 18 წლის ასაკს მიაღწევს“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით, ფიზიკური პირის უფლება-უნარიანობა, ანუ უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებანი და მოვალეობანი წარმოიშობა

დაბადებისთანავე; ხოლო მემკვიდრედ ყოფნის უფლება – ჩასახვისთანავე, რომლის განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე. ამავე მუხლით დაუშვებლად არის მიჩნეული პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა.

პირის სრულწლოვანების ზღვარს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა, დადგენილია, რომ პირი

არასრულწლოვანები, მიუხედავად შფოვებული ქმედუნარიანობისა, არიან მემკვიდრეობის უფლების მქონე პირები და მათი უფლებების დაცვას, უპირველეს ყოვლისა, კანონიერი წარმომადგენლები ახორციელებენ.

ბული სახსრები სხვაგვარად ვერ უზრუნველყოფს ბავშვის ინტერესების დაცვას.

ამგვარი საქმის განხილვაში მონაწილეობენ არა მხოლოდ მშობლები, არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო და იურიდიული დახმარების სამსახური, რომელიც ბავშვის ინტერესების დასაცავად გამოყოფს ადვოკატს.

თითოეული შემთხვევა, რომლებიც ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ სასამართლომ განიხილა და რომლებშიც პირადად მეც, როგორც ადვოკატმა, მივიღე მონაწილეობა, განსხვავებული იყო და, ერთი შეხედვით, არ იძლეოდა თანაბარი პრინციპებით შეფასების საშუალებას, მაგრამ სასამართლომ გამოკვეთა ის ძირითადი მიმართულებანი, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განაცხადიც და მტკიცებულებანიც, ხოლო ზოგ შემთხვევაში მოსამართლე ისმენს ბავშვის აზრს, თუკი მისი ასაკი და გონებრივი შესაძლებლობა ამგვარი საკითხების სწორად აღქმის საშუალებას იძლევა.

საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანი ფლობს თანაბარი საკუთრების უფლებას, ანუ მის სახელზე გაფორმებულია გარკვეული მოცულობის ქონების წილი. პირობითად დავუშვათ, 1/3 და, როდესაც 2/3 წილის მფლობელი სრულწლოვანი ადამიანი ითხოვს ამ ქონების გაყიდვას, ბუნებრივია, ვერ წავართმევთ ადამიანს საკუთრების განკარგვის უფლებას, თუმცა ასეთ შემთხვევაში სასამართლოს

შეუძლია მისცეს მას ქონების გაყიდვის უფლება, მაგრამ დაავალდებულოს, რომ ბავშვის წილის ღირებულება ჩაირიცხოს ბავშვის სახელზე არსებულ ანგარიშზე ბანკში, რათა შემდგომ შესაძლებელი იყოს ამ ფულადი სახსრების გამოყენებით ალტერნატიული ან სხვა უკეთესი ქონების შეძენა. თუმცა ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნება სასამართლოს ნებართვა, რათა ბავშვის მშობელმა ანგარიშებიდან ფულის განკარგვის უფლება მოიპოვოს.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ერთგვარად გართულებული პროცედურებისა, ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ შემუშავდა არაერთი წესი, რომლებიც ადვილად არ იძლევა არასრულწლოვანის სახელზე არსებული ქონების განკარგვის უფლებას.

სასამართლო პრაქტიკით უკვე დაინერგა ბავშვის სახელზე ჩარიცხული ქონების მონიტორინგის განხორციელების წესები გასხვისებისას, აღნიშნული ვალდებულება სასამართლომ მეურვეობის ორგანოს დააკისრა.

აქვე მინდა შევეხო მემკვიდრეობის საკითხებსაც.

არასრულწლოვანები, მიუხედავად შეზღუდული ქმედუნარიანობისა, არიან მემკვიდრეობის უფლების მქონე პირები და მათი უფლებების დაცვას, უპირველეს ყოვლისა, კანონიერი წარმომადგენლები ახორციელებენ.

როგორც ცნობილია, პირველი რიგის მემკვიდრეები მეუღლე, შვილები და მშობლები არიან, რომლებიც თანაბრად არიან უფლებამოსილი მემკვიდრეობის მისაღებად.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ადგენს ასაკობრივ შეზღუდვას მემკვიდრის უფლების თვალსაზრისით, კანონი იცავს არასრულწლოვანის უფლებებს, რადგან მას შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა სამკვიდროს მიღებისა და მართვის თვალსაზრისით. ამიტომ კანონი ავალდებულებს კანონიერ წარმომადგე-

ნელს ან/და მეურვეს, დაიცვას არასრულწლოვანის ქონებრივი უფლებები და ამ მიზნით განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ყველა მოქმედება.

მემკვიდრეობის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე და მისი რეალიზება დაბადებაზე დამოკიდებულია.

სამოქალაქო კოდექსი ორი სახის – ანდერძისმიერ და კანონისმიერ – მემკვიდრეობას ითვალისწინებს. ორივე შემთხვევაში შეიძლება არასრულწლოვანი პირი მემკვიდრეობის უფლების მქონე სუბიექტი იყოს. ბავშვის ინტერესები კანონმდებლობით არის დაცული, ამიტომ ბავშვს, რომელმაც დაკარგა მშობელი, უფლება აქვს მიიღოს მემკვიდრეობა. მშობლის მემკვიდრედ ჩაით-

ვლება აგრეთვე გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა.

არასრულწლოვანის უფლებაზე – იყოს მემკვიდრე, არანაირ გავლენას არ ახდენს ისეთი გარემოება, როდესაც მშობლების ქორწინება არ არის რეგისტრირებული, ანუ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მემკვიდრეობის უფლებაც გარანტირებული და დაცულია კანონით. სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება, თუ მამობა აღიარებულია კანონით, რაც გულისხმობს ბავშვის დაბადების მოწმობაში მამის გრაფაში ჩანაწერის

არსებობას ან არსებობს შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილება. უნდა აღნიშნოს ის გარემოებაც, რომ პირველი რიგის მემკვიდრედ არასრულწლოვანი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ ის ნაშვილებია.

კანონმდებლობა მეტ-ნაკლებად ცდილობს დაიცვას არასრულწლოვანი შვილიშვილების ინტერესებიც, შესაძლებელია, ისინიც იყვნენ პირველი რიგის მემკვიდრეები, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის მათი მშობლები, რომლებიც მემკვიდრეობის მემკვიდრეები უნდა ყოფილიყვნენ, ცოცხლები აღარ არიან. შვილიშვილები თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც მათ გარდაცვლილ

მშობელს მემკვიდრეობის დროს კანონით ერგებოდა.

ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში მემკვიდრეობის წინასწარ განსაზღვრავს, ვის რა ქონება ერგება მისი გარდაცვალების შემდეგ. ანდერძის საფუძველზე მემკვიდრეები შეიძლება გახდნენ ის ბავშვები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მემკვიდრეობის სიკვდილის მომენტი-სათვის, ასევე ისინიც, ვინც ჩაისახა მის სიცოცხლეში და დაიბადა მისი გარდაცვალების შემდეგ. პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც პაპა-ბებია ანდერძით უტოვებს ქონებას არასრულწლოვან შვილიშვილებს, რადგან პირველი რიგის მემკვიდრეების არსებობისას მათ მიერ სამკვიდროს მიღების შესაძლებლობა ნაკლებია.





მიგრაციის სამართალი: სასამართლო პრაქტიკის განვითარება

ავტორი ირაკლი კოკიაა
შპს „მიგრაციის და თავშესაფრის სამართლის ცენტრის დირექტორი“
საერთაშორისო სამართლის დოქტორი

მიგრაცია ჩვენი დროის გამოწვევაა. ის გლობალიზაციის თანმხლები პროცესია. ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში ასობით მილიონი ადამიანის მიგრაცია ხდება. მათი უმეტესობა უკეთეს ცხოვრებას ეძებს, ზოგს კი უსაფრთხო გარემოში ცხოვრების სურვილი აიძულებს თავისი ქვეყნის დატოვებას. მიგრაციული პროცესების სწორად წარმართვა და მათი რეგულირება

პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და უსაფრთხოებასთან. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის (SEECA) რეგიონს მიაკუთვნებს.

მეზობლად შექმნილი თუ არსებული ვითარება მომავალშიც იქონიებს გავლენას ქვეყანაში მიგრაციული ნაკადების დინებაზე.

მიგრაციის თემის განხილვა სხვადასხვა კუთხით არის შესაძლებელი, ამ სტატიაში ჩვენ შევეხებით საქართველოში მყოფი უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის საკითხის მარეგულირებელ ნორმებს, მათს პრობლემებსა

და ამ მიმართულებით არსებულ სასამართლო პრაქტიკას.

გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტის (UN DESA) მონაცემებით, საქართველოში 2020 წელს 79.4 ათასი მიგრანტი აღირიცხა (UN DESA იმიგრანტი მოსახლეობის რაოდენობას ძირითადად „საზღვარგარეთ დაბადებულთა“ კატეგორიაზე დაყრდნობით ითვლის), ხოლო საქსტატის მონაცემებით, საქართველოში 2019 წელს 96 864 მიგრანტია აღრიცხული, რომელთაგან 54 478 საქართველოს მოქალაქეა, 11 515 – რუსეთის ფედერაციის, 3 419 – თურქეთის რესპუბლიკის, ხოლო 5 664 – ირანის ისლამური რესპუბლიკისა.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და იმიგრანტების ურთიერთობა, რადგან სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს იმიგრანტების სამართლებრივი მდგომარეობა და ქვეყანაში მათი ინტეგრაციის საკითხი.

საქართველოში იმიგრანტთა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხის მოსაწესრიგებლად საკმაოდ მასშტაბური სამართლებრივი ბაზაა შექმნილი. მის ძირითად ნაწილს საქართველოს კანონები შეადგენს: „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ და „საერთაშორისო დაცვის შესახებ“.

სტატისტიკური მონაცემებით, 2015-18 წლებში საქართველოში 88 493 ბინადრობის მოწმობა გაიცა, ხოლო 13 598 უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი ეთქვა. საქართველოში 11 სახის ბინადრობის ნებართვა გაიცემა, მათგან შეგვიძლია გამოვყოთ ჩვენთვის საინტერესო 6 კატეგორია:

შრომითი ბინადრობის ნებართვა – გაიცემა უცხოელზე საქართველოში

სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე – თავისუფალი პროფესიის ადამიანზე. 2015-18 წლებში საქართველოში ამ სახის ბინადრობის ნებართვა 36 044-მა უცხოელმა მიიღო.

სასწავლო ბინადრობის ნებართვა – გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით. 2015-18 წლებში გაიცა 17 753 სასწავლო ბინადრობის ნებართვა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო უცხოელი სტუდენტებისთვის

დღეს საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავს განსხვავდება მისი პოლიტიკისგან, რაც, ფიქრობთ, მთავრობის ეკონომიკურისა და უსაფრთხოების გუნდების სხვადასხვა კოზიციით არის განპირობებული.

საკმაოდ მიმზიდველი გახდა. 2015-18 წლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 16 060 უცხოელი სტუდენტი ჩაირიცხა. მათ 41%-ს ინდოეთის, 23%-ს – აზერბაიჯანის, ხოლო 4%-ს ირანის მოქალაქეები შეადგენდნენ. ამით საქართველოს ეკონომიკა დიდ მოგებას ნახულობს, ვინაიდან ფული ქვეყნიდან არ გაედინება. სახელმწიფოც შეუფერხებლად გასცემს სასწავლო ბინადრობის ნებართვას, თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ არის. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით არ გვხვდება სახელმწიფოსა და უცხოელ სტუდენტებს შორის გამოკვეთილი პრობლემა, რომელშიც არბიტრის როლის შესრულება სასამართლოს მოუწევდა.

მუდმივი ცხოვრების ნებართვა – გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღ-

ლეზე, მშობელსა და შვილებზე, აგრეთვე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე ბოლო 6 წლის განმავლობაში იცხოვრა. 2015-18 წლებში ასეთი ნებართვა 11 667 პირზე გაიცა. ამ კუთხით კი ნამდვილად ვაწყდებით ერთგვარ უთანხმოებას უცხოელებსა და სახელმწიფოს (სახელმწიფოში დამკვიდრებულ პოლიტიკას) შორის. ხშირია შემთხვევა, როდესაც საქართველოში ყოფნის სამართლებრივი საფუძვლის შესაქმნელად უცხოელები ფიქციურ ქორწინებას მიმართავენ. თუმცა მათ შორის, ვისაც აღნიშნული ნებართვის გაცემაზე უარი ეთქვა, ისეთი პირებიც არიან, რომლებიც ნამდვილად არიან დაქორწინებული და საერთო შვილებიც ჰყავთ. მათი ბლოკირება უსაფრთხოების მოტივით ხდება. ადმინისტრაციული ორგანო, კერძოდ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რომელსაც არ აქვს ინფორმაციის გადამოწმობის საშუალება, ეყრდნობა უსაფრთხოების სამსახურიდან შემოსულ წერილს ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა. წერილი არ შეიცავს ფაქტებსა და იმ არგუმენტებს, რომლებიც ასაბუთებს, თუ რის საფუძველზე არ არის მიზანშეწონილი უცხოელისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭება – უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, ირდევ გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულია, შეადგინოს ბალანსის ტესტი – შეაფასოს საფრთხე, რომელიც უცხოელმა შეიძლება შეუქმნას სახელმწიფოს, ამავდროულად გაითვალისწინოს ოჯახის ერთიანობის (ურღვევობის) პრინციპი და სათანადო შეფასების შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება.

საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა – გაიცემა უცხოელზე, რომელმაც საქართველოს კანონის – „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ – შესაბამისად არანაკლებ 300 000 აშშ დოლარის (ლარით) ეკვივალენტის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა. ასეთ

შემთხვევაში აღნიშნული ბინადრობის ნებართვა გაიცემა მისი ოჯახის წევრებზეც. უცხოელის ოჯახის წევრებად ითვლებიან: მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და უცხოელის სრულკმაცობაზე მყოფი მხარდაჭერის მიღები ან შრომისუნარო პირი. 2015-18 წლებში სახელმწიფომ 511 საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა გასცა, ხოლო 2019 წელს საქართველოში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1 310 773 740,7 ლარი შეადგინა.

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა – გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარის (ლარით) ეკვივალენტს, და მისი ოჯახის წევრებზე. 2015-18 წლებში სახელმწიფომ 6 668 მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გასცა.

უვადო ბინადრობის ნებართვა – გაიცემა 300 000 აშშ დოლარის (ლარით) ეკვივალენტის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების საფუძველზე გაცემული საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე იმ უცხოელსა და მისი ოჯახის წევრებზე, რომელთაც საქართველოში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობიდან პირველი წლის განმავლობაში არანაკლებ 50 000 აშშ დოლარის (ლარით) ეკვივალენტის წლიური ბრუნვა უდასტურდებათ, მეორე წლის განმავლობაში – არანაკლებ 100 000 აშშ დოლარის (ლარით) ეკვივალენტის წლიური ბრუნვა, ხოლო

მესამე, მეოთხე და მეხუთე წლების განმავლობაში – არანაკლებ 120 000 აშშ დოლარის (ლარით) ეკვივალენტის წლიური ბრუნვა ან 300 000 აშშ დოლარის (ლარით) ეკვივალენტზე მეტი ღირებულების უძრავი ნივთის საკუთრებაში ქონის საფუძველზე გაცემული საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე იმ უცხოელსა და მისი ოჯახის წევრებზე, რომელთაც საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მიღებიდან 5 წლის განმავლობაში ამ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება აქვთ.

ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ბინადრობის მოწმობა – ლტოლვილის სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც წარმოშობის ქვეყნის გარეთ იმყოფება და აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, ხოლო ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, თუ არსებობს რეალური საფრთხე, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას მას სერიოზული ზიანი დამუქდება.

2020 წელს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით საქართველოს უცხოეთის 864-მა მოქალაქემ მიმართა. 26-მა უცხოელმა მიიღო დაცვა, ხოლო 351-ს უარი ეთქვა (მაგალითად, ირანის 4 მოქალაქეს დაცვა მიენიჭა, ხოლო 112-ს უარი ეთქვა). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში თავშესაფრის მიღები 26 პირიდან გარკვეულმა ნაწილმა ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრა-

ციის დეპარტამენტის უარყოფითი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებით მოიპოვა.

საქართველოში საერთაშორისო დაცვის მინიჭების მაჩვენებელი, ფაქტობრივად, მხოლოდ 7%-ია. მაგალითად, ირანელების შემთხვევაში ის 3,5%-ს შეადგენს; მაშინ, როცა ევროკავშირის ქვეყნებში, კერძოდ გერმანიაში, ირანის მოქალაქეებისთვის თავშესაფრის მინიჭების მაჩვენებელი 31%-ს აღემატება. ციფრები ამკარად მიგვითითებს იმაზე, რომ გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენას პოლიტიკური ასპექტი ახდენს.

დღეს საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც მიგრაციის სფეროს აწესრიგებს, განსხვავდება მისი პოლიტიკისგან, რაც, ვფიქრობთ, მთავრობის ეკონომიკურისა და უსაფრთხოების გუნდების სხვადასხვა პოზიციით არის განპირობებული, კერძოდ, თუ ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლები სავსებით საფუძვლიანად თვლიან, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა და ამისთვის საჭიროა არსებული ლიბერალური სამიგრაციო კანონმდებლობა, უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებს ასევე საფუძვლიანად მიაჩნიათ, რომ ქვეყანაში შემოსული უცხოეთის (განსაკუთრებით აზიის) წარმომადგენლების დიდმა რაოდენობამ შეიძლება მას მომავალში საფრთხე შეუქმნას.

ყოველივე ზემოაღნიშნული უხერხულობას ქმნის პრაქტიკაში, მაგალითად, უსაფრთხოების მოტივით უცხოელის საქართველოში ლეგალურად ყოფ-

შურნალში „ჩემი ადვოკატი“ რეკლამის განსათავსებლად დაგვიკავშირდით: 0322 987878(105), მოგვწერეთ: pr@gba.ge



ნისთვის მისთვის რომელიმე სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის პროცენტული მაჩვენებელი წარმოუდგენლად მაღალია.

ვინაიდან იმიგრაციის კუთხით საქართველოს კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალურია და უცხოელებისთვის საქართველოში ლეგალურად ყოფნის საფუძვლის შექმნა დიდი პრობლემა არ არის, უსაფრთხოების სამსახური ემიგრაციული პროცესის მოსაწესრიგებლად უსაფრთხოების მოტივით უცხოელისთვის ლეგალური სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის გზას მიმართავს. სწორედ აქ იქმნება ის სამართლებრივი პრობლემები, რომელთაც გვსურს, რომ შევხვით. ასევე გვინდა არსებული სასამართლო პრაქტიკა ამ კუთხით ვაჩვენოთ.

ზოგ შემთხვევაში საქართველოში უცხოელისთვის მისი ყოფნის სამართლებრივი სტატუსი ისეთ ფუნდამენტურ უფლებებთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა: ოჯახის ურღვევობის უფლება, ბავშვის უფლებები, სიცოცხლის უფლება, კერძო საკუთრების უფლება და ა. შ.

პრაქტიკაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო – უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის მიცემაზე უარყოფით დასკვნას მაშინ გასცემს, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა, რომ სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოში მისი ცხოვრება მიზანშეუწონელია.

სწორედ აქ ვაწყდებით პირველ პრაქტიკულ და საკანონმდებლო ხარვეზს, ვინაიდან უფლებამოსილი ორგანოს (უსაფრთხოების სამსახურის) დასკვნა ბინადრობის ნებართვის მინიჭების მიზანშეუწონლობის შესახებ არ შეიცავს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც პირისთვის ბინადრობის ნებართვის მინიჭება მიზანშეუწონელი არ არის.

მიზეზების არარსებობა, თავის მხრივ, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს უზღუდავ ბალანსის ტესტის შედგენას უცხოელის უფლებასა და იმ საფრთხეს შორის, რომელიც მან შეიძლება სახელმწიფოს შეუქმნას, და ამის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, ირღვევა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლება, შეფასოს საკარადლო საფრთხე და პირის ინდივიდუალური გარემოება და სათანადო გადაწყვეტილება ამის შედეგად მიიღოს.

შერეული ქორწინების შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა, ვინაიდან უფლებები აქვს არა მხოლოდ უცხოელს, არამედ მის მეუღლეს, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, და შვილს (შვილებს). ბალანსის ტესტის არარსებობისას ოჯახის ერთიანობის პრინციპი ირღვევა. თუმცა სახელმწიფომ შეიძლება განაცხადოს, რომ არ ირღვევა, რადგან ოჯახს შეუძლია ცხოვრება უცხოელის მოქალაქეობის ქვეყანაში განაგრძოს. ერთი შეხედვით, ეს სწორიცაა, მაგრამ, თუ უცხოელი ქმარი ერაყის ან ირანის მოქალაქეა, მაშინ სახელმწიფომ გადაწყვეტილების მიღებისას ისიც უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად მოხერხდება მისი მოქალაქის ფუნდამენტური უფლებების (რწმენის თავისუფლება, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება, სიცოცხლის უფლება და ა. შ.) დაცვა უცხოელი მეუღლის მოქალაქეობის ქვეყანაში.

ბევრად უფრო პრობლემურია ისეთი შემთხვევა, როცა ლტოლვილის სტატუსის მისანიჭებლად უცხოელი აკმაყოფილებს „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის შენევის კონვენციის IA(2) მუხლითა და „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ უსაფრთხოების მიზეზით მის მიმართ უარყოფით გადაწყვეტილებას იღებენ, – ეს მაშინ, როცა უცხოელის სიცოცხლეს უკან დაბრუნების შემთხვევაში შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

ამით სახელმწიფო არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის („ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“) მოთხოვნებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი აცხადებს, რომ „არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“. აღნიშნული მუხლი არ ექვემდებარება რაიმე სახის გადახედვას (იხ., მაგალითად, საქმე №1/1989/161/217 – „სერიზი გაერთიანე-

**ეროვნული
უსაფრთხოების
ინტერესის არსებობის
მიუხედავად,
სახელმწიფოში უნდა
არსებობდეს საჭირო
მექანიზმი, რომელიც
პირს სახელმწიფოს
ბოროტი დისკრემინაციისგან
დაიცავს.**

ბული სამეფოს წინააღმდეგ“). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ყველაზე რთულ გარემოებებშიც კი, მაგალითად ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია მკაცრად კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს. იმავეს აცხადებს გაეროს „სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ“: „ლტოლვილის სტატუსიდან გათავისუფლებული პირი, სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებიდან გამომდინარე, მაინც შეიძლება იყოს დაცული წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისაგან, სადაც მას სასტიკი მოპყრობა ემუქრება. მაგალითად, კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის შესახებ კატეგორიულად კრძალავს პირის დაბრუნებას ქვეყანაში, სადაც იგი

წამებას დაექვემდებარება. ანალოგიური დებულებები არის ადამიანის უფლებათა სფეროს სხვა საერთაშორისო და რეგიონულ დოკუმენტებში“.

სწორედ ამ მიზნით შეიმუშავა საქართველომ მარეგულირებელი ნორმა, რომელიც შესაბამეა კონვენციას „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ და გამოწვევს ითვალისწინებს იმ პირობათვის, რომელთა გაძევებაც შეუძლებელია. ეს ნორმა გახლავთ „უცხოელის საქართველოდან გაძევების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №525 დადგენილებით დამტკიცებული „უცხოელის საქართველოდან გაძევების წესის“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვით უცხოელს, რომლის გაძევებაც შეუძლებელია, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოჩენისას სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო დაუყოვნებლივ აძლევს საქართველოში დროებითი ყოფნის უფლებას. თუმცა სამწუხარო რეალობაა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ჩვენს ქვეყანაში თვეობით და ლამის წლობით მიმდინარეობს, მაშინ, როდესაც დღეს მოქმედი არც ერთი ნორმატიული აქტი არ აძლევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმის საშუალებას, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და საკითხის კვლევის საბაზით გააჭიანუროს განცხადებაზე პასუხის გაცემა. რაც შეეხება უსაფრთხოების მიზეზით უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების სასამართლო პრაქტიკას, მოსამართლეს უფლება აქვს, უსაფრთხოების სამსახურიდან გამოითხოვოს ის მასალა, რომელსაც დასკვნა ემყარება, და შეადგინოს ბალანსის ტესტი, მასალა საიდუმლო ხასიათისა და ამიტომ მოპასუხე მხარეს არ უზიარებენ. შესაბამისად, უცხოელი მოკლებულია თავის მართლების შესაძლებლობას, თუმცა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს იმპერატიულ ნორმას – დაინტერესებული მხარის უფლებას, წარადგინოს თავისი მოსაზრება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მსგავსი შემთხვევებისთვის ადგენს სტანდარტს, რომლის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესის არსებობის მიუხედავად, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს საჭირო მექანიზმი, რომელიც პირს სახელმწიფოს ბოროტი დისკრეციისგან დაცავს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ეს არ არსებობს, მოსამართლეს არ ეძლევა საშუალება, გადამოწმოს უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში აღნიშნული ინფორმაცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს ამ თვალსაზრისით საქართველოში წლების განმავლობაში უგულვებელყოფენ როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ისე სასამართლო ინსტანციები. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ერთ-ერთ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული კონკრეტული და სერიოზული საფრთხის არსებობას. გავიხსენოთ საქმე “Al-Nashif v. Bulgaria”, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლებზე უცხო ქვეყნის მოქალაქის დემორტაციას ეხებოდა, მაშინ სასამართლომ განმარტა, რომ, მიუხედავად ეროვნული უსაფრთხოების რისკებისა, კანონის უზენაესობის მოთხოვნა სახელმწიფოს ავალდებულებდა, რომ ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვისას დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე უზრუნველყო რაიმე ფორმის შეჯიბრებითი პროცედურა, რომელიც შეამოწმებდა გადაწყვეტილების მიღების საფუძვლებსა და შესაბამის მტკიცებულებებს საჭიროების შემთხვევაში საიდუმლო ინფორმაციის მიმართ სათანადო პროცედურული შეზღუდვით (მაგალითად, ის მიუთითებს საგანგებო წარმომადგენელს, უსაფრთხოების სამსახურების მიერ შემოწმებულს). სასამართლო აკონკრეტებს, რომ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სადა-

ვოდ გახადოს აღმასრულებელი ხელისუფლების მტკიცება, რომ არსებობს ეროვნული უსაფრთხოების რისკები. სასამართლო აღიარებს სახელმწიფოს ფართო დისკრეციას, თავად შეფასოს, რა შეიძლება იყოს ეროვნული უსაფრთხოების საკითხი, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელ ორგანოს უნდა შეეძლოს ისეთ საქმეებზე რეაგირება, როდესაც წარმოდგენილ ფაქტებს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს რაციონალურად ვერ უკავშირებს ან ეროვნულ უსაფრთხოებას უკანონოდ ან თვითნებურად განმა-

**ეროვნული
უსაფრთხოების დაცვის
ინტერესი სახელმწიფოს
მიმდებარე ცალსახად
ჰქონდეს, მაგრამ ისიც
აუცილებელია, რომ
ყოველ კონკრეტულ
შემთხვევაში ეს
საფრთხე პირის
ინდივიდუალური
მახასიათებლების,
ფაქტობრივი გარემოებისა და
პროპორციულობის საფუძველზე და-
სტურდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვე-
ვაში სახელმწიფოს გადაწყვეტილება
დაუსაბუთებელი ხდება და განმცხადე-
ბელი უფლების არსებითი დარღვევის
წინაშე დგება.**

რტავენ, ან ისე, რომ ცნების განმარტება ეწინააღმდეგება საზოგადოდ მიღებულ წარმოდგენებს. სასამართლო ასევე აზუსტებს, რომ საქმეში განხილული მაგალითი თვალსაჩინოს ხდის სასამართლო პროცესებზე შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვას უზრუნველყოფს. ზოგიერთ ქვეყანაში განსაკუთრებული დამოუკიდებელი ორგანოც არსებობს, რომელიც საიდუმლო მასალას ეცნობა და უცხოელის მიერ ქვეყნისთვის შესაძლო საფრთხის შექმნასა და ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრების საფუძვლის მიღების უფლებას შორის ბალანსის ტესტს ადგენს. მნიშვნელოვანია სპეციალიზებული მოსამართლეების ინსტიტუტის შექმნაც.

მიმართ სენსიტიური ინფორმაციის საიდუმლოების შენარჩუნებისა და პირის სამართლებრივი დაცვის უფლების ინტერესების დაბალანსება ნაკლებად რთულია. მიუხედავად იმისა, რომ პროცედურული შეზღუდვა ეროვნული უსაფრთხოების საწინააღმდეგოდ ინფორმაციის გასაჯაროებისგან დასაცავად აუცილებელი იქნება, ასეთი საჭიროება პროცედურული გარანტიების უარყოფას ვერავითარ შემთხვევაში ბოლომდე ვერ გაამართლებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ეროვნული უსაფრთხოების დაცვის ინტერესი სახელმწიფოს შეიძლება ცალსახად ჰქონდეს, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს საფრთხე პირის ინდივიდუალური მახასიათებლების, ფაქტობრივი გარემოებისა და პროპორციულობის საფუძველზე დასტურდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი ხდება და განმცხადებელი უფლების არსებითი დარღვევის წინაშე დგება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პარალელურად გარდაუვალი გახდება ამ კუთხით როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო ორგანოების მიერ ევროპული სტანდარტების სისტემების ჩამოყალიბება. ევროპის ქვეყნებში არსებობს საკმაოდ მდიდარი პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები თანაბრად დაცული, მაგალითად, ზოგ ევროპულ ქვეყანაში საგანგებო ადვოკატებს ხელი მიუწვდებთ საიდუმლო ინფორმაციაზე, რაც სასამართლო პროცესებზე შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვას უზრუნველყოფს. ზოგიერთ ქვეყანაში განსაკუთრებული დამოუკიდებელი ორგანოც არსებობს, რომელიც საიდუმლო მასალას ეცნობა და უცხოელის მიერ ქვეყნისთვის შესაძლო საფრთხის შექმნასა და ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრების საფუძვლის მიღების უფლებას შორის ბალანსის ტესტს ადგენს. მნიშვნელოვანია სპეციალიზებული მოსამართლეების ინსტიტუტის შექმნაც.



უფასო იურიდიული დახმარების სისტემა საქართველოში

ავტორი თეა ჭეიშვილი
იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი

„ნუ ეტყვი ადამიანებს, როგორ გააკეთონ რაღაც, უბრალოდ, უთხარი, რა გააკეთონ და მიეცი მათ საშუალება, გაგაოცონ შედეგებით“.

ჯორჯ პეტონი

დამიანის უფლებათა დაცვა სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ამ მიზნით სახელმწიფო უნდა ქმნიდეს მექანიზმებს და აძლიერებდეს ინსტიტუტებს, რათა უზრუნველყოს ადამიანის საყოველთაო უფლებებისა და უმთავრეს ღირებულებათა დაცვა.

ნებისმიერი ქვეყნის სტაბილურობისა და დემოკრატიული გზით განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შექმნას ეფექტური მოდელი ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ საჭიროებათა მოსაგვარებლად და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შექმნილი მოდელით ყველასათვის თანაბრად უნდა იქნას მიღწეული მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ფუნდამენტური მიზანი. ამისი საჭიროება და აუცილებლობა კიდევ უფრო თვალსაჩინო მაშინ ხდება, როდესაც საქმე ეხება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ/ღარიბ მოსახლეობას. სწორედ ამ მიზნით არის საქართველოში შექმნილი იურიდიული დახმარების სამსახური, რომელიც მოწყვლად პირებს უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფს.

ჩვენს ქვეყანაში დღეს მოქმედი მძლავრი იურიდიული დახმარების სამსა-

ხურის შექმნას საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ არცთუ სახარბიელო სტერეოტიპთა მსხვრევა და მნიშვნელოვან საკანონმდებლო რეგულაციათა შემოღება უძღოდა წინ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში იურიდიული დახმარების გაწევა ეკისრებოდა სახელმწიფოს მიერ დანიშნულ „სახაზინო ადვოკატს“, რომელსაც ძალიან დაბალი ანაზღაურება ჰქონდა და იმ პერიოდში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც სახაზინო ადვოკატი კანონის უხეში დარღვევით ბრალდებულისგანაც იღებდა ჰონორარს. სახაზინო ადვოკატსა და პროცესის მწარმოებელ პირთა შორის კორუფციული კავშირები ნორმად იყო ქცეული, აღნიშნულის წახალისებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ადვოკატის საქმიანობის, მის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების ხარისხი არ მოწმდებოდა. შედეგად, სახაზინო ადვოკატისადმი ნდობის, მისი კეთილსინდისიერებისა და კვალიფიციურობის მიმართ საზოგადოებაში არსებულმა ნეგატიურმა დამოკიდებულებამ „სახაზინო ადვოკატის“ ინსტიტუტის სრული დისკრედიტაცია გამოიწვია, რამაც იურიდიული დახმარების ახალი მოდელის შექმნის აუცილებლობა წარმოშვა.

2003-2004 წლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ძალისხმევით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც, მნიშვნელოვანი გამოწვევის პირობებში, იურიდიული დახმარების ქართული მოდელის კონცეფციაზე მუშაობა აქტიურად დაიწყო. 2005 წელს შეიქმნა საზოგადოებრივი სახაზინო ადვოკატის სამსახური, რომელიც თბილისისა და ზესტაფონის საპილოტე ოფისების სახით ფუნქციონირებდა. პარალელურად არ წყდებოდა და აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა კანონის პროექტზე, რომლის მიზანს იურიდიული მომსახურების ორგანიზაციის ისეთი მოდელის შექმნა წარმოადგენდა, რომელიც დამოუკიდებელი ინსტიტუცია იქნებოდა, საზოგადოებაში გააჩენდა ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობას და შეცვლიდა „სახაზინო ადვოკატზე“ მანკიერი წარსულიდან მომდინარე წარმოდგენას. 2007 წელს, სამსახურის განვითარების იმ ეტაპისთვის, სახელმწიფომ ნაადრევად მიიჩნია სამსახურის დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება და მიღებული კანონით იურიდიული დახმარების სამსახური იუსტიციის სამინისტროს მართვის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდა. 2008 წელს, იურიდიული დახმარების შესახებ კანონში



შეტანილი ცვლილებების შედეგად, იურიდიული დახმარების სამსახური სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შევიდა.

სამსახურის ინსტიტუციური განვითარების ყველა ეტაპზე ადვოკატების, სამსახურის სისტემაში დასაქმებული თითოეული ადამიანის, სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების – საქართველოს კანონის უზენაესობის პროგრამა (USAID/PROLoG), ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა, (UNDP), ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ – დიდი ძალისხმევითა და თავდაუზოგავი შრომის შედეგად 2014 წელს საკანონმდებლო ცვლილებებისა და ჩატარებული რეფორმების საფუძველზე იურიდიული დახმარების სამსახური გამოეყო სასჯელალსრულების სამინისტროს და ჩამოყალიბდა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებელია თავისი საქმიანობით.

დღეისათვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მოქმედ იურიდიული დახმარების სისტემათა შორის საქართველოს აქვს იურიდიული დახმარების ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა. საქართველოში იურიდიული დახმარების სამსახური არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. სამსახური დამოუკიდებლად ასრულებს დაკისრებულ ამოცანებს. დაუშვებელია ზემოქმედება მის საქმიანობაზე. სწორედ დამოუკიდებლობის ეს ხარისხი ქმნის სამსახურის ეფექტური მუშაობის შესაძლებლობას და განსაზღვრავს ამ სამსახურის მიმართ ნდობის მაღალ ხარისხს, ხოლო მის მდგრადობას დაფინანსების წყაროები განსაზღვრავს: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, შემოწირულობა და გრანტი, ასევე – საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვადასხვა შემოსავალი.

იურიდიული დახმარების სამსახურმა ინსტიტუციური განვითარების გზაზე ბევრი ამოცანა ღირსეულად გადალახა და დღესაც ატარებს სამსახურის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების სამსახური საკმაოდ ახალგაზრდა უწყებაა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე ჩამოყალიბდა როგორც სტაბილური, წარმატებული, ავტორიტეტული და დამოუკიდებელი სამსახური.

იურიდიული დახმარების სამსახურმა ინსტიტუციური განვითარების გზაზე ბევრი ამოცანა ღირსეულად გადალახა და დღესაც ატარებს სამსახურის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების სამსახური საკმაოდ ახალგაზრდა უწყებაა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე ჩამოყალიბდა როგორც სტაბილური, წარმატებული, ავტორიტეტული და დამოუკიდებელი სამსახური.

მოქალაქემ ან მოქალაქეობის არმქონე პირმა მიიღოს უფასო იურიდიული დახმარება? რა კატეგორიის საქმეებზე შეუძლიათ მათ მიმართონ სამსახურს იურიდიული მომსახურებისა და კონსულტაციის მისაღებად? როგორ ხდება ბენეფიციარისთვის ადვოკატის მომსახურების მიწოდება?

იურიდიული დახმარების სამსახური საზოგადოების შეჭირვებული ნაწილისთვის სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კატეგორიის საქმეებზე კანონიერების, თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით ორი სახის მომსახურებას უზრუნველყოფს: იურიდიულ დახმარებასა და იურიდიული კონსულტაციის გაწევას. სამსახური იურიდიულ მომსახურებას ახორციელებს პირადი შეხვედრების, ონლაინკომუნიკაციისა და სატელეფონო კონსულტაციის, სამსახურში მოქმედი ქოლცენტრის მეშვეობით, რომლის კონცეფციის მომზადება, ტექნიკური აღჭურვა და თანამშრომელთა გადამზადება ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით მოხერხდა. დღეისათვის მოქალაქეებს საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან იურიდიული დახმარების სამსახურში 0 32 292 00 55 ნომერზე დარეკვით შეუძლიათ მიიღონ კვალიფიციური იურისტის კონსულტაცია და დახმარება.

ბენეფიციარს იურიდიული კონსულტაციით შეუძლია სამართლებრივი რჩევის მიღება ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, ხოლო იურიდიული დახმარების გაწევით – სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, სარჩელი, საჩივარი, შესაგებელი, შუამდგომლობა და სხვა დოკუმენტები) შედგენა, ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და გამართლებულის ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში. სისხლის სამართლის პროცესში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვე-

ვებში დაზარალებულის დაცვის განხორციელება სახელმწიფო ხარჯზე, წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულსა და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, ასევე წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოში.

იურიდიული დახმარების სამსახური უფასო იურიდიულ მომსახურებას უწევს არა საქართველოს ყველა მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, არამედ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ მოწყვლად პირებს, კერძოდ, უფასო იურიდიული დახმარებით (სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა, წარმომადგენლობა სასამართლოში სისხლის, ადმინისტრაციულსა თუ სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოში) სარგებლობენ: საქართველოს მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, უცხო ქვეყნის მხოლოდ ის მოქალაქეები, რომლებიც აკმაყოფილებენ იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ კრიტერიუმებს; ხოლო, რაც შეეხება სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიულ კონსულტაციას (სამართლებრივი რჩევა) ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, ის ხელმისაწვდომია ყველასათვის.

უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობის ყველა ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში მოხდა არაერთი ცვლილება და განხორციელდა არაერთი რეფორმა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული სამსახურის მანდატი 2019 წლიდან გლობალურად გაფართოვდა და, შესაბამისად, იურიდიულმა მომსახურებამ და კონსულტაციებმა მ/აღნიშნული პირებისათვის საგრძნობლად იმატა. იურიდიული სამსახურის მიერ განხორციელებული წარმატებული, ეფექტური, დროული და საფუძვლიანი რეფორმების შედეგად დღეისათვის სისხლის სამართალში ბრალდებული სარგებლობს იურიდიული დახმარებით – როგორც სავალდებულო დაცვით, ასევე ადვო-

კატის დანიშვნით, თუ ეს გადახდისუუნარო ბრალდებულს სჭირდება. სავალდებულო დაცვით სარგებლობენ შემდეგი ბრალდებული პირები: არასრულწლოვანი, ვინც არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, თუ პირს აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რომელიც ხელს შეუშლის, თავი თვითონ დაიცვას, თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით, თუ მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე, თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, თუ არაიდენტიფიცირებული პირია, თუ განიხილება გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

იურიდიული სამსახური სახელმწიფო ხარჯით ასევე უზრუნველყოფს გადახდისუუნარო ბრალდებულის დაცვას, როცა ის ადვოკატის დანიშვნას მოითხოვს, თუ ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით) სისხლის სამართლის საქმის მონაწილე არ არის; სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს სავალდებულო წესით დაუნიშნოს ადვოკატი, თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოს შეფასებით, საქმის განხილვას აჭიანურებს; ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი, რომელიც საპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, სასამართლო სხდომას არაუმეტეს 10 დღით გადადებს. ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო უფლე-

ბამოსილია, რომ ბრალდებულს ან მსჯავრდებულს სავალდებულო წესით დაუნიშნოს ადვოკატი.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი ბრალდებული/ მსჯავრდებული/ გამართლებული და დაზარალებული უზრუნველყოფილი არიან უფასო იურიდიული დახმარებით, თუ საქმეში არასრულწლოვანის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით) არ მონაწილეობს, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს შეუძლია ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით იმ შემთხვევებში, თუ იგი არის: გადახდისუუნარო ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX, XX და XXII თავებითა და 1441-ე–1443-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმე. 18 წლიდან 21 წლამდე ბრალდებული ან მსჯავრდებული სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით.

18-დან 21 წლამდე ბრალდებული ან მსჯავრდებული (მოთხოვნის შემთხვევაში), კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი – 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 451-ე და 1002-ე მუხლებით, 116-ე მუხლის მე-9 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 123-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 150-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 1533-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 1536-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 1552-ე, 157-ე და 166-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 173-ე მუხლით, 1741-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 17415-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 1752-ე, 1771-ე და 178-ე მუხლებით და 1811-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;

იურიდიული მომსახურებისა და კონსულტაციების გაწევის მანდატი ვრცელდება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც, კერძოდ, დღევანდელი მდგომარეობით იურიდიული სამსახური საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით ახორციელებს გადახდისუუნარო განმცხადებელი/საჩივრის ავტორი/მოსარჩელე/ მოპასუხე/მესამე პირის იურიდიულ დახმარებას, ადმინისტრაციულ ორგანოში/ სასამართლოში წარმომადგენლობას, თუ ეს საქმე ეხება: უძრავ ნივთთან დაკავშირებულ, საოჯახო და მემკვიდრეობის, სოციალური დახმარების, სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის, ჯანმრთელობის დაცვის, პაციენტის უფლებათა საკითხებს; ასევე – ომი-სა და თავდაცვის ძალების ვეტერანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების, საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა, აგრეთვე შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვას. სამსახურის იურიდიული მომსახურება ასევე მოიცავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საქართველოს შრომის კოდექსიდან“ და ამ კანონთა საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე საკითხებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იურიდიული სამსახური ბენეფიციართა გადახდისუუნარობის შემთხვევაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადვოკატების მეშვეობით დღეს უკვე ახორციელებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლთა, პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოებისას ბრალდებულ/

მსჯავრდებულთა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წარმოებისას სავარაუდო სამართალდამრღვევის/სამართალდამრღვევთა იურიდიულ მომსახურებას; პირის გადახდისუუნარიანობის მიუხედავად, იურიდიული მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ პაციენტ/ბრალდებულს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებისას, მხარდაჭერის მიმღებ პირს ასეთად ცნობისას, სავარაუდოდ დაცვით მოსარგებლე პირს მის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სამართალწარმოებისას, პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისას, საქმის სასამართლოში განხილვისას, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს, როდესაც მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეულ ქმედებათა შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დამცავი ორდერის გამოცემის საკითხს სასამართლო განიხილავს; მხარდაჭერის მიმღებ პირს, რომელიც არის მხარე სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციულ საქმეზე, თუ მან ზოგადი წესით არ აირჩია ადვოკატი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირს.

მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა 2015 წელს მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ხოლო 2019 წელს – ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით იურიდიული დახმარების სამსახური კვლავ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და მისი მანდატი შეეხო (სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები) ყველა არასრულწლოვანისთვის ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომით არასრულწლოვანი ბავშვის იურიდიულ დახმარებასა და კონსულტაციების გაწევას, გადახდისუუნარიანობის მიუხედავად;

ზემოაღნიშნული იურიდიული მომსახურება განისაზღვრება კანონით, თუმცა, იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს იურიდიული დახმარების გაწევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება იმ პირთათვისაც შეუძლია, რომლებიც არ არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული. საბჭოს მიერ აღნიშნული კრიტერიუმების შემოღებას განაპირობებდა მიზანი: ქვეყანაში მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს მართლმსაჯულება, უკლებლივ ყველას შეეძლოს თავისი დარღვეული უფლების დაცვა, მიუხედავად მისი თუ ოჯახის ფინანსური მდგომარეობისა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, სამსახური იურიდიულ მომსახურებას უწევს ისეთ პირს/პირებს, რომელიც მიმართავს მდე რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ითვლებოდა გადახდისუუნაროდ და ენიჭებოდა სახელმწიფო ხარჯით იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება. თუ პირის ოჯახი რეგისტრირებული არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და წარმოდგენილი სარწმუნო დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დასკვნისათვის, რომ მისი ოჯახი ისეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში იმყოფება, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ მიერ ადვოკატის დაქირავებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებას, პირი, რომელიც დაავადებულია მძიმე ან განუკურნებელი დაავადებით (დაავადებათა ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის 01-6/ნ ბრძანებით, ასევე საქართველოს მთავრობის განმარტელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ შესაბამისი დადგენილებით), მარტოხელა მშობელი, მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი, არასრულწლოვანი პირი, რომელიც



შესაძლოა იყოს მხარე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზე, ასაკით პენსიონერი, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი, საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი „კათარზისი“-ს (სათნობის სახლის) ბენეფიციარი, იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატი, ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ როგორ ხდება იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ბენეფიციარისათვის ადვოკატის გამოყოფა და იურიდიული კონსულტაციის გაწევა. სისტემა ამ მიმართულებითაც შეუფერხებლად, გამართულად და მიუკერძოებლად უზრუნველყოფს ბენეფიციარისთვის ადვოკატის მომსახურების უზრუნველყოფას. პროცედურა ასეთია: იურიდიული დახმარების ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრს მომსახურების გაწევის შესახებ განცხადებით მიმართავს ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, არასრულწლოვანი დაზარალებული, მოწმე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას ბენეფიციარები, პირადად მათი კანონიერი წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი;

სამოქალაქო/ადმინისტრაციულ სამართლის საქმეებზე (გარდა სავალდე-

ბულო დაცვის შემთხვევებისა) ადვოკატის გამოსაყოფად სამი წინაპირობა უნდა არსებობდეს: პირი უნდა იყოს გადახდისუუნარო, საქმე უნდა იყოს საგანი იურიდიული დახმარების სამსახურის უფლებამოსილებას უნდა წარმოადგენდეს. ბიუროს უფროსი/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი განიხილავს ადვოკატის დანიშვნის საფუძვლიანობას და დავის ნებისმიერი კატეგორიის გათვალისწინებით წარმოდგენილი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქმეზე ნიშნავს ადვოკატს. უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული დახმარების სამსახური ადვოკატს ვერ დანიშნავს, თუ პირი უკვე სარგებლობს საკუთარი ხარჯით აყვანილი ადვოკატის მომსახურებით. რაც შეეხება საკონსულტაციო ცენტრების მიერ მომსახურების გაწევას, ფიზიკური პირის ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად, დაინტერესებულ პირებს იურიდიულ კონსულტაციას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაუწევენ აღნიშნული ცენტრებისათვის მიმართვის გზით. იურიდიული კონსულტაციის ხანგრძლივობა არაუმეტეს ერთი საათია. საკონსულტაციო ცენტრებში კონსულტანტი დაინტერესებულ პირს კონსულტაციის გაწევისას განუმარტავს ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის ფარგლებში მომსახურების პირობებს, არაკვევს პრობლემის არსში და უწევს შესაბამის კონსულტაციას;

იურიდიული დახმარების ბიურო სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატის ჩართვის საკითხს წყვეტს დაუყოვნებლივ და ბენეფიციარი უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფილია ადვოკატის მომსახურებით, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, თუ საქმის გარემოებანი არ მოითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღებას, ბიუროს უფროსი/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი ადვოკატის დანიშვნის საკითხს განცხადების, მიმართვის ან განჩინების ჩაბარებიდან 2 დღის განმავლობაში განიხილავს და დაკმაყოფილების შემთხვევაში ნიშნავს საქმეზე ადვოკატს;

ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრს იურიდიული დახმარების გაწევაზე უარის თქმის უფლება მხოლოდ იმ საფუძვლით აქვს, თუ დასაცავი პირი ან/და საქმის მოცემული კატეგორია სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების კანონმდებლობით დადგენილ წინაპირობებს არ აკმაყოფილებს. ასეთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ბიუროს უფროსი/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი წერილობით გასცემს დასაბუთებულ პასუხს იურიდიულ დახმარების გაწევაზე უარის შესახებ; ბიუროს უფროსი/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი იურიდიული დახმარების გაწევაზე უარს დაუყოვნებლივ აცნობებს სამსახურის დირექტორს. პირისთვის

ბიუროს უფროსის/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტის უარი იურიდიული დახმარების განწევის თაობაზე საჩივრდება სამსახურის დირექტორთან, სამსახურის დირექტორის უარი კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში.

იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართ დიდ ნდობას მეტწილად სამსახურის მართვისა და ხელმძღვანელ ორგანოთა მოწყობა და გამჭვირვალე საქმიანობა განაპირობებს.

იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას დირექტორი ახორციელებს, რომელსაც (სამსახურის დირექტორს) ღია კონკურსის წესით 5 წლის ვადით ირჩევს იურიდიული დახმარების საბჭო. დირექტორად შეიძლება შერჩეულ იქნეს არანაკლებ 30 წლის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს იურისტად მუშაობის არანაკლებ ხუთი წლისა და ხელმძღვანელად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. დაუშვებელია დირექტორად ერთისა და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა. დირექტორი ახორციელებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, აღასრულებს საბჭოს გადაწყვეტილებებს, ის არის სამსახურის წარმომადგენელი მესამე პირებთან ურთიერთობაში. დირექტორი არ არის საბჭოს წევრი და უფლებამოსილების ვადის განმავლობაში მას არ აქვს საადვოკატო და სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელების უფლება, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. იმის გათვალისწინებით, რომ იურიდიული დახმარების სამსახური ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე, სამსახურის დირექტორი ყოველწლიურად არაუგვიანეს 1 მარტისა საბჭოსთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს სამსახურის წინა წლის საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს. დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე. დირექტორის

გადაწყვეტილებები საჩივრდება სასამართლოში.

იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქციების ეფექტური შესრულების, დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სამსახურში შექმნილია მართვის ორგანო – იურიდიული დახმარების საბჭო, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი 9 წევრისაგან შედგება. საბჭოში 3 წევრს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო წარადგენს, 3 წევრს კი – სახალხო დამცველი. საქართველოს ადვოკატთა ასოცი-

უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობის ყველა ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში მოხდა არაერთი ცვლილება და განხორციელდა არაერთი რეფორმა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული სამსახურის მანდატი 2019 წლიდან გლობალურად გაფართოვდა და, შესაბამისად, იურიდიულმა მომსახურებამ და კონსულტაციებამ გ/აღნიშნული პირებისათვის საბრძოლველ იმატა.

ციისა და სახალხო დამცველის მიერ წევრების არჩევისას მოქმედებს როტაციის მექანიზმი, რაც საბჭოს წევრთა მესამედის ყოველწლიურ განახლებას გულისხმობს (ერთი წევრი აირჩევა ერთი წლის, მეორე – ორი წლის და მესამე – სამი წლის ვადით). აღნიშნული მექანიზმი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საბჭოს მუდმივ განახლებას მაღალი პროფესიული გამოცდილების მქონე პირებით და,

მეორე მხრივ, ინსტიტუციური მეხიერების შენარჩუნებას უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, საბჭოს შეუფერხებელსა და დინამიკურ მოღვაწეობას განაპირობებს. საბჭოს წევრთაგან ერთ-ერთს იურიდიული დახმარების ბიუროები წარადგენენ, რომლებშიც საბჭოში წარსადგენი წევრის არჩევა სრული გამჭვირვალობისა და ობიექტურობის დაცვით მიმდინარეობს. თავის შემადგენლობაში შემავალ ადვოკატთაგან იურიდიული დახმარების ბიურო საბჭოში წარსადგენ წევრს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო პროგრამის შეფასების საფუძველზე ირჩევს. საბჭოს წევრს ფარული კენჭისყრით ამავე ბიუროს ადვოკატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევენ. გამარჯვებულად ის ადვოკატი ითვლება, რომლის სამოქმედო გეგმაც მეტ ხმას მიიღებს. კენჭისყრაში არ მონაწილეობს კანდიდატი, რომლის პროგრამასაც კენჭს უყრიან. იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭოში ერთ წევრს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთაგან იუსტიციის მინისტრი წარადგენს, ერთ წევრსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთაგან – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ერთი და იგივე პირი საბჭოს წევრად ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლება აირჩიონ. საბჭოს წევრებს 3 წლის ვადით ირჩევენ, გარდა საბჭოს იმ წევრისა, რომელიც იმავე დროს არის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი, ერთი წლით არჩეული. საბჭოს წევრები ანაზღაურების გარეშე მუშაობენ. საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც საბჭოს წევრების მიერ საბჭოს სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით 1 წლით აირჩევა. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ აირჩიონ. საბჭოს თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის არყოფნისას წარმართავს საბჭოს სხდომას. საბჭოს სხდომაში სამსახურის დირექტორი მონაწილეობს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით, საბჭოს სხდომა საჯაროა, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც, განსახილველი საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, საბჭო სხდომის დახურვას მიზანშეწონილად მიიჩნევს. საბჭო იკრება თვეში ორჯერ მაინც. საბჭოს საქმიანობის წესს საბჭოს დებულება განსაზღვრავს.

იურიდიული დახმარების სამსახურის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის სამსახურში შექმნილია სამმართველოები, რომლებშიც ადმინისტრაციული პერსონალია დასაქმებული, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამსახურის მართვაში. აპარატის ფორმირების წესს, სტრუქტურასა და უფლებამოსილებას კი სამსახურის დებულება განსაზღვრავს. სამსახურში ფუნქციონირებს შემდეგი სამმართველოები: ადამიანური რესურსების მართვის, საქმისწარმოების, ფინანსური, შესყიდვის, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშშვების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სისხლის სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების, ანალიტიკური, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვისა, სამდივნო და შიდა აუდიტისა. საბჭოს მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხის გათვალისწინებით სამსახურში ფუნქციონირებს 225 საშტატო ერთეული. საშტატო თანამდებობებზე დასაქმებულია 180 თანამშრომელი;

იურიდიული დახმარების სამსახური იურიდიულ დახმარებასა და კონსულტაციების განწევას საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით უზრუნველყოფს. საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების 13 ბიურო, 25 მოქმედი საკონსულტაციო ცენტრი

და ერთიც დისტანციური მომსახურების ცენტრი. იურიდიული დახმარების ბიუროები გახსნილია შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზესტაფონი, ახალციხე, გორი, ზუგდიდი, თელავი, მცხეთა, ოზურგეთი, რუსთავი, სიღნაღი და ფოთი.

იურიდიული დახმარების საკონსულტაციო ცენტრები ფუნქციონირებს ამბროლაურში, მესტიაში, ცაგერში, საჩხერეში, ახალქალაქში, წალკაში, მარნეულში, დმანისში, დუისში, დუშეთში, ყვარელში, ლაგოდეხში, შუახევში, ხულოში, ქობულეთში, წალენჯიხაში, აბაშაში, ჩხოროწყუში, მარტვილში, ხობში, ბაღდათში, ჩყალტუბოში, ჭიათურაში, ქედაში. 2021 წლიდან იგეგმება 21 საკონსულტაციო ცენტრის გახსნა: ტყებულში, ვანში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ონში, ბოლნისში, თეთრიწყაროში, დედოფლისწყაროში, გარდაბანში, ახმეტაში, გურჯაანში, თიანეთში, ადიგენში, ხაშურში, ქარელში, ლენტეხში, ხონში, სენაკში, შუახევში, ვანსა და ხარაგაულში. წეროვნის დევნილთა დასახლებაში მოქმედებს დისტანციური მომსახურების ცენტრი.

იურიდიული დახმარების ბიურო, სამსახურის შემადგენელი ერთეული, სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებს იურიდიულ დახმარებასა და საჭირო კონსულტაციას. იურიდიული დახმარების ბიუროს მართავს ხელმძღვანელი. იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირებისათვის თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებასა და იურიდიულ კონსულტაციას უზრუნველყოფენ სისხლის, სამოქალაქო/ადმინისტრაციული, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა უფლებების კოდექსის სპეციალიზაციის მქონე მაღალი კვალიფიკაციის ადვოკატების საშუალებით, რომლებიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები არიან და მოქმედებენ ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული ადვო-

კატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით.

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, მომსახურებისა და კონსულტაციის შეუფერხებლად გასაწევად იურიდიული დახმარების სამსახურში დამატებით წარმოებს მოწვეული ადვოკატების რეესტრი, რომელშიც ადვოკატი რეგისტრირდება განცხადების საფუძველზე ღია კონკურსის გზით.

რეესტრის ადვოკატი საქმეში მხოლოდ იმ შემთხვევაში ერთვება, თუ საქმე ეხება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ინტერესთა კონფლიქტის რომელიმე შემთხვევას; რეგისტრში არ მოქმედებს იურიდიული დახმარების ბიურო; განსაკუთრებულ შემთხვევებში – ბიუროს უფროსის, საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტის ან მიმწოდებლის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე – სამსახურის დირექტორი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუ არსებობს რომელიმე ზემოაღნიშნული საფუძველი სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის კატეგორიის საქმეებზე, რეესტრის ადვოკატს ფიზიკური პირის განცხადების, პროცესის მწარმოებლის მომართვის ან განჩინების საფუძველზე ნიშნავს ბიუროს უფროსი/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი; საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატი იურიდიულ დახმარებას იურიდიული დახმარების ბიუროს, მიმწოდებლის ან საკონსულტაციო ცენტრის მიმართვის საფუძველზე სახელმწიფოს ხარჯზე ეწევა. დღეისათვის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულია 58 ადვოკატი.

იმის გათვალისწინებით, რომ იურიდიული დახმარების სამსახური საბიუჯეტო დაწესებულებაა, მისი კანონისმიერი ვალდებულებაა ბენეფიციარებს მაღალხარისხიანი იურიდი-

ული მომსახურება და კვალიფიციური კონსულტაცია გაუწიოს. დღეისათვის იურიდიული დახმარების სამსახურის უმნიშვნელოვანეს ამოცანას სწორედ სამსახურის მიერ იურიდიული მომსახურების ხარისხის შეფასების სისტემის შემოღება წარმოადგენს. მაღალხარისხის იურიდიული მომსახურების გაწევა პირდაპირ უკავშირდება სამსახურის, როგორც ინსტიტუციის, ავტორიტეტს, ნდობას, დამოუკიდებლობას, ფინანსურ მდგრადობას და ა.შ. სამსახურის მიერ ხარისხიანი იურიდიული მომსახურების გასაწევად იურიდიული დახმარების საბჭომ 2020 წლის 04 ივლისის N75 გადაწყვეტილებით დაამტკიცა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები. ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები შემუშავებულ იქნა ადვოკატის დამოუკიდებლობის, პროფესიული საიდუმლოებისა (კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დაუშვებლობა) და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, მისი სრული დაცვით. მიღებული წესის შესაბამისად, შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ ადვოკატის მიერ დასრულებული საქმე, ამასთან, საქმეში უნდა იყოს ბენეფიციარის თანხმობა შეფასების მიზნებისათვის მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ;

შეფასების სისტემა ითვალისწინებს სამსახურის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურების ხარისხის შეფასებას პრაქტიკული კომპეტენციისა და პროფესიული უნარების კრიტერიუმებით. მნიშვნელოვანია და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეფასებას არ ექვემდებარება ადვოკატის მიერ ბენეფიციართან შეთანხმებული საქმის წარმართვის სტრატეგია (საქმის წარმართვის სტრატეგიას ბენეფიციართან შეთანხმებით ადვოკატი განსაზღვრავს). შესაბამისად, ბენეფიციარისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ მუშავდება (ადვოკატს

კანონით ეკრძალება კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება); სამსახურის შეფასების სისტემა გამორიცხავს ადვოკატის მიმართ რაიმე სახის დასჯის მექანიზმის გამოყენებას, ამისი ნათელი მაგალითი ის მომსახურების ხარვეზები დადგინდება, ადვოკატი ვალდებული იქნება, გადაზღაურების კურსები გაიაროს. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეულ იურიდიულ მომსახურებაში გაჩენილ ხარვეზებზე დროული რეაგირებისათვის სამსახურში მოქმედებს ეფექტური მექანიზმი, კერძოდ, იუ-

სამსახურის საქმიანობაში მიღწეული წარმატებები და დროული რეაგირების განსახორციელებლად მნიშვნელოვნად არის განპირობებული ძლიერი მენეჯმენტით, თითოეული ადვოკატის თავდაუზოგავი შრომითა და სახელმწიფოსა და საქართველოს დონორი ორგანიზაციების (USAID/PROLoG, UNHCR, UNDP, UNICEF).

რიდიული დახმარების საბჭოს N69 გადაწყვეტილებით 2020 წლის 1 იანვრიდან სისტემაში ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ადვოკატების, კონსულტანტების, აპარატის თანამშრომლების, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა, რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატებისა და სხვა თანამშრომელთა პროფესიული მხარდაჭერის საჭიროებათა იდენტიფიკაციას, ადვოკატებისა და

კონსულტანტებისთვის საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის სიახლეების გაცნობას, იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამართველოების რეკომენდაციების საფუძველზე სემინარებისა და ტრენინგების დროულ ორგანიზებას. ხანგრძლივი განათლების მიზნებისთვის ტრენინგ-მოდულები შეირჩევა ბენეფიციართა მომართვის მაჩვენებლისა და ადვოკატთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით.

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მიწოდებული იურიდიული დახმარებისა და გაწეული კონსულტაციების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი მხარდამჭერთა ჯგუფიც, რომელიც საქმიანობას მხარდამჭერთა ჯგუფის დებულების შესაბამისად ეწევა. მხარდამჭერთა ჯგუფი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივი ადვოკატებისაგან შედგება, საზოგადოებრივი ადვოკატების სამართლებრივ მხარდაჭერას ახორციელებს. ადვოკატის მიმართვა მხარდამჭერთა ჯგუფისათვის ნებაყოფლობითია. მხარდამჭერთა ჯგუფს ინფორმაცია საქმის შესახებ ადვოკატის მიერ დეპერსონალიზებული ფორმით მიეწოდება. ადვოკატისათვის მხარდამჭერთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია სავალდებულო არ არის, მას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. ადვოკატს შეუძლია გარკვეული განმარტებანი მიიღოს კოლეგებისაგან, მოისმინოს მათი მოსაზრებანი და რთული, კომპლექსური და განსხვავებული საქმეების წარმოების დროს მათი გამოცდილება გაიზიაროს; რაც საქმის მწარმოებელ ადვოკატს საშუალებას მისცემს კვალიფიციურად წარმოადგინოს სამსახურის ბენეფიციარი მისთვის მაღალხარისხის იურიდიული მომსახურების გაწევით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ამოცანების ფონზე სამსახურის პრიორიტეტს კვლავ ადვოკატის საქმიანობის შეფასების სრულყოფილი სისტემის

შექმნა წარმოადგენს, ამ მიმართულებით სამსახური აპირებს ძალისხმევა არ დაიშუროს, რათა უმოკლეს ვადაში შეფასების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სისტემა გვქონდეს, რომელიც მომავალშიც ღირსეულად უზრუნველყოფს ბენეფიციარების ხარისხიან იურიდიულ მომსახურებას.

იურიდიული დახმარების სამსახურის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს ჩვენი სამსახურის პოპულარობის გაზრდა წარმოადგენს, რისთვისაც იურიდიული დახმარების სამსახური, როგორც რეფორმატორი ინსტიტუტი, აქტიურად განაგრძობს მნიშვნელოვან ღონისძიებათა გატარებასა და იურიდიული დახმარების სამსახურის შემდგომ ინსტიტუციურ განვითარებას. ამ მიზნით შეიქმნა რადიოგადაცემა „სამართლებრივი რჩევები“, რომელსაც სამსახურის დირექტორი ბ-ნი რაჟდენ კუპრაშვილი უძღვება. იურიდიული დახმარების სამსახურის ისტორიაში პირველად მომზადდა სამართლებრივი ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“. ჟურნალი განკუთვნილია როგორც იურიდიული წრეების წარმომადგენლებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისათვის და მიზნად ისახავს საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებასა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხის განხილვას.

იურიდიული დახმარების სამსახურის პოპულარობის გაზრდისა და მომავალი თაობის პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად სამსახურში ფუნქციონირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად შექმნილი და მოქმედი სასწავლო პროგრამის პრაქტიკული კურსი – იურიდიული კლინიკა – რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიღრმავონ თეორიული ცოდნა, პრაქტიკოს ადვოკატებთან ერთად რეალურ საქმეებზე მუშაობის შედეგად გამოიმუშაონ და განვიითარონ ადვოკატისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. სწავლების პროცესი მიმდინარეობს

საკონტაქტო (პრაქტიკული მუშაობა, კლინიკის ანგარიშის პრეზენტაცია) და დამოუკიდებელი მუშაობის (დასკვნითი გამოცდისათვის კლინიკური სწავლების ანგარიშის მომზადება და სხვ.) ფორმატით. იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა ხელმისაწვდომია საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების დამამთავრებელი და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

იურიდიული დახმარების სამსახურის ინსტიტუციური მდგრადობა კიდევ ერთხელ დადასტურდა ქვეყანაში არსებული კოვიდპანდემიის პირობებში. Covid 19 პანდემიიდან გამომდინარე, სამსახურის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანების მიუხედავად, ჩვენი სამსახურის პროფესიონალები გუნდი მაღალი პასუხისმგებლობითა და თავდადებით გაუმკლავდა ამასაც. როგორც ადვოკატებისათვის, ასევე ადმინისტრაციული პერსონალისათვის საჭირო გახდა საქმის წარმოებაში გამართული ელექტრონული კომუნიკაციების სრულყოფილი დანერგვა. ამ მიზნით იურიდიული სამსახურის მიერ ელექტრონული დოკუმენტრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემასთან (eFlow) ერთად დაწესდა დოკუმენტების (სამსახურებრივი ბარათი, განცხადება, წერილი და ა.შ.) მიწოდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მათ შორის მივლინების, შევსებულებისა და ა.შ.; სასამართლოს პროცესზე დისტანციურად ჩართვისთვის საზოგადოებრივი ადვოკატებისათვის სახლიდან ZOOM-ისა და WEBEX-ის პროგრამების ინსტალირება უზრუნველყოფს, ქოლცენტრის კონსულტანტების მიერ სამსახურის ცხელი ხაზის ზარებზე დისტანციურ რეჟიმში შინიდან პასუხის გაცემის ორგანიზებას განხორციელდა. უზრუნველყოფს იურიდიული საქმის წარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაზე (case-bank) წვდომა, თანამშრომლებისათვის კომუნიკაცია უწყვეტად რომ ყოფილიყო შესაძლებელი, შეიქმნა WhatsApp-ის ჯგუფები. დადგინდა სამსახურში დაგეგმილი გადაზღაურების პროგრამების დისტანციურად ჩატარების წესი.

2020 წელს ტრენინგების უმრავლესობა (80%) ჩატარდა დისტანციურად zoom.us-ის პლატფორმაზე. სამსახურის თანამშრომლებს გაუზიარეს ინფორმაცია და გაუწიეს ტექნიკური დახმარება დისტანციურ საშუალებათა გამოსაყენებლად; ტრენინგებზე რეგისტრაცია, მასში მონაწილეობა და შემდგომი შეფასება დისტანციური საშუალებებით განხორციელდა; ქალაქების ჩაკეტვისა და კომუნდანტის საათის დაწესებიდან გამომდინარე, სამსახურმა ადვოკატები და მძღოლები თავისუფლად გადაადგილებისათვის საშუალებით უზრუნველყო, დადგინდა სამსახურში დაგეგმილი გადაზღაურების პროგრამების დისტანციურად ჩატარების წესი.

სამსახურის საქმიანობაში მიღწეული წარმატებები და მუდმივი სწრაფვა საჭირო და დროული რეფორმების განსახორციელებლად მნიშვნელოვნად არის განპირობებული ძლიერი მენეჯმენტით, თითოეული ადვოკატის თავდაუზოგავი შრომითა და სახელმწიფოსა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით (USAID/PROLoG, UNHCR, UNDP, UNICEF). 2020 წელს სამსახურმა დონორ ორგანიზაციებთან წარმატებულ მოლაპარაკებათა შედეგად მიიღო 115,648.22 აშშ დოლარისა და 79,501.57 ლარის გრანტი. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR), გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის ოფისის (OHCHR), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG, USAID-PROLoG – PROMOTING RULE OF LAW IN GEORGIA) მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურმა განახორციელა და მომავალშიც განახორციელებს მნიშვნელოვან საქმეებს, რომლებიც ხელს შეუწყობს იურიდიული დახმარების სამსახურის შემდგომ ინსტიტუციურ განვითარებას.



ალსრულება, როგორც სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ნაწილი

ავტორი ეკატერინე ახალკაცი
სსიპ ალსრულების ეროვნული ბიუროს იურისტი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი საპროცესო უფლებებს ადგენს – კერძოს პირველივე ნაწილის მიხედვით: ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად სასამართლოს მიმართოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით.

საქართველოს კონსტიტუციაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გამოიყოს 59-ე მუხლი, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას განამტკიცებს, კერძოდ: სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები ახორციელებენ.

საყურადღებოა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს კონსტიტუციის 61-ე მუხლი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს არის საკასაციო სასამართლო, რომლის შემადგენლობაში შედის 28 მოსამართლე (არანაკლებ), რომელთაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგენით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.

შეუძლებელია, იმსჯელო სასამართლო ხელისუფლებაზე და მოსამართლის ცნება არ განმარტო. დავეყრდნობი საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია

და მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს ემორჩილება. გადაწყვეტილების მიღებისას ყოველგვარი ზემოქმედება მოსამართლეზე ზეგავლენის მოსახდენად იკრძალება და კანონით ისჯება. ბათილია ყოველი აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ხელშეუხებელია, დაუშვებელია მისი მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაკავება ან დაპატიმრება, საცხოვრებლის ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან თვითონ მისი გაჩხრეკა, თუ ის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში ეს დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს დანაშაულზე წასწრების შემთხვევა. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოება. ხაზგასასმელია, რომ მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასა და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სასაქალაქო სახით ჯარიმის გამოყენებასთან მიმართებით

საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე:

Mamidakis v. Greece, მომჩივანი – ბერძენი, ნავთობის კომპანიის დირექტორი (The Oil Company Mamidoil–Jetoil SA). 1997 წელს ნავთობპროდუქტის კონტრაბანდისა და ასევე საბაჟო წესების დარღვევისათვის ჯარიმის სახით მას 3,008,216 ევროს გადახდა დაეკისრა, ჯამურად, 4,946,145 ევრო. მომჩივანმა გაასაჩივრა აღნიშნული ჯარიმის ოდენობა, მაგრამ უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი საჩივარი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომ – ევროპული სასამართლო) წინაშე მომჩივანი აცხადებდა, რომ დაკისრებული ჯარიმის გადაჭარბებულმა ოდენობამ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლისა (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევა გამოიწვია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უნდა არსებობდეს პროპორციული ურთიერთმიმართება გატარებულ ზომასა და მისაღწევ მიზანს შორის. განსახილველ საქმეში შეზღუდვა კანონით იყო გათვალისწინებული და გამართლებული საჯარო ინტერესების დაცვით, კერძოდ, კონტრაბანდის (დანაშაულის) წინააღმდეგ საბრძოლველად. რაც შეეხება მომჩივნის უფლებაში ჩარევასა და საერთო ინტერესების დაცვას შორის პროპორციულობის მოთხოვნას, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაკისრებული ჯარიმა იყო შეუსაბამოდ მაღალი. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს საკითხზე სახელმწიფოს აქვს თავისუფალი შეფასების არე, მომჩივნის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით დაკისრებული ჯარიმა მაინც მისაღწევი

მიზნის არაპროპორციულად ჩაითვა-
ლა. შესაბამისად, სასამართლომ ერ-
თხმად დაადგინა 1-ლი დამატებითი
ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა.

საქმეზე *Griffhorst v. France* საფრანგე-
თიდან ანდორაში გადასვლისას, სა-
ბაჟოს თანამშრომლების მოთხოვნით,
მომჩივანმა არ წარადგინა თანხა (EUR
233,056), რომელიც თან ჰქონდა. ის
დამნაშავედ ცნეს საბაჟო კოდექსით
გათვალისწინებულ ვალდებულებათა
შეუსრულებლობის გამო და ამავე კო-
დექსის საფუძველზე ჩამოართვეს თანხა,
რომელიც საბაჟოზე დამალა. გარდა
ამისა, მას დაევალა ჩამორთმეული
თანხის ოდენობის ნახევრის ჯარიმის
სახით გადახდა და პატიმრობაც შეეფა-
რდა. ევროპული სასამართლოს წინაშე
მომჩივანი დავობდა, რომ მის მიმართ
კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის
1-ლი მუხლი დაირღვა. სასამართლომ
მიუთითა ადამიანის უფლებათა ევრო-
პული სასამართლოს მიერ სხვა არაე-
რთ გადაწყვეტილებებში დამკვიდრებულ
სტანდარტზე, რომ უნდა არსებობდეს
სამართლიანი ბალანსი შებლუდულ
უფლებასა და მისაღწევ მიზანს შორის.
ასევე ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფო
სარგებლობს თავისუფალი შეფასების
არეალით, თვითონ განსაზღვროს ჯარი-
მის სახეობა და გადაწყვიტოს, რამდენად
ემსახურება აღნიშნული საჯარო ინტერე-
სების დაცვას კანონით განსაზღვრული
მიზნის მისაღწევად.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა,
რომ ჯარიმა გათვალისწინებული იყო
კანონით, რომელიც აკმაყოფილებ-
და კონვენციის მოთხოვნებს; თუმცა
სასამართლომ სახელმწიფოს მიერ
დაკისრებული სანქციების პროპორცი-
ულობაზე გაამახვილა ყურადღება და
მიიჩნია, რომ არ იყო დაცული სამა-
რთლიანი ბალანსი – დაკისრებული
ჯარიმა და სხვა სანქციები იყო ჩადე-
ნილი ქმედების არაპროპორციული;
შესაბამისად, დადგინდა კონვენციის
პირველი დამატებითი ოქმის პირველი
მუხლის დარღვევა.

აღნიშნულ საქმეთაგან განსხვავებით,
Konstantin Stefanov v. Bulgaria

საქმეზე ევროპულმა სასამართლომ
არ დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის
1-ლი მუხლის დარღვევა.

მომჩივანს, ეროვნებით ბულგარელ იუ-
რისტს, 260 ევროს ოდენობის ჯარიმა
იმის გამო დაეკისრა, რომ უარი თქვა
დაცვის ქვეშ მყოფი პირის წარმომ-
დგენლობაზე. მომჩივანი აცხადებდა,
რომ აღნიშნული ჯარიმით დაირღვა
კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის
1-ლი მუხლით დაცული საკუთრების
უფლება. სასამართლომ მიიჩნია, რომ
მომჩივნისთვის ჯარიმის სახით დაკის-
რებული თანხა წარმოადგენს საკუთ-
რებას, ამდენად, მასზე კონვენციის


**ჯარიმა ინიშნება როგორც
დამატებით, ასევე
ძირითად სასჯელად,
მაგრამ არ არის
მითითებული, რომ, თუ
სასჯელის ძირითად სახედ
სასამართლო ჯარიმას
იყენებს, მას არ შეუძლია
დამატებით სასჯელადაც
ჯარიმა გამოიყენოს,
რაც, პრაქტიკულად,
საკანონმდებლო
ხარვეზია, რადგან,
თუ ჯარიმა ძირითადი
სასჯელია, იგი დამატებითი
სასჯელის როლს ვეღარ
შეასრულებს.**

1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი
ვრცელდება. ის ეკუთვნის აღნიშნული
მუხლის მე-2 ნაწილს, რომელიც სახე-
ლმწიფოს უფლებას აძლევს ჯარიმე-
ბის გადახდის უზრუნველსაყოფად
საკუთრებით სარგებლობა შეზღუდოს.
შეზღუდვის კანონიერებასთან დაკავში-
რებით სასამართლომ აღნიშნა, რომ
ეროვნულმა სასამართლომ მომჩივანი
სამართლებრივი ნორმის საფუძველზე
დააჯარიმა, რაც სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის ნაწილია. ევრო-
პულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ
კანონი აკმაყოფილებდა კონვენციის
მოთხოვნებს და ჯარიმა არ იყო თვით-
ნებური; მომჩივანს პროცედურული
გარანტიებითაც შეეძლო, რომ გაე-
საჩივრებინა ჯარიმა. საბოლოოდ კი
აღინიშნა, რომ ჯარიმა არც მკაცრი
იყო და არც არაპროპორციული, ის
ემსახურებოდა საჯარო ინტერესებს. ამ
ყოველივეს გათვალისწინებით, არ და-
დგინდა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი
მუხლის დარღვევა.

ზემოაღნიშნული საქმეების ანალიზით
ირკვევა, რომ ჯარიმის ვალდებულე-
ბის დაკისრებით გამოწვეული კონ-
ვენციით გარანტირებულ უფლებათა
სავარაუდო დარღვევის განხილვისას
სასამართლო მხედველობაში იღებს,
პროპორციულია თუ არა დაკისრე-
ბული თანხა ლეგიტიმურად მისაღ-
წევი მიზნისა, დაცულია თუ არა სამა-
რთლიანი ბალანსი მისაღწევ მიზანსა
და პირისთვის დაკისრებულ სანქციას
შორის და, როგორც აღინიშნა, ევრო-
პული სასამართლო მიიჩნევს, რომ
განსახილველი საკითხი სახელმწი-
ფოს თავისუფალი შეფასების არეალ-
ში ექცევა; თუმცა ის მაინც დაადგენს
დარღვევას, თუკი შეზღუდვა არ შე-
ესაბამება კონვენციის მოთხოვნებს,
იმის მიუხედავად, რომ, ერთი მხრივ,
ევროპული სასამართლო აღიარებს
სახელმწიფოთა დისკრეციას ჯარიმის
ოდენობის განსაზღვრის საკითხში, მე-
ორე მხრივ, აცხადებს, რომ დაკისრე-
ბული ფულადი ვალდებულება პრო-
პორციული უნდა იყოს.

2005 წლის 9 მარტს საქართველოს
მოქალაქეებმა ამირან ნაცვლიშვილმა
და რუსუდან ტოგონიძემ ადამიანის
უფლებათა და ძირითად თავისუფლე-
ბათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის
შესაბამისად ადამიანის უფლებათა
ევროპულ სასამართლოში საქართვე-
ლოს წინააღმდეგ განაცხადი წარა-
დგინეს. განმცხადებლები დავობდნენ,
რომ საპროცესო შეთანხმების გამო-
ყენებით მათ მიმართ კონვენციის მე-6
მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-7 დამა-
ტებითი ოქმის მე-2 მუხლი დაირღვა.



ასევე სადავო გახადეს და მიუთითეს
პირველი განმცხადებლის მიმართ
უდანაშაულობის პრეზუმეციისა და
1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუ-
ხლის სავარაუდო დარღვევა, აგრეთ-
ვე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის
34-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვე-
ვაც.

ორივე განმცხადებელი დავობდა, რომ
ზიანის ძალდატანებით ანაზღაურები-
თა და ჯარიმის სანაცვლოდ სისხლის
სამართლის საქმის წარმოების შეწყვე-
ტით 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუ-
ხლიც დაირღვა.

სასამართლომ განმარტა, რომ, საპ-
როცესო შეთანხმებიდან გამომდინარე,
ზიანის ანაზღაურებაც და სხვა ფულადი
გადასახადიც პირველი განმცხადებლის
სისხლისსამართლებრივი პასუხის-
მგებლობიდან მომდინარეობდა და
ამ ფულადი გადასახადების კანონი-
ერება საპროცესო შეთანხმების სა-
მართლიანობისგან ვერ გაიმიჯნება.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია,
რომ 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი
მუხლი არ დარღვეულა.

ჯარიმის აღსრულება

ჯარიმის აღსრულების პროცედურის,
ჯარიმისთან დაკავშირებული ხანდაზ-
მულობისა და აღსრულების შეწყვე-
ტის საკითხებს საქართველოს კანონი
„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“
არეგულირებს. დასახელებული კანო-
ნის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შე-
საბამისად, ამ კანონით დადგენილი
წყისით აღსრულებას ექვემდებარება
სისხლის სამართლის საქმეზე კანონი-
ერ ძალაში შესული გამამტყუნებელი
სასამართლო განაჩენი ფიზიკური ან/
და იურიდიული პირისათვის სასჯელის
სახით ჯარიმის დაკისრების ან/და ქო-
ნების ჩამორთმევის შესახებ.

მოცემული კატეგორიის სააღსრულე-
ბო საქმეთა აღსრულების პროცესში
აღმასრულებელი ამავე კანონით და-

დგენილ იძულებით მექანიზმებს იყე-
ნებს, მათ შორის ახორციელებს მო-
ვალისათვის წინადადების გაგზავნას
გადაწყვეტილების ნებაყოფლობით
შესრულების თაობაზე, იძიებს მოვა-
ლის ქონებას და ადებს ყადაღას, მოვა-
ლეს გაატარებს მოვალეთა რეესტრის
რეგისტრაციაში, საჭიროების შემთხვე-
ვაში მიმართავს მოვალეს, რომ წა-
რმოადგინოს ქონების ნუსხა. თუკი
მოვალე ჯარიმას ნებაყოფლობით არ
გადაიხდის, აღმასრულებლის ხელში
გადავა ქონების აუქციონის წესით რეა-
ლიზაცია და მიღებული თანხის სახელ-
მწიფო ბიუჯეტში გადაარიცხვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართვე-
ლოს კანონის – „სააღსრულებო წარმო-
ებათა შესახებ“ რეგულაცია, რომლის
მიხედვით არის გათვალისწინებული ბი-
უჯეტში მსჯავრდებულის მიერ შეტანილი
გირაოს თანხის ჯარიმის სახით გადარი-
ცხვის წესი, კანონის 28¹ მუხლის შესა-
ბამისად; აღსრულების ეროვნულ ბიუ-
როს ევალება სააღსრულებო ფურცლის

სააღსრულებო ბიუროში წარდგენიდან 10 დღეში მსჯავრდებულისა და გირაოს შემტანის წერილობითი თანხმობის საფუძველზე (თუ გირაოს შემტანი მსჯავრდებულის ან გირაო მსჯავრდებულის სახელით არის შეტანილი – მისი თანხმობის გარეშე) აღასრულოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადებოზიტო ანგარიშზე გირაოს სახით ფულადი თანხის შეტანა ამ კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

საყურადღებოა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროდან 2018 წლის 26 ნოემბერს ჩემ მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენილსა და დასრულებულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სახდელის კატეგორიის საქმეებს 2014 წლიდან 2018 წლის 1-ლ ივლისამდე:

წელი	შემოსული საქმის რაოდენობა	დასრულებული საქმის რაოდენობა
2014	8355	6807
2015	8182	9047
2016	8426	7429
2017	7389	6252
2018 (1 ივლისამდე)	2890	2629

აღნიშნული ინფორმაციით არ იკვეთება, სისხლის სამართლის საქმეებზე კონკრეტულად რა საფუძვლით აღსრულდა საქმე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 28¹ მუხლით დადგენილი წესით, დაექვემდებარა თუ არა აღნიშნული საქმეები დასახელებული კანონით დადგენილი აღსრულების საერთო წესს.

სისხლისსამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის საფუძველზე მიმდინარე სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის წესს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი არეგულირებს, კერძოდ: 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღსრულება შეწყდება, როცა გავა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა; ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულება შეწყდება,

თუ თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 10 წელი, გარდა: აღნიშნულის გადახდევინებისა; შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენლის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისა; დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებისა, აგრეთვე სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ წარმოებული სააღსრულებო საქმეებისა.

ამგვარად, ციტირებული ნორმით, ერთი მხრივ, აღსრულების შეწყვეტის შესახებ უნდა იქნას აღსრულების გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა (მუხლი 34, პუნქტი 1, „ე“ ქვეპუნქტი); ხოლო, მეორე მხრივ, დადგენილია, რომ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის, რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ წარმოებულ სააღსრულებო საქმეზე, რომელიც სისხლისსამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების საქმეთა კატეგორიას მოიცავს, აღსრულების შეწყვეტა შეუძლებელია 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგაც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სისხლისსამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის აღსრულების ერთ-ერთ საქმეში აღმასრულებელს მიმართა მოვალემ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე აღსრულების შეწყვეტა მოითხოვა, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილით ამ კატეგორიის დანაშაულისათვის დადგენილი განაჩენის ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო.

აღმასრულებელმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოვალის, იმავე მსჯავრდებულის, დამატებითი სასჯელის მოხდინა საგან გათავისუფლება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმასრულებელს უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა, რომელმაც დააკმაყოფილა საჩივარი და მოვალე (მსჯავრდებული) განაჩენით დანაშაულის ჩადენისათვის დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის გადახდისაგან გათავისუფლა. სააპელაციო სასამართლომ იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ გასული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების 6-წლიანი ვადა და ამ საფუძვლით მსჯავრდებული დამატებითი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლა. აღნიშნული გარემოება კი საფუძველი გახდა აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით.

საკითხზე მსჯელობისას სააპელაციო სასამართლომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტს მიაქცია ყურადღება. სასამართლო მიუთითებს, რომ, მართალია, ციტირებული ნორმით მოცემული განსაზღვრება გარკვეულწილად ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს, მაგრამ, ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად, პალატამ ჩათვალა, რომ საკითხის გადაწყვეტისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით უნდა ეხელმძღვანელა, რომელიც უფრო ჰუმანურია და არ უშვებს რაიმე დათქმას,

მით უმეტეს, არ შეიძლება მსჯავრდებულის ხსენებული კანონით გარანტირებული უფლების შეზღუდვა.

ჯარიმის, როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდებისა და აღსრულების საკითხის, ანალიზისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის 14 აპრილს მომზადებული განმარტებაა გასათვალისწინებელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებული განმარტება ეხება განაჩენთა ერთობლიობის დროს წინა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელის ბოლო განაჩენისათვის დამატებას. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით, ბრალდებულს სასჯელად 3 თვით თავისუფლების აღკვეთა დაეკისრა, რაც ჩათვალა პირობით სასჯელად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა დაეკისრა 2000 ლარის ოდენობისა.

იმავე სასამართლოს 2010 წლის 29 აპრილის განაჩენით ბრალდებულს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელით ბრალდებულს 3 თვე პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით განესაზღვრა, ხოლო დარჩენილი 9 თვე ჩათვალა პირობითად, 1 წლისა და 9 თვის გამოსაცდელი ვადით. გარდა ამისა, სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ გააუქმა წინა განაჩენი პირობითი მსჯავრის ნაწილში, მოუხდელი ნაწილი (3 თვე) ახლად დანიშნულ სასჯელს დაუმატა და მსჯავრდებულს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის საბოლოო ზომად 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. დანიშნული სასჯელიდან 6 თვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით განესაზღვრა, ხოლო დარჩენილი 9 თვე ჩათვალა პირობითად, 1 წლისა და 9 თვის გამოსაცდელი ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 თებერვლისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 მარტის განჩინებებით არ დამტკიცდა პროკურორსა და ბრალდებულს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლო განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის

როდესაც პირი ჭარიმას არ იხდის, იპი სხვა სასჯელით იცვლება. სისხლის სამართლის კოდექსი გაანგარიშების წესს განსაზღვრავს, მაგრამ ჭარიმის თავისუფლების აღკვეთით შეცვლის შემთხვევაში მსგავსი პროპორცია არ არის დადგენილი. საჭირობოტოა შემთხვევა, როდესაც ჭარიმა თავისუფლების აღკვეთით ისეთ მუხლიან მიმართებით იცვლება, რომელიც სასჯელის ძირითად სახედ თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს, რაც შესაძლოა ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს. ჭარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში არ იწყება ნასამართლობის ვადის ათვლა და პირი მუდმივად ნასამართლევად ითვლება.

დანიშნისას, გარდა ძირითადი სასჯელისა, აგრეთვე ვალდებული იყო ჯარიმის სახით დაკისრებულ დამატებით სასჯელზეც ემსჯელა. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულს არ ჰქონდა ჯარიმის თანხა გადახდილი, ვინაიდან შეიძლება მხოლოდ აღსრულებული ჯარიმა გამხდარიყო უზენაესი სასამართლოს მსჯელობის საგანი წინა განაჩენით დაკისრებული დამატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული ჯარიმის დამატებისას განაჩენთა ერთობლიობის დროს. საქართველოს უზენაესი სასამართლო აგრეთვე აზუსტებს, რომ, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

პირველი ინსტანციის სასამართლოს სრულად უნდა დაემატებინა წინა განაჩენით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა 2000 ლარის ოდენობისა, რაც აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე არ შესრულებულა, კერძოდ, სასამართლომ წინა განაჩენი მხოლოდ პირობითი მსჯავრის ნაწილში გააუქმა და საერთოდ არ შეეხო დამატებით დანიშნული სასჯელის არმოხდილ ნაწილს. ამგვარად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი დამატებით დანიშნული სასჯელის



კურორის საკასაციო საჩივარი და არ დამტკიცდა ბრალდებისა და დაცვის მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

გარდა ამისა, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ახალი ბრალდების საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში, თუ ბრალდებულს სასჯელით პატიმრობა დაუდგინდება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობის საფუძველზე სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო იმსჯელებს, რომ ყველა აღუსრულებელი განაჩენის მიხედვით მსჯავრდებულს სასჯელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლით განესაზღვროს. იმ შემთხვევაში კი, თუ პირს არასაპატიმრო სასჯელი დაენიშნება, როგორც ამ სასჯელის, ასევე წინა აღუსრულებელი განაჩენით დანიშნული

არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებას სააღსრულებო ან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო უზრუნველყოფს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონების მიხედვით.

დასკვნა

ჯარიმა არის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სახე, რომელიც სასჯელის სახით შეეფარდება ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ პირს. სასჯელის ამ სახის გამოყენების დროს მრავალ ფაქტობრივ გარემოებას ექვევა ყურადღება, მოსამართლე, როგორც სასჯელის ამ ზომის განმსაზღვრელი პირი, ამ გარემოებებით ხელმძღვანელობს, ამასთან, მან ყურადღება უნდა გაამახვილოს პროპორციულობის პრინციპზე.

ჯარიმა ინიშნება როგორც დამატებით, ასევე ძირითად სასჯელად, მაგრამ არ არის მითითებული, რომ, თუ სასჯელის ძირითად სახედ სასამართლო ჯარიმას იყენებს, მას არ შეუძლია დამატებით სასჯელადაც ჯარიმა გამოიყენოს, რაც, პრაქტიკულად, საკანონმდებლო ხარვეზია, რადგან, თუ ჯარიმა ძირითადი სასჯელია, იგი დამატებითი სასჯელის როლს ვეღარ შეასრულებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი სასჯელის ერთდროულად დანიშვნა, მაგრამ არ არის მითითებული, რომელ დამატებით სასჯელთან ერთად შეიძლება ჯარიმის გამოყენება. მიზანშეწონილი არ არის ჯარიმისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ერთად გამოყენება, რადგან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, როგორც წესი, იმას შეეფარდება, ვისაც ჯარიმის გადახდის საშუალება არ აქვს. ასევე, წე-

სისამებრ, გაუმართლებელია ჯარიმის მისჯა დამატებით სასჯელად, როდესაც სასჯელის მთავარი სახე თავისუფლების აღკვეთაა, რადგან დიდია რისკი არაპროპორციული სასჯელის მისჯისა.

გაუმართლებელია ჯარიმის დაკისრება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დროს, რადგან ამ დროს მსჯავრდებელი ისედაც განიცდის დიდ ფინანსურ დანაკარგს.

როგორც წესი, ჯარიმა ნაკლებად მძიმე დანაშაულთა გამო ინიშნება, ძირითადად იმგვარ ქმედებათა გამო, რომელთა შედეგად გამოწვეული ზიანის აღდგენა შეუძლებელია. დაუშვებელია სასჯელის ძირითად სახედ ჯარიმის გამოყენება როგორც მძიმე, ისე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. ამიტომ მიუღებელია კანონმდებლის მიდგომა, მაგალითად, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიმართ, როდესაც სასჯელის სახე თავისუფლების 6-დან 9 წლამდე აღკვეთა ან ჯარიმაა. დაუშვებელია, ჯარიმა იყოს ამ ზომის თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა. გერმანული კანონმდებლობა ერთმანეთისაგან მიჯნავს დანაშაულის ჩადენასა და გადაცდომას. ჯარიმა გამოიყენება მხოლოდ გადაცდომისას.

როდესაც პირი ჯარიმას არ იხდის, იგი სხვა სასჯელით იცვლება. სისხლის სამართლის კოდექსი გაანგარიშების წესს განსაზღვრავს, მაგრამ ჯარიმის თავისუფლების აღკვეთით შეცვლის შემთხვევაში მსგავსი პროპორცია არ არის დადგენილი. საჭირობოროტა შემთხვევა, როდესაც ჯარიმა თავისუფლების აღკვეთით ისეთ მუხლთან მიმართებით იცვლება, რომელიც სასჯელის ძირითად სახედ თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს, რაც შესაძლოა ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში არ იწყება ნასამართლობის ვადის ათვლა და პირი მუდმივად ნასამართლევად ითვლება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სასჯელის დანიშვნა არ არის საკმარისი მისი აღსრულებისათვის, ჯარიმის და-

ნიშვნა მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელსაც ახლავს მეორე მხარე – მისი აღსრულება, რომელიც სხვა დამატებით პროცედურებს საჭიროებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების აღსრულების ხანდაზმულობის საკითხი და ამ საფუძველით ჯარიმის აღსრულების შეწყვეტა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის მკაფიოდ დარეგულირებული, აღნიშნული კანონი ამ მხრივ ბუნდოვანია. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მოცემული საკითხი საჭიროებს საკანონმდებლო მოწესრიგებას, რათა არ დაზარალებეს მოვალე მსჯავრდებულ პირთა უფლებები, რომელთა მიმართაც არსებობს ხანდაზმულობის საფუძველით სასჯელისაგან თავისუფლების წინაპირობები, ეს მაშინ, როცა სააღსრულებო კანონმდებლობა მათ მიმართ დროში განუსაზღვრელად სააღსრულებო წარმოების არსებობის შესაძლებლობას აჩვენებს.

1. აბრამიშვილი ლ., მექრთამეობისათვის გათვალისწინებული სასჯელები ძველი ქართული სამართლის წიგნების მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, №1, თბ., 2011, 5.
2. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 49.
3. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013, 11.
4. გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, გამოყენებული გვერდის ნუმერაცია.
5. დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2011, 290-291.

6. დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, 14.
7. ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 9.
8. ივანიძე მ., მიუთითეთ ავტორის სტატიის დასახელება ან ჩანართის, როგორც წყაროს, ხასიათი გამოკვეთეთ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თოდუა ნ. (რედ.), თბ., 2016, 322.
9. ლეკვეიშვილი მ., იხ. ბიბლიოგრაფიის მე-7 პუნქტის მითითება, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თოდუა ნ. (რედ.), თბ., 2016, 22.
10. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პროცესი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 22.
11. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43) 14, 2014, 22.
12. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, თბ., 2014, 7.
13. მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, 257-258, 264, 273-275.
14. ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოც., თბ., 2013, 353.

15. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, წიგნი პირველი, თბ., 2011, 353.

16. ტყეშელიაძე გ., მიუთითეთ ავტორის სტატიის დასახელება ან, თუ მუხლის კომენტარია, შესაბამისი ნაწილი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ნაჭყებია გ. (რედ.), თბ., 2007, 200, 358.

17. ფუტყარაძე ი., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11 , თბ., 1987, 541-542.

18. ცქიტიძე თ., სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 187.

19. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, ნაკვეთი 2, ტფ., 1929, 503.

20. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: Mamidakis v. Greece, განაცხადი: №35533/04.

21. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Grifhorst v. France, განაცხადი: №28336/02.

22. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Natsvlshvili and Togonidze v. Georgia , განაცხადი: №9043/05.

23. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Konstantin Stefanov v. Bulgaria, განაცხადი: №35399/05.

24. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 1 აგვისტოს განჩინება საქმეზე №1, ბ/531-17.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №100აპ-14.

26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 ოქტომბრის № 1/8/594 გადაწყვეტილება „მოქალაქე ხათუნა შუბითიძე, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

29. United Nations Office On Drugs and Crime, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, Vienna, 2007, 29-30.

30. Adrian L., Speichern und Strafen. Die Gesellschaft im Datengefängnis, C. H. Beck, München, 2019, 5.

31. Friedrich K., Etymologisches Wörterbuch der Deutschen Sprache. Walter de Gruyter Verlag, Berlin, 1963, 31.

32. Janusz K., Wie man ein Kind lieben soll, Göttingen, 1978, 111.

33. Schmiedhuser E., Strafrecht. Allgemeiner Teil. Tübingen, 1984, 11.

34. Viktor A., Geburt der Strafe. Klostermann, Frankfurt am Main 1951, 81.

35. Winfried H., Warum Strafe sein muss. Ein Plädoyer. Ullstein, Berlin, 2009, 15.

36. Zipf/Dölling, in: Maurach R. V., Gössel K. H., Zipf H., Strafrecht, AT, Teilband 2, 8. Aufl., Heidelberg, 2014, S. 762, §62 Rn. 60.

37. BVerfGE 92,1.

38. BVerfGE 126, 170.

39. BverfGE 105, 135.

40. Зубкова В., Уголовное наказание и его социальная роль: теория и практика, М., 2002, 12-13.

41. Таганцев И. С., Русское уголовное право, Лекции, часть общая, Т. I, М., 1994, 31.

42. <<http://www.servat.unibe.ch/dfr/bv045187.html>> [02/06/2020].

43. აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 26 ნოემბრის №81781 წერილი: სისხლის სამართლის საქმეებზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე. სასურველია აქვე მიეთითოს, თუ სად არის გამოქვეყნებული წერილში ასახული ინფორმაცია ყველა-სთვის ხელმისაწვდომი ანგარიშის სახით, თუ შესაბამისი მიმართვის საფუძველზე იქნა მოპოვებული უფლებამოსილი ორგანოდან. აღნიშნული გასათვალისწინებელია წერილის შინაარსისა და მითითების ფორმის გამოსაკვეთად, რათა არ მოხდეს კონფიდენციალური ინფორმაციის ან სხვა სახის მონაცემის გასაჯაროება.

1 საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში □ წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.

4. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორებიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

5. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით – კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

6. არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალდებულს.

7. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი - უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

8. არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთისა და იმავე დანაშაულისათვის.

9. არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

10. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ აქვს იურიდიული ძალა.

11. არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განსაზღვრულია კანონით.

2 საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლი

1. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები.

2. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოა. მისი შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

3. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. სპეციალიზებული სასამართლოები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. დაუშვებელია საგანგებო სასამართლოების შექმნა. საერთო სასამართლოებში საქმეებს განიხილავენ ნაფიცი მსაჯულები კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. საერთო სასამართლოების სისტემა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: Mamidakis v. Greece, განაცხადი: №35533/04.

4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Grifhorst v. France, განაცხადი: №28336/02.

5 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Konstantin Stefanov v. Bulgaria, განაცხადი: №35399/05.

6 „ყოველ ფიზიკურსა და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით. ამასთან, წინარე დებულება ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის ან გადასახადებისა და სხვა მოსაკრებლის ან/და ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

7 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Natsvlshvili and Togonidze v. Georgia, განაცხადი: №9043/05.

8 იხ. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 16/04/1999, მიუთითეთ გამოყენებული მუხლი.

9 აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 26 ნოემბრის №81781 წერილი: სისხლის სამართლის საქმეებზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე. იხ. ბიბლიოგრაფიაში მითითებული რეკომენდაცია დანართის მითითების წესთან დაკავშირებით.

10 აღსრულება შეწყდება, თუ გასულია აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა.

11 გავიდა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა.

12 აღსრულება შეწყდება, თუ თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 10 წელი, გარდა ალიმენტის გადახდევინების შესახებ, გამოძინარე შრომითი ურთიერთობიდან: დასახიროებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით; აგრეთვე მარჩენლის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისა და დანაშაულით ან აღმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებისა; აგრეთვე სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ წარმოებული სააღსრულებო საქმეებისა.

13 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 1 აგვისტოს განჩინება საქმეზე №1ბ/531-17.

14 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2კ-100აპ-14

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2კ-100აპ-14, იხ. განმარტება, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n63-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>> [02.06.2020].



სოციალური მედიის სამართალი: აქტუალური საკითხები



ავტორი სერგი ჯორბენაძე
ასოც. პროფესორი, სამართლის დოქტორი (PhD), სამართლის მაგისტრი (LL.M.), ადვოკატი, JG Counselors-ის მმართველი პარტნიორი, გენერალური დირექტორი

წინათქმა

სოციალური მედია არ არის სამართლისგან დამოუკიდებელი სფერო. აღნიშნული პათოსი გაზიარებულია როგორც ქართულ კანონმდებლობაში, სასამართლო პრაქტიკასა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების იურისტთა ნაშრომებსა თუ მსჯელობებში. ეს ლოგიკურია, ვინაიდან სოციალური მედიის მოხმარება დღევანდელ რეალობაში სულ უფრო

მეტ აქტუალურობას იძენს, შესაბამისად, მისი გამოყენებით უფლების დარღვევის აღბათობა ყოველდღიურად იზრდება. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც პრაქტიკულად სხვადასხვა დროს ვლინდებოდა. იგულისხმება როგორც ქართული, ისე ევროპული თუ აშშ-ის პრაქტიკა. კონტინენტური სამართლის ოჯახისადმი ჩვენი კუთვნილების გათვალისწინებით, მსჯელობა უმეტეს

შემთხვევაში სწორედ გერმანული, ფრანგული, იტალიური, ევროპული მართლმსაჯულებისა თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ეფუძნება. ნაშრომში განხილული საკითხები ქართული სასამართლოსთვის აქტუალური იყო და ახლაც ასეა, მეტიც, რამდენიმე მათგანზე მსჯელობა ეფუძნება იმ განმარტებებს, რომლებიც ბოლო პერიოდში ქართული საერთო სასამართლოების მიერაა გაკეთებული.

რეგისტრირდება სოციალურ მედიაში) ხდება ამავე ურთიერთობის სუბიექტი. აღნიშნული შეიძლება იყოს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო პირი, მაგალითად: „საქართველოს პარლამენტი“, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – Tbilisi State University“ და სხვ.

სწორედ სუბიექტთა საქმიანობა განსაზღვრავს სამართლებრივ შედეგებს, კერძოდ, ის იყოფა ორ უმთავრეს მიმართულებად: ა) სოციალურ მედიასაშუალებასა და მომხმარებელს შორის ურთიერთობად, ბ) მომხმარებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობად; მაგალითად, თუ „facebook-ზე“ რეგისტრირებული ვინმე „დათო მაყაშვილი“ ამავე პლატფორმაზე რეგისტრირებულ ვინმე „ელენე ცაგურიას“ ცილს დასწამებს, მაშინ ორ რეგისტრირებულ სუბიექტის შორს გაჩნდება სამართლებრივი ურთიერთობა, ხოლო, თუ „დათო მაყაშვილს“ „facebook-თან“ შეექმნება რაიმე გაუგებრობა, მაშინ მასსა, როგორც რეგისტრირებულ სუბიექტს, და „facebook-ს“, როგორც სოციალურ მედიასაშუალებას (სუბიექტს), შორის იარსებებს სამართლებრივი ურთიერთობა.

კომენტარს) ხელშეკრულების დასადავად იყენებენ. მეტიც, ნების გამოვლენა შეიძლება არა მხოლოდ ტექსტით, არამედ „Emoji-ს“ საშუალებითაც. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, რომ მიმოწერის ერთიანი კონტექსტი და შინაარსი იძლეოდეს აღნიშნულის შესაძლებლობას. საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მიმოწერა:

გიორგი: გამარჯობა, ნინო, გავეცანი სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ თქვენს პოსტს, რომელშიც წერთ, რომ ყიდით თქვენს კუთვნილ ველოსიპედს. საფასურად მითითებული გაქვთ 500 ლ. დაინტერესებული ვარ ყიდვით.

ნინო: გამარჯობა, გიორგი, დიდი მადლობა დაინტერესებისთვის. დიახ, 500 ლ. ვახლავთ ის ღირებულება, რომლის ფარგლებშიც მინდა გავყიდო ველოსიპედი. თუ შეკითხვა გაქვთ ან ნახვა გსურთ, შეგვიძლია დეტალებზე შევთანხმდეთ.

გიორგი: ისე მეჩქარება ყიდვა, რომ ნახვას ვერ მოვახერხებ. შემდეგ რომ არ ვიპოვო ხარვეზი, გთხოვთ, რომ აქვე მითხრათ, თუ რაიმე ნაკლი აქვს ველოსიპედს.

ნინო: დიახ, აქვს მცირე ნაკლი: ერთ-ერთი მუხრუჭი არ უმუშაუბს სათანადოდ, თუმცა მწყობრიდან სრულად არაა გამოსული. ხელოსანთან მაქვს მისატანი. თუმცა, როგორც ვთქვი, სრულიად უფუნქციო არ არის. მე ახლაც ამ ველოსიპედით დავდივარ, მიჩვეული ვარ. შეკეთებაც არ სჭირდება, მხოლოდ – ხანდახან შემოწმება და მცირე დამუშავება. ეს მომსახურება დაახლოებით 20 ლარის ღირებულებისაა. ამდენად, 480 ლარად შემიძლია მოყიდვა.

გიორგი: მისაღებია ჩემთვის. კარგად ვერკვევი ველოსიპედებში და ამდენად ეს არ არის ჩემთვის დამაბრკოლებელი. კარგი, შევთანხმდეთ თანხაზე: 480 ლარად სიამოვნებით ვიყიდი და ხვალ წამოვიღებ.

ნინო:

წინდაწინვე უნდა აღნიშნოს, რომ, ნაშრომის მიზნების გათვალისწინებით, მასში არ არის მოცემული სოციალური მედიის ამომწურავი სურათი. თითოეული თემა, რომლებზეც გამახვილებულია ყურადღება, შეიძლება კიდევ უფრო მეტად გაიშალოს, მეტიც, სოციალური მედიის სამართალში, გარდა ჩამოთვლილისა, სხვა სამართლებრივი ინსტიტუტებიც იგულისხმება, რომელთა დეტალური აღწერა, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია.

1. სუბიექტები და ობიექტები

სოციალური მედიის სამართლის უპირველესი სუბიექტი უშუალოდ სოციალური მედიასაშუალებებია, მაგალითად: „Facebook“; „YouTube“; „Instagram“ და სხვ. თითოეული მათგანი მომხმარებელს სთავაზობს პლატფორმას, რომ მისი გამოყენებით სასურველი საქმიანობა შეძლონ, შესაბამისად, მომხმარებელი (ანუ პირი, რომელიც

თავის მხრივ, სოციალური მედიის სამართლის ობიექტებს წარმოადგენს ყველა ის სამართლებრივი სიკეთე, რომელთა მიმართულებით შეიძლება სოციალური მედიის გამოყენება, მაგალითად, ეს შეიძლება ეხებოდეს არაქონებრივ უფლებებს (ზემოთ მოყვანილი მაგალითი), როდესაც პირს ღირსების უფლების დაცვის საშუალება აქვს და სხვ.

2. სახელშეკრულებო ურთიერთობა

სოციალური მედიის სუბიექტებს შორის ხშირად მყარდება სახელშეკრულებო ურთიერთობა. ერთია სოციალურ მედიასაშუალებასთან ხელშეკრულების დადება – ანგარიშის გახსნა, ხოლო, სხვა შემთხვევაა ორ მომხმარებელს შორის არსებული ურთიერთობა, როდესაც ისინი პირად მიმოწერას თუ ცალკეულ საშუალებებს (მაგალითად,

გარდა იმისა, რომ მიმოწერის კონტენტის იძლევა „წინოს“ მხრიდან დასტურის შესაძლებლობას, მის მიერ გაგზავნილი „Emoji-ც“ კმაყოფილების გამოხატველია. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ რიგში არ მოექცეოდა შემთხვევა, როდესაც წერილობითი ხელშეკრულების დადების აუცილებლობა კანონით არის მოცემული, მაგალითად: შეთანხმება პირგასამტეხლოზე ან უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე, თუ მხარეები წინასწარ თანხმდებიან წერილობითი ფორმის აუცილებლობაზე და სხვ.

3. სახელის უფლება

სახელის უფლების დაცვა სოციალურ მედიაში საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით ხდება. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის მე-17 უფლების კვალდაკვალ პირს აქვს შესაძლებლობა, რომ იმოქმედოს თავისი სახელისა და გვარის მიხედვით, ასევე შეუძლია დარეგისტრირდეს ფსევდონიმით. ანალოგიურად დგას საკითხი იურიდიული პირის შემთხვევაში, რომელიც თავისი სახელწოდებით გამოდის სოციალურ მედიაში. სახელწოდება შეიძლება იყოს ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე, მაგალითად: „MagtiCom – მაგთიკომი“, „აგროჰაბი – AgroHub“, „Leader Experts / ლიდერ ექსპერტი“, „რადიო იმედი“, „Cavea Cinemas“, „JG Counselors“ და სხვ.

თავის მხრივ, სახელის დაცვის უფლებას ეფარება არაქონებრივ უფლებათა დაცვის საკითხი: ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პატივი და სხვ. (უპირატესად საფუძვლად ედება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლთან დაკავშირებული). არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რამდენადაა შესაძლებელი სახელის უფლების დაცვა მაშინ, როდესაც პირის იდენტიფიცირება სოციალურ მედიაში შეუძლებელია. ქართული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ასეთი უფლების დაცვით ანონიმური პირი არ სარგებლობს, კერძოდ, იგი ვერ დაასაბუთებს, რომ სოციალურ მედიაში შექმნილი ანგარიშის უკან სწორედ ეს პიროვნე-

ბაა და არა სხვა პირი (მაგალითად, თუ ანგარიშის სახელწოდებაა: „Qartveli Qartveli“, „Gio Rgi“ და სხვ.), თუ ანგარიშის მფლობელის ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება. ანალოგიური ეხება ე.წ. „ბოტებს“ და ცალკეულ შემთხვევაში – ე.წ. „ტროლებსაც“.

სახელის უფლების დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ პოსტით არაქონებრივი უფლებების შელახვას, იგი შეიძლება შეილახოს ნებისმიერი საშუალებით, მაგალითად: „Gif-ით“, „Meme-თი“, „Memoji-თ“ და ა.შ., თითოეულ შემთხვევაში შელახვა შემოწმდება იმით, დასახელებულ საშუალებათა გამოყენებით არის თუ არა კონტენტის მიხედვით არაქონებრივი უფლების შელახვის ფაქტი სახეზე. ვთქვათ, პირის „Emoji“ ნეგატიურ კონტენტში, მით უმეტეს, თუ ამ „Emoji-ს“ ერთვის შეურაცხყოფელი ტექსტი, რომლითაც აღრესატის იდენტიფიცირება შესაძლებელია.

4. გამონათქვამის თავისუფლება

აზრის, პოზიციის გამოხატვა, ინფორმაციის მიღება-გავრცელება, ცალკეული ქმედებანი, სხვა სახის მოქმედება – გამოხატვის თავისუფლების პირობებში სოციალურ მედიაში უფლების რეალიზების შესაძლებლობას წარმოადგენს. მაგალითად: აზრი საკუთარ კედელზე ან ვიდეომიმართვა პირთა განსაზღვრული ან ფართო წრისთვის, პირდაპირი ჩართვა („Live“) და ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის და სხვ.

გამოხატვის თავისუფლების რეალიზებასთან ერთად ხშირია შემთხვევა, როდესაც ვაწყდებით სხვათა უფლებების დარღვევას, მაგალითად, ცილისწამებას კერძო ან საჯარო პირის მიმართ კედელზე პოსტით, როდესაც აღრესატზე მცდარი ფაქტები ან მისთვის დამაზიანებელი განცხადება ვრცელდება. ასეთ დროს აღრესატს (რომელსაც ცილისწამებენ) უფლება აქვს, მიმართოს სამართლოს პოსტის გამავრცელებლის გამო (სუბიექტებს, როგორც მომხმარებლებს, შორის დავა). თავის მხრივ, მოთხოვნაც, სასამართლო გადაწყვე-

ტილების გამოქვეყნება შეიძლება იყოს შესაბამისი ფორმით, მაგალითად, თუ პირს „Story-ს“ გამოყენებით აქვს ვაკეთებული ცილისმწამებლური განცხადება, მოთხოვნაც შეიძლება ანალოგიური („Story-ს“) სახით საპირისპირო ინფორმაციის გავრცელებაში გამოიხატოს.

უხამსობა ქართული კანონმდებლობით იკრძალება, შესაბამისად, უხამსობის გზით შესაბამისი მოქმედებაც ასევე შეიძლება პირის პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს. ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ მხრივ სიახლეებსაც შეიცავს, კერძოდ, იგი უხამსობაზე მსჯელობს როგორც საჯარო სივრცეში განხორციელებულ მოქმედებაზე და მას წერილობით ხელიგნობადაც კი მიიჩნევს (სხვადასხვა ინსტანციის მიერ განსხვავებული შეხედულებაც რომ იყოს, წერილობითი ხელიგნობის, როგორც საჯარო სივრცეში განხორციელებული ქმედების, მიმართ დღევანდელი პრაქტიკით სასამართლოს ერთნაირი პოზიცია აქვს).

ამ მიმართულებით გასარკვევია საჯარო სივრცის განსაზღვრა და დადგენა. ერთი შეხედვით, სოციალური მედიის პლატფორმა საჯარო სივრცეა, რომელიც არ მოიცავს პირთა უზღუდულ ჯგუფს / წრეს და არ აკონკრეტებს მას, მაგრამ სოციალური მედიის განვითარების პარალელურად აღნიშნული მსჯელობა კიდევ უფრო მეტ განმარტებას საჭიროებს, რომლის თანახმადაც, საჯარო სივრცეში გავრცელებულად ითვლება არა მხოლოდ საჯარო („Public“) პოსტები, არამედ საქმიანობა, რომელიც, დაუშვავთ, დახურულ ჯგუფშია განხორციელებული, რომელშიც 5 000-ზე მეტი პირია გაწევრებული (ეს რიცხვი პირობითადაა აღებული, შეიძლება, რომ ნაკლები პირის შემთხვევაშიც ასეთივე სურათი ვიხილოთ).

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ცენზურის დაუშვებლობა სოციალურ მედიასაც ეხება. დაუშვებელია ჩარევა, რომელიც მიმართული იქნება სოციალურ მედიაში მოქმედების შეფერხებისკენ; მით უმეტეს, დღეს ჩვენში თითქმის ყველა მაუწყებელს აქვს სოციალურ მედიაში ანგარიში, რომელ-

შიც მათი საქმიანობის (ინფორმაციის გავრცელების) თავისუფლება ნაკლები უზღუდვით ხასიათდება (განსხვავებით მაუწყებლობისგან). ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ მედიაში მათი საქმიანობის უზღუდვის მცდელობა ცენზურის მცდელობად ჩაითვლება.

5. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

სოციალურ მედიაში ანგარიშის შექმნა უმეტეს შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების პირდაპირპროპორციულია. მაგალითად, ვინმე „ლიზი ბოკუჩავა“ თუ დარეგისტრირდება საკუთარი სახელითა და გვარით, ამით იგი გაასაჯაროებს თავის პერსონალურ მონაცემებს. ასევე ამავე პირს შეუძლია გაასაჯაროოს ინფორმაცია, რომელიც მის პოლიტიკურ შეხედულებას, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხვა საკითხებს ეხება. თითოეულ ამ შემთხვევაში პირის მიერ თავის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება დასაშვებია. სოციალურ მედიაში პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროება შეიძლება კონკრეტულ მოქმედებაში / უმოქმედობაში გამოიხატოს, რომელიც მის თანხმობად იქნება აღქმული.

სოციალური მედია თანამედროვე რეალობაში ხშირად გამოიყენება კომერციული მიზნების მისაღწევ პლატფორმად. აღნიშნულის გათვალისწინებით, პირდაპირი მარკეტინგის განხორციელება საკანონმდებლო დონეზეც კი აისახა, კერძოდ, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული პერსონალური მონაცემების დამუშავება და პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის გამოყენება დასაშვებია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთად მიიჩნევა პირის მიერ თავისი სურვილით გასაჯაროებული მონაცემებიც.

6. შრომითი ურთიერთობა

სოციალური მედიის გამოყენება შრომითი ურთიერთობის კონტექსტში სამთავარ ასპექტს მოიცავს: ა) შრომითი ურთიერთობის დაწყებამდე პერიოდს, ბ) შრომითი ურთიერთობის პერიოდსა

სოციალურ მედიაში არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია და რჩება ნებისმიერი მსურველისთვის მის ნაშლამდე. ამიტომ შესაძლებელია, რომ სასამართლომ სარჩელის უზრუნველსაყოფად მოკასუხეს მისი დროებით შემღუპვა დააკისროს. მაგალითად, დააკისროს პირს ვალდებულება, დავის დასრულებამდე, გადაიყვანოს პოსტი „Only Me-ზე“.

და გ) შრომითი ურთიერთობის დასრულების პერიოდს. პირველ შემთხვევაში იკვეთება ერთგვარი კავშირი პერსონალურ მონაცემებთან, კერძოდ, პირის მიერ გასაჯაროებული ინფორმაციის ნახვა მომავალ დამსაქმებელს თავისუფლად შეუძლია, მეტიც, დასაშვებია ამ ინფორმაციის გამოყენება ხელშეკრულების დადებამდე, რათა მომავალმა დამსაქმებელმა სათანადო გადაწყვეტილება მიიღოს. რაც შეეხება შრომითი ურთიერთობის პერიოდს, აქ ჩვენ ვაწყდებით უშუალოდ შრომითი ხელშეკრულებით (მინაგანაწესით, სათანადო დოკუმენტაციით) დასაქმებულის უფლებათა უზღუდვის საკითხს. დასაქმებულს, როგორც დამსაქმებლის „ელქს“ სოციალურ მედიაში, შეიძლება ეზღუდებოდეს სხვადასხვა აქტივობის განხორციელება, მათ შორის ეს შეიძლება გამოხატვის თავისუფლების უზღუდვაზეც აისახოს. თავის მხრივ, ასეთი უზღუდვა არ უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო, ხოლო, მიზანი მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს (ვთქვათ, დამსაქმებლის სფეროს გათვალისწინება; უზღუდვა შეიძლება შეეხოს საიდუმლოებას, საქმიან რეპუტაციასა და სხვ.). საერთაშორისო პრაქტიკაა (რომელიც საქართველოშიც მოქმედებს

საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში), რომ ეთიკის კოდექსს დამსაქმებელი ადგენს დასაქმებულთათვის, რათა ეს უკანასკნელი მუშაობისას სათანადო ჩარჩოში მოექცეს. უზღუდვა შეიძლება შეეხოს როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო საათებს.

უზღუდვის დარღვევა შეიძლება ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობის კონკრეტულ ზომას. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი ან შრომითი ურთიერთობის დაუყოვნებლივ შეწყვეტის წინაპირობა. უმთავრესია, რომ დამსაქმებლის მიერ დაცულ იქნეს „Ultima Ratio-ს“ პრინციპი.

დასაშვებია დასაქმებულის კონტროლი შრომითი ურთიერთობისას, ეს ეხება მისი ელექტრონული მოწყობილობის კონტროლსაც. აღნიშნული ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს დამსაქმებელი უუზღუდავი უფლებებით სარგებლობს, არამედ მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ტექნიკური საშუალების სამსახურებრივი მიზნით გამოყენების წინაპირობა (პირადი მოხმარების შემთხვევაში, მით უმეტეს, თუ ეს დამსაქმებლის მიერ არის დაშვებული, კონტროლი არ მოექცევა სამართლებრივ ფარგლებში). აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დასაქმებული გაფრთხილებული უნდა იყოს კონტროლის თაობაზე და მისი თანხმობა სათანადო წესით უნდა იყოს განცხადებული (როგორც კონკრეტული ქმედება (რომელიც დადასტურდება), ისე შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერა).

ცალკე არის აღსანიშნავი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და შემდგომი პერიოდი, მაგალითად, თუ პირს შრომითი ურთიერთობის ფარგლებში გამიზნულად აქვს ანგარიში შექმნილი, მან ეს ანგარიში დამსაქმებელს უნდა გადასცეს. შედარებით რთულია შემთხვევის განსაზღვრა, როდესაც დასაქმებული საკუთარ ანგარიშს იყენებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ასეთ დროს დასაქმებულის სოციალური მედიის ანგარიშზე შეიძლება ინახებოდეს ინფორმაცია, რომელიც მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების



განხორციელებას ეხება. ასეთ დროს ძნელია ზღვრის დადგენა, თუ რომელი ინფორმაცია წარმოადგენს სამსახურებრივს და რომელი – პირადს. სწორედ ამიტომ საკითხის გადაწყვეტისას, ერთი მხრივ, ყურადღება მიექცევა შეთანხმებული დოკუმენტაციის შინაარსს, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული მოცემულობიდან გამომდინარე განისაზღვრება სამართლებრივი შედეგი. რაც შეეხება საქმიანობის შეზღუდვას, შესაძლებელია, რომ შეზღუდვის ეს ვალდებულება დასაქმებულს ჰქონდეს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც (უვადოდ), თუ შეზღუდვა კონფიდენციალურობასთანაა დაკავშირებული.

7. ინტელექტუალური საკუთრების უფლება

საავტორო უფლებები ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც ატვირთულია ან

დაწერილია სოციალურ მედიაში. მაგალითად, თუ ვინმე „შოთა გუნია“ თავის კედელზე („facebook-ში“) ატვირთავს ლექსს, ამ ლექსზე მისი საავტორო უფლებები იმავე სახით გავრცელდება, როგორც მატერიალური სახით გამოქვეყნების შემთხვევაში. შედარებით რთული დასასაბუთებელია საჯაროების (გასაჯაროების) საკითხის განსაზღვრა, თუ სოციალურ მედიაში პირთა განსაზღვრული წრისთვის (ვთქვათ, ხუთი მეგობრისთვის) არის ლექსი გამოქვეყნებული.

საავტორო უფლებათა დარღვევად მიიჩნევა შემთხვევა, თუ ისეთ ნაწარმოებს აზიარებენ, რომლის გაზიარებისას (წინაპირობის გათვალისწინებით) ავტორის სახელი არ არის მითითებული, მაგალითად, სიმღერა „YouTube-ზე“ მითითებით, რომ მისი გასაჯაროება (ფართო წრისთვის) არ იკრძალება, თუ დართულია ინფორ-

მაცია ავტორის შესახებ. თუ ამ ნაწარმოებს გასაჯაროებს ვინმე „თეა მაცაბერიძე“ და არ მიუთითებს პირველწყაროს (მაგალითად, ჩამოტვირთვას და როგორც თავის ვიდეოს, ისე ატვირთავს სოციალურ მედიაში), ჩაითვლება, რომ მისი მხრიდან დაიდგა საავტორო უფლება.

საავტორო უფლებები ეხება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებს, მაგალითად, კონკრეტული პეიზაჟს ან პირადი გამოსახულების გამოყენებასა და მის ატვირთვას „Instagram-ზე“. ასეთ დროს ფოტოს ავტორი სარგებლობს ავტორობის უფლებით და მას შეუძლია ნებისმიერ ადამიანს აუკრძალოს ანალოგიური ნაწარმოების ატვირთვა მისი თანხმობის გარეშე. დარღვევად არ მიიჩნევა, თუ ფოტოს ავტორმა დაუშვა გაზიარების უფლება და სხვამ გააზიარა ან/და მოხდა პირველწყაროს (ავტორის) მითითება.

უფლების დარღვევად იქნება გავრცელებული შემთხვევა, როცა პირი უნებართვოდ იყენებს სასაქონლო ნიშანს, მაგალითად, თუ ერთ-ერთი შპს (რომელსაც გვერდი აქვს შექმნილი „facebook-ზე“) უნებართვოდ დებს (ათავსებს) სხვა კომპანიის სასაქონლო ნიშანს. აღსანიშნავია, რომ შესაძლოა, სოციალურ მედიაში არსებულმა აქტიურობამ/პოპულარულობამ, სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ ცნობილად/აღიარებულად აქციოს.

8. სამოქალაქო პროცესი

სოციალურ მედიაში უფლების დარღვევი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განისაზღვრება საერთო განსჯადობის საკითხი. მაგალითად, თუ ვინმე „ლუკა კობიაშვილისა“ ცილისმწამებლური განცხადება ვინმე „ანი ჩხეიძის“ მიმართ, სასამართლოში სარჩელი სწორედ „ლუკა კობიაშვილის“ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იქნება შეტანილი. კიდევ უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ერთობლივი ანგარიშით მოხდება ცილისმწამებლური განცხადების გამოქვეყნება, მაგალითად, თუ პოსტი დაიდება ანგარიშიდან, რომელშიც ორი პირი იგულისხმება, დავუშვათ, „დათოვლენე“, მაშინ საქმე განსაკუთრებულ განსჯადობასთან გვექნება (რამდენიმე მოპასუხის გათვალისწინებით), კერძოდ, როგორც „დათო“, ისე „ელენე“ იქნებიან მოსარჩელის ადრესატები. გამონაკლისი იქნება, თუ პოსტიდან პირდაპირ იკითხება, რომელი მათგანის მიერ არის იგი დაწერილი, მაგალითად, თუ პოსტის ბოლოს მითითებაა მის ავტორზე, „დათოზე“.

შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოში მტკიცებულების სახით წარადგინონ სოციალურ მედიაში განთავსებული ინფორმაცია, პირადი მიმოწერა (კანონის დაცვით), ასევე მოთხოვონ მათი კონსტატაცია, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა და სხვ. თითოეულ შემთხვევაში (თუ საქმის გარემოება ან მიმდინარეობა სხვაგვარ მიდგომას არ მოითხოვს), დასაშვებია

ბია მტკიცებულებათა წარდგენა ე.წ. „Screenshot-ის“ სახით.

სოციალური მედიის გამოყენების შემთხვევაში სახელმწიფო ენის საკითხი შეიძლება დამატებით დაბრკოლებას წარმოადგენდეს, მაგალითად, თუ მიმოწერა ან პოსტი ლათინური შრიფტითაა დაწერილი: „lasha ebralidze aris qurdi da mas gaqurduli hyavs otkhi ojaxi“. ასეთ დროს პოსტი თარგმანს არ საჭიროებს, ვინაიდან შინაარსი სახელმწიფო ენაზე იკითხება. ანალოგიური პოსტი უცხო ენაზე რომ ყოფილიყო დაწერილი, მაშინ თარგმანისა და შესაბამისი პროცედურის გავლის ვალდებულება მხარეს დაეკისრებოდა.

სარჩელის უზრუნველყოფა – სოციალურ მედიაში არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია და რჩება ნებისმიერი მსურველისთვის მის წაშლამდე. ამიტომ შესაძლებელია, რომ სასამართლომ სარჩელის უზრუნველსაყოფად მოპასუხეს მისი დროებით შეზღუდვა დააკისროს. მაგალითად, დააკისროს პირს ვალდებულება, დავის დასრულებამდე, გადაიყვანოს პოსტი „Only Me-ზე“ და სხვ. დღეის მდგომარეობით სასამართლოში მსგავსი მოთხოვნა იყო დაყენებული, თუმცა არც პირველ და არც სააპელაციო ინსტანციას იგი არ დაუკმაყოფილებია.

9. სისხლის სამართალი

სისხლის სამართლის კოდექსში მოწესრიგებულ დანაშაულთა შორის სოციალურ მედიასთან რამდენიმე მათგანის კავშირის დანახვა შესაძლებელი, მაგალითად: სიტყვის თავისუფლების ხელყოფა, ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა, ადამიანის დევნა, ადევნება და სხვ. ჩამოთვლილთა გარდა, დანაშაულის რამდენიმე სახე სოციალურ მედიაში განხორციელებული მოქმედების პირდაპირპროპორციულია: პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, რომელიც ეხება პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის (კადრები, ფოტო და სხვ.) გავრცელებას ან ჩამოტვირთვას. ასეთ დანაშაულად ითვლება ქმედება,

როცა პირი პირადი ცხოვრების საიდუმლოს შემცველი შინაარსის მასალას აზიარებს, თუნდაც „Messenger-ში“ უგზავნის მეგობარს, ან ჩამოტვირთავს. ცალკე მუხლი ეთმობა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების გამოყენებას ან/და გავრცელებას, რითაც, პირს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება. აღსანიშნავია ასევე კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა, რომელიც შეიძლება უკანონოდ ჩაიწეროს, მაგალითად, ორი პირის ურთიერთობა („facebook-ში“ განხორციელებული ხმოვანი საუბარი) ჩაიწეროს მესამე პირმა.

რაც შეეხება კიბერდანაშაულს, იგი სამ მთავარ ასპექტს მოიცავს (შეგნებულად არ მახვილდება ყურადღება 2861 და 2862 მუხლებზე), ესენია: კომპიუტერულსისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემის / სისტემის უნებართვო გამოიყენება და ხელყოფა. ასეთი შემთხვევა დადგება, თუ, დავუშვათ, ერთ-ერთი პირი სხვის სოციალური მედიის ანგარიშში უნებართვოდ შეაღწევს. თუნდაც მან პაროლი „გამოიცნოს“, ეს ქმედება მაინც დარღვევად ჩაეთვლება. კომპიუტერული სისტემის „უნებართვო გამოიყენება“, უპირველეს ყოვლისა, პირადი მიმოწერის საიდუმლოების დარღვევა მიიჩნევა (როდესაც პირი სხვის პირად მიმოწერას უნებართვოდ ეცნობა).

შეჯამება

სოციალური მედია და ცხრა სამართლებრივი ინსტიტუტი. ნაშრომში მოყვანილი ცხრავე მათგანი დიდ პრაქტიკულ დანიშნულებას პოვებს ყოველდღიურ რეალობაში. თავად პრაქტიკა და კანონმდებლობა ვითარდება და შესაძლებელია, რომ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მსჯელობა უფრო მეტად გაიშალოს და მეტად განვითარდეს. ცხადია, აღნიშნულს სოციალური მედიის განვითარებაც შეუწყობს ხელს. დამატებითი ფუნქციების შემოტანამ შესაძლებელია ზოგიერთი სამართლებრივი ურთიერთობის უფრო ფართოდ შეფასების წინაპირობა წარმოშვას.



მონუმის სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

ავტორი ნიკა სადრაძე

სისხლის სამართლის ადვოკატი, სპეციალიზებული ადვოკატი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრი, საბაუნის მიწვეული ლექტორი, ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფის ლექტორი, ტრენერი

მონუმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მონუმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. ასეთია „მონუმის“ განმარტება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, თუმცა, როგორც პრაქტიკოსი იურისტი, ადვოკატი, ყოველთვის ვამბობ იმას, რომ ნების-

მიერ ჩანაწერსა თუ დათქმას კანონში აქვს თავისი პრაქტიკული მხარე, რომლის ცოდნაც მნიშვნელოვანია როგორც იურისპრუდენციის წარმომადგენლებისთვის, ასევე არაიურისტი მოქალაქეებისათვის. მონუმის სტატუსით ხომ უმეტესწილად სწორედ ჩვეულებრივი, იურიდიული განათლების არმქონე მოქალაქეები გვევლინებიან. შევეცდები ყურადღება გავამახვილო რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, რომლებიც მონუმის სტატუსს უკავშირდება.

მონუმეს უფლება აქვს, იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული – როდესაც გამოძიებელი იძიებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს, ბუნებრივია, ახორციელებს ისეთ ქმედებას, როგორც არის მონუმის გამოკითხვა/დაკითხვა და, შესაბამისად, მისი მთავარი მიზანი მონუმეთა ბაზის შექმნაა, იმ მონუმებისა, რომელთაც შეიძლება გარკვეული ინფორმაცია ჰქონდეთ საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. ამიტომ იბარებს გამოძიებელი სხვადასხვა საშუალებით – იქნება ეს სატელეფონო კავშირი თუ

უნყება და ა.შ. – მონუმეს საგამოძიებო უწყებაში ინფორმაციის მისაღებად. როდესაც კონკრეტული პირი შეიტყობს, რომ მონუმის სახით არის დაბარებული, მისი მთავარი უფლებაა, იცოდეს, თუ რის გამო იბარებენ, ამიტომ მან აუცილებლად უნდა დააზუსტოს საგამოძიებო უწყებებთან აღნიშნული საკითხი, ხოლო გამოძიებელი ვალდებულია, საკითხი მონუმის სახით დაბარებულ პირს განუმარტოს. ეს მონუმის ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა. ჩვენების მიცემამდე მან უნდა შეძლოს შესაბამისი სამართლებრივი მომზადება, ჰქონდეს დრო და საშუალება კონსულტაცია გაიაროს ადვოკატთან, თუ ამისი სურვილი აქვს. გამოძიებელს არ აქვს უფლება, პირი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაიბაროს ჩვენების მისაცემად ან შეზღუდოს დროის მხრივ, არ მისცეს ადვოკატის მოძებნისა და აყვანის უფლება.

მონუმეს უფლება აქვს, გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა – ეს არის მონუმის უმნიშვნელოვანესი უფლება, რომელსაც ის ხანდახან პრაქტიკაში ვერ ახორციელებს სხვადასხვა მიზეზის გამო. თუ პირი მისცემს, მაგალითად, საგამოძიებო უწყებას ჩვენებას საქმის გარემოებასთან დაკავშირებით, უპასუხებს გამოძიებლის შეკითხვებს, გამოძიებელი ვალდებულია, შეადგინოს შესაბამისი ოქმი, რომელშიც ასახული იქნება მონუმის მიერ მიცემული ჩვენება და დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები. აღნიშნული წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედების ოქმს. მონუმეს უფლება აქვს გაეცნოს აღნიშნულ ოქმს და, თუ დარწმუნდება, რომ ნამდვილად სწორად არის ჩვენება თუ პასუხები ასახული, მხოლოდ ამის შემდეგ მოაწეროს ხელი, რითაც დაადასტურებს ოქმის ნამდვილობას. გამოკითხვის/დაკითხვის ოქმზე, როგორც წესი, მონუმე წერს შემდეგ სიტყვებს: „გამოკითხვის/დაკითხვის ოქმი შედგენილია ჩემი კარნახით; ჩავიკითხე, სწორია და ვაწერ ხელს“, – და ეს სწორედ ასე უნდა იყოს. არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოაწეროს მონუმე ხელი ისე, რომ ჩაკითხული არ ჰქონდეს

აღნიშნული დოკუმენტის შინაარსი. ამ პრობლემას ხშირად ვაწყდებით პრაქტიკაში. როდესაც ოქმზე ხელის მოწერა ეყრდნობა ნდობის პრინციპს, მონუმე ფიქრობს, რომ გამოძიებელი მას არ მოატყუებს და ოქმში ნამდვილად ის იქნება აღნიშნული, რაც მან განაცხადა, რაც, რასაკვირველია, მცდარი მიდგომაა. გამოძიებელმა შესაძლოა სხვანაირი ინტერპრეტაცია მისცეს მონუმის მიერ გაცემულ პასუხებს ან არ შეიტანოს ოქმში გარკვეული გარემოება, რაზეც მონუმე ისაუბრა და რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს.

მონუმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ნათესავს, ან ახლო ნათესავს – პირს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მას ვერაფერია აიძულებს, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ; და ეს ვერ იქნება გამოყენებული საწინააღმდეგოდ, ვერ შეფასდება გამოძიებისა თუ მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლად. არაფერია არის ვალდებული, დანაშაული აღიაროს ან ისეთ გარემოებებზე ისაუბროს, რომლებიც მისი საწინააღმდეგოა და მას დანაშაულის ჩადენაში ამხელს. ვერაფერია აიძულებს პირს, ჩვენება მისცეს მშობლის, მშვილებლის, შვილის, მინდობით აღსაზრდელის, პაპის, ბებიის, შვილიშვილის, დის, ძმის, მეუღლის (მათ შორის განქორწინებულის) წინააღმდეგ. ეს უფლება მონუმეს აქვს როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლო პროცესზე.

ოქმის შემდგენმა ოქმში შეიძლება ისეთი რამ შეიტანოს, რაზეც მონუმეს საერთოდ არ უსაუბრია. ამიტომ მაქსიმალური ყურადღებაა საჭირო გამოსაკითხი/დასაკითხი პირის მხრიდან. ოქმზე ხელის მოწერა ისე, რომ არ გაეცნოს შინაარსს, მომავალში შესაძლებელია ძალიან ცუდად თავად მონუმეს შემოუბრუნდეს. მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ, როდესაც სისხლის სამართლის საქმეში იძენს მონუმის სტატუსს, მომავალში, უდიდესი ალბათობით, მასაც დაკითხავენ სასამართლო პროცესზე მოსამართლის წინაშე. სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემისას მონუმე შეიძლება რადიკალურად განსხვავებულ გარემოებებზე ისაუბროს, ვიდრე ეს იყო ასახული საგამოძიებო უწყებისთვის მიცემულ ჩვენებაში. ხოლო აღნიშნული შეუსაბა-

მობა და განსხვავება ჩვენებათა შორის შესაძლებელია მონუმის სტატუსის მქონე პირს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობადაც კი დაუჯდეს. ამიტომ რისკებისგან თავის ასარიდებლად ის აუცილებლად უნდა გაეცნოს ოქმს და, თუ აღმოაჩენს, რომ ოქმში არასწორად არის შეტანილი ან საერთოდ არ არის შეტანილი მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, მოითხოვოს შესწორების ან ცვლილების შეტანა და მხოლოდ ამის მერე მოაწეროს ხელი ოქმს.

მონუმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ნათესავს, ან ახლო ნათესავს – პირს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მას ვერაფერია აიძულებს, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ; და ეს ვერ იქნება გამოყენებული საწინააღმდეგოდ, ვერ შეფასდება გამოძიებისა თუ მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლად. არაფერია არის ვალდებული, დანაშაული აღიაროს ან ისეთ გარემოებებზე ისაუბროს, რომლებიც მისი საწინააღმდეგოა და მას დანაშაულის ჩადენაში ამხელს. ვერაფერია აიძულებს პირს, ჩვენება მისცეს მშობლის, მშვილებლის, შვილის, მინდობით აღსაზრდელის, პაპის, ბებიის, შვილიშვილის, დის, ძმის, მეუღლის (მათ შორის განქორწინებულის) წინააღმდეგ. ეს უფლება მონუმეს აქვს როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლო პროცესზე.

მონუმეს უფლება აქვს მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება – შეიძლება მონუმის სტატუსის მქონე პირი იყოს სისხლის სამართლის ისეთი საქმის მონაწილე, რომ ამ საქმეში მისი მონაწილეობის გამჟღავნებით ან უბრალოდ მონაწილეობის ფაქტის არსებობით საფრთხე ექმნებოდა მას ან მისი ახლო ნათესავების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ასეთ შემთხვევაში მონუმეს უფლება აქვს სახელმწიფოს სპეციალური ღონისძიების გამოყენება მოსთხოვოს. აღნიშნული ღონისძიებანი შეიძლება იყოს შემდეგი სახისა:

ა) მოკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება – საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში პრო-

ცესის მონაწილის (მოწმის) ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების, კერძოდ სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის, შეცვლა ან ამოღება.

ბ) ვინაობის შეცვლა და მასზე ახალი დოკუმენტის გაცემა – ფსევდონიმის მინიჭება, გარეგნობის შეცვლა, ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო და სხვა დოკუმენტების გასაიდუმლოება.

გ) უსაფრთხოების ზომების მიღება (პირადი დაცვა, განგაშზე გამოძახება და სხვა სახის ღონისძიებები).

დ) საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა.

ე) სხვა სახელმწიფოში გადაყვანა (რელოკაცია.)

ასევე გახსოვდეთ: ამ ღონისძიებათა ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

გამოსაკითხი პირისთვის ასევე მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ცოდნაც, რომ გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი. თუ პირს აქვს გარკვეული ეჭვი, რომ გამოკითხვა საგამოძიებო უწყებაში ან დაცვის მხარესთან ვერ ჩაივლის ობიექტურ გარემოში და მას აქვს კონკრეტული შიში მასზე შესაძლო იძულების განხორციელებასთან დაკავშირებით, მაშინ მას აქვს უფლება, უარი თქვას გამოკითხვაზე, თუმცა ასეთ შემთხვევაში გამოკითხვის ინიციატორს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ამ პირის გამოკითხვა მოსამართლის წინაშე, იქ, სადაც გამოსაკითხ პირს მისვლა და ჩვენების მიცემა ევალება.

გარდა იმ პრაქტიკული საკითხებისა, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრე, მინდა ხაზი გაუუსვა კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: არიან პირები, რომლებიც არ არიან ვალდებული, იყვნენ მოწმენი სისხლის სამართლის საქმეში. ვფიქრობ, მოქალაქეებისთვის და ასევე არაიურისტებისთვის საინტერესო იქნება ამ პირთა ჩამონათვალი. ესენი არიან:

ა) მოწმედ დაკითხვის ვალდებულება არ ეკისრება ადვოკატს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ბ) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ჩანაწერით დანულია ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობა. ვერავინ ჩაერევა ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაში. ასე რომ, შეგიძლიათ თამაშად მიმართოთ ადვოკატს და მოუყვით მას თქვენი სამართლებრივი გასაჭირის შესახებ და სთხოვოთ სამართლებრივი დახმარების განწევა.

რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ჩანაწერით დაცულია ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობა. ვერავინ ჩაერევა ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაში. ასე რომ, შეგიძლიათ თამაშად მიმართოთ ადვოკატს და მოუყვით მას თქვენი სამართლებრივი გასაჭირის შესახებ და სთხოვოთ სამართლებრივი დახმარების განწევა.

გ) სასულიერო პირს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად.

დ) ბრალდებულის ახლო ნათესავს.

ე) სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდევს, როგორც სახალხო დამცველს.

ვ) ჟურნალისტს – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

ზ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

თ) მოსამართლეს – იმ გარემოების ძალით, რომელიც სასამართლო თათბირის საიდუმლოებაა.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ არ შეიძლება გამოიკითხოს ან მოწმედ დაიკითხოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ის პირი, რომელსაც შესაძლებლობათა შეზღუდვის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებანი და მიწოდოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება.

სასაუბრო კიდევ ბევრია მოწმის სტატუსთან დაკავშირებით და არაერთი სტატია თუ ნაშრომი გამოქვეყნებულა ამ საკითხთა ირგვლივ. ზემოთაც აღვნიშნე, რომ მინდოდა ხაზი გამესვა და მესაუბრა პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება რიგითმა მოქალაქემ არ იცოდეს და აწუხებდეს. ჩემს პრაქტიკაში ხშირად შევხვდრივარ მოქალაქეებს, რომლებსაც იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით მოუმართავთ ჩემთვის და ჩამოთვლილ უფლებათა არცოდნას წავწყდომივარ. იმედი მაქვს, ჩემი სტატია ნაწილობრივ მაინც დაეხმარება ადამიანებს, რათა მათ იცოდნენ თავიანთი მთავარი უფლებები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული პირის ინტერესები რაიმე სახით არ შეილახოს; ასევე ყველამ უნდა იცოდეს, რომ, თუ გამოუვალი მდგომარეობაა, თუ არ იცი, როგორ მოიქცე სისხლის სამართლის პროცესში, შენი უფლება ილახება და გსურს, იყო დაცული, ამისთვის ადვოკატი არსებობს, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვი, შეგიძლია მიმართო, რათა თავი მშვიდად იგრძნო.

ISSN 1987-5479



9 771987 547000 >